პრეზიდენტი

თანამშრომლობის ახალი ეტაპი



26 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის წევრები.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისია მიმდინარე წლის აპრილში შეიქმნა და საქართველოში ეს კომისიის წევრთა პირველი ვიზიტია.

საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, ასეთი კომისიის შექმნა ძალზე მნიშვნელოვანია და ხაზს უსვამს საქართველოსა და ეუთოს შორის ღრმა და საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია კომისიის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა დონეზე.

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

ხელისუფლებას ივნისის ბიუჯეტის შესრულების იმედი აქვს...

ივნისის 25 დღის მონაცემებით, საგადასახადო დეპარტამენტს ქვეყნის ბიუჯეტის 50 პროცენტი, ხოლო საბაჟოს დაახლოებით 55 პროცენტი აქვს შესრულებული. თვის დამლევამდე 5 დღე რჩება, ტრადიციულად ამ პერიოდში ხდება ბიუჯეტში შემოსავლის მაქსიმალური მობილიზება.

26 ივნისს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან გამართულ თათბირზე საგადასახადო შემოსავლების მინისტრმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული რესურსი მაქსიმალურადაა ამოქმედებული, შეიმჩნევა გარკვეული დადებითი ტენდენციები საბაჟო და საგადასახადო სფეროებში, სწორედ ეს იძლევა ივნისის ბიუჯეტის შესრულების რეალურ საფუძველს. მაჭავარიანის თქმით, მიმდინარე თვეში შესრულებული იქნება ფონდებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების გეგმაც. ერთადერთი გარღვევა კი ცენტრალური ბიუჯეტის კუთხით არის ნავარაუდევი, რაც მნიშვნელოვანწილად წინა თვეებში არსებული ხარვეზებით იქნება განპირობებული.

საგულისხმოა, რომ ისევ გაურკვეველი რჩება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ცენტრალურ ბიუჯეტში გადმოსარიცხი თანხის ბედი. „თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ამ თვეშიც არ გადმორიცხავენ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ თანხას, საქმე კანონის საკმაოდ უხეშ დარღვევასთან გვექნება. ამ შემთხვევაში კი შესაბამისმა უწყებებმა სათანადო რეაგირება უნდა მოახდინონ“, — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

იხ. მე-2 გვ.

ხვალ

„საქართველოს რესპუბლიკაში“ წაიკითხავთ:

„სკანი ხალაზა ტაბიცური დურაკობაში ტიმეცური ყივარარე“. რას ნიშნავს ეს აბდაუბდა, ხვალინდელ ნომერში გაიგებთ ბაზრატ ლაკაძელის წერილით **„შალვა კვარაცხელია — ფარნავაზი თუ მესროპ მაშტოცი?“**

ვლადიმერ ზარიძე – „ზოგჯერ მიცვალებულებიც ლაპარაკობენ“ (პოლიტიკური კორუფცია მეხუთე რესპუბლიკაში).

მარადი ანასაშვილი – „დურუჯი დგუის“ (კავკასიონიდან დაძრული საფრთხე).

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

გუშინ ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 2714 მკითხველი. მათ შორის, 54% აშშ-დან, 35% – გერმანიიდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №155 (3896) ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

პროკურატურა

მილიონს კიდევ 105 ათასი მიემატა

სულ რაღაც ერთი თვის წინათ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ქვეყნის ბიუჯეტს დაუბრუნა დაახლოებით ერთი მილიონი ლარის ქონება. აქ იყო ფულიც და მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობაც. მაშინ საგამოძიებო ნაწილი შეგვპირდა, რომ დამნაშავეთაგან მომავალშიც ამოიღებდა იმ თანხას, რომელიც მათ ქვეყანას წაღლიტეს. და ამ პირობას ასრულებს კიდეც.

გუშინ, მაგალითად, გენერალურმა პროკურატურამ ბიუჯეტს „ჩააბარა“ 60 ათასი ლარი. ამით ერთი სისხლის სამართლის საქმე დამთავრდა და იქვე კიდეც შეწყდა, ახალ გარემოებათა გამო. რახან თანხა დაიფარა, დამნაშავე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა.

სადღეისოდ გენერალური პროკურატურის სადეპოზიტო ანგარიშზე კიდევ დევს დამნაშავეთაგან ამოღებული 45 ათასი ლარი. საგამოძიებო ნაწილის უფროსის თამაზ ჭუმბურიძის განცხადებით, ეს ფული ჯერჯერობით ბიუჯეტში არ წავა, რადგანაც იგი მხოლოდ ნაწილია ქვეყნის მიერ დაკარგული თანხისა.

იხ. მე-2 გვ.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

„ბაბუშერის ბიჭებმა“ საბოლოო განსასვენებელი ჰპოვეს

26 ივნისს თბილისში პატივით დაკრძალეს ის 15 ქართველი მეომარი — ჭეშმარიტი პატრიოტები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში გაემგზავრნენ, მაგრამ თავიანთი მამულიშვილური ვალის მოხდა არ დასცალდათ — მტრის მიერ სამიზნეში ამოღებულ თვითმფრინავში ჩაიფერფლნენ. ბაბუშერის აეროპორტში დაღუპული ზოგი ცნობილი, ხოლო ზოგი ამოუცნობი ბიჭების ცხედრები დასვენებული იყო თბილისის ოფიცერთა სახლში. დაღუპულთა წინაშე მუხლის მოსაყრელად, მათთან გამოსათხოვებლად აქ მოვიდნენ ისინი, ვისაც ტკივა და ახსოვს აფხაზეთი, ვისთვისაც ძვირფასია ერთიანი, განუყოფელი საქართველო, ვისაც ახსოვს და მუდამ ეხსომება ქვეყნისათვის შეწირულთა სახელები.

ამ დღეს ქართველ მამულიშვილთა ხსოვნის პატივსაცემად ოფიცერთა სახლში მოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი, ქვეყნის სხვა ოფიციალური პირები.

სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირული ვაჟკაცები პატივით დაკრძალეს დიდმის ძმათა სასაფლაოზე.

საქინფორმი.

დავით ხიზანიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გიხაროდეთ!

დაბადებულა ბიჭი გიორგიც

ძვირფასო რედაქცია, ამ დღეებში მამა გავხდი. ეს რა საოცარი შეგრძნება ყოფილა! სიხარულით ცას ვეწიე, მაგრამ ასე მგონია, უდიდესი საზრუნავიც გამიჩნდა და ეს, ალბათ, ასეც არის. 21 ივნისს ჩემს მეუღლეს რუსუდანს ბიჭი შეეძინა. რუსუდანს რთული მშობიარობა ჰქონდა, მაგრამ თბილისის №5 სამშობიარო სახლის მორიგე მედპერსონალმა ყველაფერი იღონა დედა-შვილის გადასარჩენად. ორივენი კარგად არიან და ხვალ გამოეწერებიან კიდეც. პატარას ევერესტის დამპყრობ გია თორთლაძის პატივსაცემად გია (გიორგი) დავარქვით.

მადლობა თქვენ, ჩვენი სიხარულის გაზიარებისათვის, მადლობა სამშობიარო სახლის ექიმთა ბრიგადას მაღალი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისათვის.

თორნიკე ზიგაური,
სტუდენტი, თბილისი.

რუსუდან და თორნიკე, პირველ შვილს გილოცავთ. ბედნიერებას და შვილთა სიმრავლეს გისურვებთ, სასახელო შვილები დაუზარდეთ საქართველოს.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

სხვისი თვალით

„პუტინის ბლეფი“

რუსეთის ეკონომიკური პრობლემები ალტერნატივას არ უტოვებს. მან უნდა მიიღოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის (რსთ) სისტემის ამერიკული გეგმა.

აშშ უსაფრთხოების მრავალი სპეციალისტის აზრი, რომ პუტინი შაბათს გამართულ სამიტზე ყველას შეატყობინებდა, რომ იგი აშშ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის (რსთ) გეგმის წინააღმდეგია, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რამაც ყველა გააკვირვა. მათ მხედველობიდან გამორჩათ რუსეთის მძიმე მდგომარეობა, არ გაუთვალისწინებიათ ისევე ის ფაქტი, რომ პუტინის უარყოფა მტკიცე არ ყოფილა.

რუსეთი ხაფანგშია მოქცეული — მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასა და თავდაცვის სისტემის საჭიროებებს შორის.

რუსეთის პრეზიდენტს სხვა შანსი არ ჰქონდა, გარდა რსთ სისტემის მიღებისა, თუმცა მან შეიძლება დროდადრო დათმობები მოითხოვოს.

სამიტის შემდგომ პუტინის მუქარა საბრძოლო ქობინების რაოდენობის შესაძლო გაზრდის თაობაზე, ამერიკული რსთ გეგმის წინააღმდეგ, ცოტა არ იყოს, გადამეტებულია. გეგმის დაფინანსებას ბუში თავის თავზე იღებს.

საოცარია ის, რომ აშშ უსაფრთხოების ანალიტიკოსებმა ვერ გათვალეს ეკონომიკური ფაქტორი, რომლის გამოც პუტინი იძულებულია ნმდ-ს გეგმას დათანხმდეს, ანალიტიკოსებმა ხომ კარგად იციან, რომ ბუშის ადმინისტრაცია სავსეა რონალდ რეიგანის დროინდელი „ბოროტი იმპერიის ბიუჯეტის წინააღმდეგ“ მებრძოლი ვეტერანებით. მათ სჯერათ, რომ გორბაჩოვს უბიძგეს — ან შეიძლება თავისი სურვილიც იყო — საბჭოთა კავშირის დაშლისაკენ, ისევე, როგორც „გლასნოსტ“-ისა და „პერესტროიკა“-სკენ, რადგან მძიმე მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა ეკონომიკა ვერ გაუმკლავდებოდა მზარდ სამხედრო შეიარაღების კონკურენციას.

გორბაჩოვის დროინდელ საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ მდგომარეობასა და პუტინის რუსეთს შორის პარალელი ადვილად შეიძლება გაივლოს. თხუთმეტი წლის წინანდელის მსგავსად, რუსეთი ისევ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია. მართალია, გასული წლის მატება 8 პროცენტი იყო,

იხ. მე-2 გვ.

პარტიებსა და ფრაქციებში

„გახსნილი ურთიერთობაც“ და ბუტიაობაც



შალვა ნათელაშვილი ქარიზმატულ ლიდერობაზე ოცნებობს. ჩემს გარდა სხვა ვინ შეკრებდა თორმეტ ათას კაცს სპორტის სასახლეშიო, — ამაყად აცხადებს. ლეიბორისტები გაიძახიან, მსურველები მეტიც იყვნენ, ორი ათასმა კაცმა შესვლა ვერ მოახერხაო. მათი აზრით, უკვე დაიწყო ეროვნულ-სოციალური მოძრაობის ახალი ეტაპი და ამ მოძრაობის სულისჩამდგმელად საკუთარ თავს მიიჩნევენ. ცნობისმოყვარეთა ფართო აუდიტორია არც „ახალ მემარჯვენეებს“ დაკლებია. მოგეხსენებათ, მათ თავისი დაფუძნება ფეიერვერკებითა და დიდი ხალხმრავლობით კუს ტბაზე აღნიშნეს.

— მე არ ვიცი, სად რა დაფუძნდა, რამდენი ღვინო და ლუდი დაილია, რადგან ეს კულინარიული საკითხიაო, — ასკვნის ნათელაშვილი. მას ბიზნესმენ-პოლიტიკოსების მიმართ განსაკუთრებული პრეტენზია აქვს. მისი აზრით, ისინი ოლიგარქები არიან. მიაჩნია, რომ მათ ხალხის ქონება ჩაიგდეს ხელში და მოითხოვს მათგან რაც შეიძლება მეტი გადასახადების ამოღებას. აბა, როგორ გინდა, მამაცხონებულო, ქონება ხომ ჩაიგდე ხელში და გადასახადები მაინც გადაიხადეო. უფრო მეტიც, ნათელაშვილი პარლამენტს პოზიცია-ოპოზიციანად ბურჟუების საკრებულოს უწოდებს.

იხ. მე-2 გვ.

კალეიდოსკოპი

ტელეეკრანთან

ჭეშმარიტების გზები დაქსაქსე,
და ამაყობდი ვირო — ვირითა,
შენ პრეზიდენტის ბრძანე ასაკზე
„თინეიჯერულ“ ირონიითა.
სად გაიზარდე ბიჭო, ვინა ხარ,
ვის ციხე-კოშკში გამოკეტილი?
ხანშიშესული ბრძენიც მინახავს
და ახალგაზრდა კამო-კრეტინიც.

ჯ. ჩ.

განსჯა

საქართველო – ფედერაციული, რეგიონალიზებული თუ დეცენტრალიზებული?

ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხზე

პოლიტიკური ადამიანი არის „ტერიტორიული ცხოველი“. ეს „ტერიტორიული ცხოველი“ საქართველოში საკმაოდ დისკომფორტულ მდგომარეობაშია. ტერიტორიული მმართველობის არსებული, უკიდურესად არაეფექტიანი სისტემის რეფორმირების აუცილებლობას დღეს ყველა ეთანხმება. სამწუხაროდ, ცვლილებებისადმი მხარდაჭერის (ან ასეთი მზადყოფნის დეკლარირების) იქით საქმე არ წასულა.

როგორ დავიწყოთ?

ტერიტორიული მოწყობის ფორმა არის ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციის ღერძი. სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, ამ ორგანოთა საქმიანობის მიმართულებები მთლიანად განისაზღვრება ტერიტორიული მმართველობის კონკრეტული მოდელით. საქართველოს კონსტიტუციაში, გასაგები მიზეზების გამო, ქვეყნისათვის უპირველესი მნიშვნელობის საკითხი მოწესრიგებული არ არის. ქართველმა კანონმდებელმა ცუდად დაიწყო ამ მიმართულებით განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებებიც.

იხ. მე-3 გვ.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ სამამულო ომის მე-3 ჯგუფის ინვალიდი, ვიღებ პენსიას 45 ლარის ოდენობით. ოჯახში მყავს მე-2 ჯგუფის პენსიონერი მეუღლე და 4 შვილი.

გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შეღავათები ვრცელდება ჩემზე კომუნალური მომსახურების თვალსაზრისით?

ვაჟა მაჭარაშვილი.
საჩხერე, სოფელი კორბოული.

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები, მათთან მცხოვრები პენსიონერები და ოჯახის შრომისუუნარო წევრები თავისუფლდებიან ყველა სახის კომუნალური მომსახურების გადასახადისაგან, თუ ამ მომსახურებას სახელმწიფო ახორციელებს, ხოლო ელექტროენერგიის გადასახადისას სარგებლობენ შეღავათით თვეში 50 კვტ. საათის ოდენობით. ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას – 75 კვტ. საათის ოდენობით.

ომის მონაწილეები თვეში 30 კვტ. საათის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას 45 კვტ. საათის ოდენობით.

იმ ომის მონაწილეებზე, რომლებიც 70 წლის ასაკს გადაცილებული არიან, ვრცელდება ყველა ის შეღავათი, რაც ომის ინვალიდებზეა გათვალისწინებული.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

შეიქმნა ბორის ჭიაურელის დამკრძალავი კომისია

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა ცნობილი მუსიკოსის, საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის ბორის ჭიაურელის დამკრძალავი კომისია საქართველოს კულტურის მინისტრის სესილი გოგიბერიძის თავმჯდომარეობით.

ბორის ჭიაურელი დაიკრძალება დიდების საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ინფორმაცია

აშენდება ფოთი-რიზეს წყალქვეშა მაგისტრალი

ტრანს-აზია-ევროპის (TAE) ფოთი-რიზეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის წყალქვეშა სეგმენტის მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება, უთხრა პრაიმ-ნიუსს TAE-ს პროექტის ვიცე-პრეზიდენტმა ნუგზარ ბაბუაძემ.

გადაწყვეტილება საქართველოს და თურქეთის მიერ ამ პროექტის განხორციელების ხელშეწყობის შესახებ მიღებული იყო ამ რამდენიმე ხნის წინათ სტამბოლში გამართულ საქართველო-თურქეთის ერთობლივ სატრანსპორტო კომისიის მეხუთე სხდომაზე.

სეგმენტის ერთი მესამედი 180 კილომეტრის სიგრძით საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის.

პროექტის საერთო ღირებულებაა დაახლოებით 10 მილიონი დოლარი. ამ თანხის ნახევარს თურქეთის ტერიტორიაზე კაბელის ჩადებისათვის თურქული მხარე გაიღებს. საქართველო ეძებს ინვესტორს ფოთიდან თურქეთის საზღვრამდე სამუშაოების დასაფინანსებლად, რასაც დაახლოებით 5 მილიონი დოლარი სჭირდება.

სეგმენტის ექსპლოატაციაში ჩაბარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მაგისტრალის გამტარუნარიანობას და მისი მშენებლობის ხარჯებს 3-4 წელიწადში აანაზღაურებს.

სავალუტო ფონდის მისია მალე გვეწვევა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია 2-კვირიანი ვიზიტით თბილისს 18 ივლისს ეწვევა.

როგორც პრაიმ-ნიუსს სავალუტო ფონდის საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში განუცხადეს, სსფ-ს მისიას ამ ორგანიზაციის მეორე ევროპული დეპარტამენტის სამხრეთის განყოფილების უფროსი დევიდ ოუენი უხელმძღვანელებს.

მისიის ვიზიტისას მსჯელობის ერთ-ერთი ძირითადი საგანი კვლავ საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულება იქნება, რაც სავალუტო ფონდის პროგრამის განახლების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

სსფ-ს 3-წლიანი 141 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის „სიღატაკის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის“ პროგრამით საქართველომ ორი ტრანშის სახით უკვე 24 მილიონი აშშ დოლარი მიიღო.

ამასთან, ივნისში, საქართველომ სსფ-ს საბიუჯეტო პარამეტრის – 77 მილიონი ლარის ხუთი მილიონის გადაჭარბებით უზრუნველყოფა შეძლო.

საბერძნეთში ტროლეიბუსები უკვე შეარჩიეს

თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის ორგანიზებისა და მართვის სამსახური საბერძნეთის მთავრობის მიერ ნაჩუქარ ტროლეიბუსებს უახლოეს ხანში მიიღებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს სამსახურის უფროსმა რევაზ გრიგოლიამ განუცხადა, თბილისის და მერიის მიერ გაგზავნილმა სპეციალისტებმა საბერძნეთში უკვე შეარჩიეს 80 ტროლეიბუსი და მიმდინარეობს საბუთების გაფორმება ტრანსპორტის გადმოცემის თაობაზე.

მისი ინფორმაციით, ეს ტროლეიბუსები ტექნიკურად გამართულია და ისინი თბილისში მოძრავ მოძველებულ ტროლეიბუსებს ჩაენაცვლება.

თბილისის ტროლეიბუსების პარკში 75 ტროლეიბუსია, საიდანაც ყოველდღიურად 60-65 მოძრაობს.

გრიგოლიას თქმით, მსოფლიო ბანკი მიმდინარე წლის მეორე ნახევარში თბილისის ელექტროტრანსპორტის რეაბილიტაციისათვის ნახევარ მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს. ეს პროგრამა თანადაფინანსების პრინციპით განხორციელდება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

ვამოწერეთ
გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკა
თავის ფასში
ტელეფონით!
ხელის მოწერა: 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“

უკანასკნელ საათს



ჩეჩნეთის შარო-არგუნის ხეობაში მეორე დღე-ღამეა 20 ჩეჩენი მოთარეშე ალყაში იყო მოქცეული. წუხელ გავრცელებული ინფორმაციით, მათგან 15 ლიკვიდირებულია. არის მსხვერპლი მესაზღვრეთა მხრიდან. 8 დაჭრილია, 1 დაიღუპა.



გუშინ რფ ფედერალურმა ძალებმა არბი ბარაევის გვამი გადასცეს მის ერთ-ერთ ცოლს (ექსჰუმაციის გარეშე) — **ერთ-ერთ ცოლს (ექსიდან) და სიდედრს.**

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +12+17; დღისით +20+25.
მთაში: ღამით +10+15; დღისით +18+23.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +13+18; დღისით +23+28.
მთაში: ღამით +11+16; დღისით +20+25.

თბილისში
ღრუბლიანი ამინდი, წვიმა.
ღამით +16+18;
დღისით +26+28.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ლარის კურსი

27 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	2.9075 ლარი
გერმანული მარკა	1	0.9104 ლარი
აშშ დოლარი	1	2.0600 ლარი
ევრო	1	1.7805 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0708 ლარი

ინტერპანორამა

გუშინ დამთავრდა რომის პაპის იოანე პავლე II ვიზიტი უკრაინაში. მესას, რომელიც მან ლვოვის სტადიონზე ჩაატარა, 300 ათასამდე მორწმუნე კათოლიკე ესწრებოდა უკრაინიდან, რუმინეთიდან, მოლდოვადან და სხვა ქვეყნებიდან.

სტივენ სპილბერგის ფილმის „ხელოვნური ინტელექტის“ გრანდიოზული პრემიერა გაიმართა იაპონიაში.

შპს მაგთიკომი

MAGTICOM Ltd

შპს „მაგთიკომი“ იცავს თავის საქმიანობაში აბსოლუტური გამჭვირვალობის პრინციპს და გაწვდით ინფორმაციას კომპანიის მიერ საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შესახებ.

2001 წლის ივნისში – შპს „მაგთიკომის“ ამ წვლილმა ყოველგვარი ჩათვლის გარეშე შეადგინა – 1,722,324.72 ლარი, ხოლო 2001 წლის განმავლობაში (აგრეთვე ყოველგვარი ჩათვლის გარეშე) – 8,017,699.12 ლარი, აქედან:

	2001 წლის ივნისში	2001 წლის 6 თვის განმავლობაში
საქართველოში მომუშავე უცხოელ იურიდიულ პირთა შემოსავლის დაბეგვრა 10 პროცენტი	230,850.10	332,547.53
დღგ	1,202,780.81	5,410,865.81
საშემოსავლო გადასახადი	66,450.47	313,589.01
ქონების გადასახადი	34,584.89	235,675.00
ქონების გადაცემისათვის გადასახადი	1,518.00	17,940.55
სამეწარმეო საქმიანობის გადასახადი		256,500.00
საგზაო ფონდი		268,180.00
სოციდაზღვევის გადასახადი	95,042.64	535,575.03
საბაჟო გადასახადი	14,235.58	122,409.47
დასაქმების გადასახადი	3,394.38	17,891.01
ჯანდაცვის გადასახადი	13,577.52	72,912.03
დარიცხული პროცენტების დაბეგვრა		7,455.07
რეკლამის გადასახადი		84,454.42
ადგილობრივი მოსაკრებლები	564.00	12,665.00
კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია	59,326.33	329,039.19
სულ	1,733,334.73	8,017,699.12

შპს „მაგთიკომში“ დასაქმებულია 390 კაცი.
შპს „მაგთიკომი“ მუშაობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს)-ის მიხედვით.

ლევან ბუჩუკური, შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

სახელმწიფო მინისტრი

ხელისუფლებას ივნისის ბიუჯეტის შესრულების იმედი აქვს...

(პირველი გვერდიდან)

საგადასახადო შემოსავლების მინისტრის თქმით, ივნისის ყველაზე პოზიტიურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ნავთობპროდუქტების დაბეგვრიდან შემოსული თანხის გაზრდა. ამ თვალსაზრისით, უწყებათა ხელმძღვანელები ერთგვარი „რეკორდული მაჩვენებლის“ დამყარებას ვარაუდობენ. იმის მიუხედავად, რომ თამბაქო უცვლელად რჩება საქართველოს ბიუჯეტის „აქილევსის ქუსლად“, ამ სფეროში შემოსავლის მობილიზებით უკვე შეიმჩნევა დადებითი ტენდენცია. კერძოდ, ამჟამინდელი მონაცემებით, ბიუჯეტში მილიონ 700 ათასი ლარია მობილიზებული, უწყებათა ხელმძღვანელები კი თვის დამლევამდე დამატებით 3 მილიონი ლარის ამოღებას ვარაუდობენ. რაც შეეხება აღურიცხავი პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას, საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელის თქმით, სასურველი შედეგი ჯერჯერობით მიღწეული არ არის, თუმცა პროგრესი უდავოდ იკვეთება. შედგენილია 174 ადმინისტრაციული აქტი, ყადაღა დაედო რამდენიმე საწარმოს.

— არც მე, არც ნოღაიდელი და არც მაჭავარიანი დაკავებულ თანამდებობებს არ დავტოვებთ მანამ, სანამ ქვეყანაში ფინანსურ წესრიგს არ დავამყარებთ. ამ პროცესს თან ახლავს უამრავი სირთულე, არსებობს ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ პრობლემების აღმოსაფხვრელად, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა. მისი თქმით, უდავოდ წინსვლასა და წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ივნისში გაცემულია მასწავლებელთა 2,5 თვის ხელფასები. ივნისის დადებითი ტენდენცია და ბიუჯეტის შესრულება კი არსებულ სოციალურ დავალიანებათა მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვის წინაპირობა გახდება.

— თვის დამლევამდე 5 დღეა დარჩენილი, ქვეყანაში არსებული რესურსი და რეზერვი ამ თვის ბიუჯეტის შესრულების იმედს გვაძლევს, — განაცხადა გიორგი არსენიშვილმა.

საქინფორმი.

სხვისი თვალით

„პუტინის ბლეფი“

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ 2001 წლისათვის მოსალოდნელია მისი ნახევრამდე შემცირება. ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული რეფორმა ხორციელდება, ინფრასტრუქტურა კი დანგრეულია. ქვეყანაში ეკონომიკური გარდაქმნები სუსტად მიმდინარეობს.

აქედან გამომდინარე, რუსეთი ისევ მთლიანად დამოკიდებულია უცხოეთის დახმარებაზე, მაგრამ აშშ რესპუბლიკელების მთავრობა ამ ფაქტს ვერაფრით ვერ შეცვლის. 1998 წელს კონგრესის ზემდგომების კომისიამ, სადაც რესპუბლიკელები ჭარბობდნენ, უარყო კლინტონისა და გორის იდეა რუსეთის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ და მას „გულუბრყვილო და მცდარი“ უწოდა. როგორც ჩანს, ახალი დღის წესრიგი რეალური პოლიტიკაა.

ცნობილია ასევე რუსეთის ბიუჯეტის მდგომარეობა. წელს მოსალოდნელია ბიუჯეტის ბალანსირება, მაგრამ ეს კარგი ამბავი საწვავზე ფასების გაზრდით შემოსულ შემოსავლებზეა დამოკიდებული, ისიც საეჭვოა, რომ ამან მთავრობის 2001 წლის ხარჯები დაფაროს, რაც გეგმით 42 მილიარდ დოლარს შეადგენს. ოთხი რუბლიდან ერთი რუბლი, ხოლო 2003 წლისათვის სამიდან ერთი — ვალების გასტუმრებისთვისაა განკუთვნილი. თავდაცვის სისტემისთვის მხოლოდ 5 მილიარდი დოლარია გამოყოფილი. თუ საჭირო გახდება, თანხა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ ის მაინც უმნიშვნელო იქნება ამერიკის თავდაცვის სისტემისთვის გამოყოფილ თანხებთან შედარებით, რომელიც 330 მილიარდ დოლარს შეადგენს.

რუსეთის საუბედუროდ, თავდაცვის სისტემის ბიუჯეტის შემცირების პრიორიტეტები მის მეზობელ ქვეყნებთან — ტაჯიკეთსა და საქართველოსთან დამოკიდებულებაში აისახა, რაც ნაწილობრივ, ჩეჩნეთში დაშვებული ძვირადღირებული შეცდომების შედეგია.

გაჭიანურებული შიდა უთანხმოების შემდეგ, როდესაც ყოფილი თავდაცვის მინისტრი იგორ სერგეევი ბირთვული საშუალებების განახლებას, ხოლო ანატოლი კვაშნინი კონვენციურ სამხედრო ძალების შექმნას მოითხოვდა — მხარდაჭერა კვაშნინის პოზიციამ მოიპოვა.

უეჭველია, პუტინს ეშინია რსთ-ს პროექტისა, რომელმაც შესაძლოა, მომავალში მისი ბირთვული მარაგი გაანადგუროს, რის შედეგადაც აშშ უმაღლესი ძალაუფლების მქონე ქვეყანა გახდება. ამერიკა პირველი მიიტანს შეტევას წინააღმდეგობის შიშის გარეშე, რუსეთის მეთაურს ალტერნატივა არა აქვს — ბოლოს და ბოლოს, მას აშშ ფინანსური დახმარება სჭირდება. მის ბიუჯეტს ბირთვული იარაღის კონკურენციაში ჩასაბმელად რესურსები არ გააჩნია. მას სასწრაფოდ თავდაცვის სისტემის გაძლიერება ესაჭიროება რთული მეზობლების გამო.



პუტინს არ შეუძლია ბირთვული იარაღის წარმოება, რადგან ასეთმა ტაქტიკამ შეიძლება უკურეაქცია გამოიწვიოს რუსეთის პერიფერიის მუსულმანურ ქვეყნებში.

რუსეთის დასამშვიდებლად ბუშის მთავრობამ რუსეთს რაკეტების შესყიდვა შესთავაზა ევროპაში გადასანაწილებლად. ამერიკამ შეიძლება ასევე სატრანსპორტო თვითმფრინავები და წყალქვეშა ნავები შეიძინოს, რომელთა წარმოება რუსეთს სათანადო დონეზე აქვს. ეკონომიკურად დაუძლურებულ რუსეთს, რომელიც თავდაცვის სისტემის გაძლიერებას საჭიროებს, სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ დათმობებზე წავიდეს.

თუ რსთ-ს სისტემის გეგმა შეჩერდება, პასუხისმგებლობა რუსეთს არ დაეკისრება. მასზე პასუხისმგებლები ევროპელები და აშშ იქნებიან. რსთ-ს სისტემის გამო ბრძოლა დასავლეთში გაიმართება და არა მოსკოვში.

პადმა დესაი,
„ფაინენშელ ტაიმსი“,
20 ივნისი.

ამ წერილის კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს კახა სიხარულიძეს:

— ვფიქრობ, ზედმეტია საუბარი, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და სერიოზული გამოცემაა „ფაინენშელ ტაიმსი“, რამდენად სიმპტომატურია მის ფურცლებზე გამოთქმული ანალიზი და რამდენად მიანიშნებს იგი საერთაშორისო პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრიორიტეტების აქტუალობას. ამ გაზეთში „ჰაერიდან“ არაფერი ისტამბება და ამდენად, ნებისმიერი ანალიზის მცდელობაც კი საყურადღებო ინფორმაციაა განსჯისათვის. ყველაფერი ეს საზოგადოებას კარგად მოეხსენება.

ახლა უშუალოდ ის, რაც ეხება „ფაინენშელ ტაიმსის“ 20 ივნისის ნომერში დაბეჭდილ პადმა დესაის სტატიას „პუტინის ბლეფი“. ანალიზის ლაიტმოტივი, ვფიქრობ, საკმარისად მკაფიოა და ალბათ, ნაკლებად სადავოც — რუსეთის ფედერაციის დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ პრიორიტეტებს საზოგადოდ და, კერძოდ კი, ოფიციალური მოსკოვის დამოკიდებულებას ვაშინგტონის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემისადმი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რუსეთში დღეს რეალურად არსებული ეკონომიკური პრობლემები. დამაჯერებელია ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვი ცდილობს ოპტიმალურად ლავირებას ქვეყნის შიგნით მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასა და თავდაცვის სისტემის აშკარა საჭიროებას შორის. ამდენად, არც იყო მოსალოდნელი ოფიციალური მოსკოვის მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ამერიკული ინიციატივისადმი და სწორია პადმა დესაი თავის შეფასებებში რუსეთის პრეზიდენტის ბოლოდროინდელი განცხადებების კომენტირებისას. ამ თვალსაზრისით, ლოგიკურია პარალელიც, რასაც დესაი გორბაჩოვის დროინდელ საბჭოურ რეალობასა და დღევანდელ სიტუაციას შორის ავლებს. მთავარი კი ის არის, რომ დღესდღეობით რუსეთის ფედერაცია გამონაკლისი არ გახლავთ მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეზე არსებული მდგომარეობიდან — მისთვის უმნიშვნელოვანესია დასავლეთის ფინანსური დახმარება, რაც ბევრ წილად განსაზღვრავს როგორც მოსკოვის საგარეო პოლიტიკას მთლიანად, ასევე, ამ კონკრეტულ სიტუაციაშიც.

რა შეიძლება იყოს კონკრეტულად ჩვენთვის მნიშვნელოვანი ყველაფერ ამასთან დაკავშირებით?

ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დამოკიდებულებას, პოზიციებს, ურთიერთობის დინამიკას მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დღევანდელი მსოფლიო წესრიგის თვალსაზრისით, ასევე, უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაშიც. არახალია, ძველია, რომ დასავლეთისაკენ რეალურად ორიენტირების პარალელურად თბილისისათვის უმნიშვნელოვანესია მკაფიოდ განსაზღვრული და ასევე მკაფიოდ განხორციელებული, დაახლოებისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებისაკენ მიმართული აქტიური პოლიტიკა ძლიერ და მთელი მსოფლიოსათვის ანგარიშგასაწევ მეზობელთან.

საქართველო დღეს დიდი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და მსოფლიო მოვლენათა საერთო დინამიკა, მისი დეტალური ანალიზი, შესაძლო და აუცილებელი კომპრომისის ქართულ რეალობასთან მისადაგება სისხლხორცეულად უკავშირდება საქართველოს უაქტუალურესი სახელმწიფოებრივი პრობლემატიკის მოწესრიგებას.

რაკეტსაწინააღმდეგო ეროვნული თავდაცვის სისტემის ამერიკული პროგრამის აქტუალობა ისევე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის.

სრულიადაც არ გახლავთ შემთხვევითი ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ამ საკითხებს სერიოზული ყურადღება დაუთმო 25 ივნისს გამართულ ბრიფინგზე. რეალობაა, რომ დღეს გაიზარდა „ბირთვული სახელმწიფოების“ რიცხვი და არსად არის დაფიქსირებული ამ ქვეყნების მიერ ნაკისრი ვალდებულებები, იმდენად, რამდენადაც ისინი არ მონაწილეობდნენ აქამდე არსებულ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეთანხმებაში. საქართველოს პრეზიდენტი მიესალმა ვაშინგტონის იდეას და ლოგიკა, რომ ამ სისტემის შექმნა ნაკლებად რეალურს გახდის ბირთვულ საშიშროებას, ფრიად აქტუალური გახლავთ.

პარტიებსა და ფრაქციებში

„გახსნილი ურთიერთობაც“ და ბუტიაობაც

(პირველი გვერდიდან)

მოქკავშირის მოწინააღმდეგეებს კი ლეიბორისტებთან გაერთიანებას სთავაზობს.

ლეიბორისტებისა რა მოგახსენოთ და მოქკავშირის წინააღმდეგ შეკრული „ახალი მემარჯვენეები“ ეროვნულ დემოკრატებთან დაახლოებაზე და მათთან „გახსნილ ურთიერთობებზე“ სიამოვნებით საუბრობენ. ედპ-ც არ რჩება ვალში. მოკლედ, არიან ერთმანეთის ქება-მოწონებაში.

პოლიტიკურ ორბიტაზე ახალი პარტია გამოჩნდა. ეროვნულ-კონსერვატიული პარტია 1993 წელს შეიქმნა, მაგრამ რეგისტრაციაში ჯერ არ გატარებულა. ეს საკითხი ერთ კვირაში მოგვარდებაო. ამ დღეებში პარტიის პირველი ყრილობა გაიმართა.

ეროვნულ-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეა ბექან ჯავახია. თუ საარჩევნო კანონი შეიცვლება, „ეროვნულ-კონსერვატორები“ ეროვნულ ძალთა გაერთიანების ბლოკის სახელით ყველა დონის არჩევნებში აპირებენ მონაწილეობას. ყრილობაზე მათ მხარდაჭერა გამოუცხადეს ოპოზიციურმა პარტიებმა. შეფასებებში სიტყვაძუნწმა ნოდარ ნათაძემ, „ეროვნულ-კონსერვატორები“ განსაკუთრებული სიმპათიით მოიხსენია. ამ პარტიის აღორძინებას ოპოზიციური ძალებისთვის „დიდად მნიშვნელოვნად“ მიიჩნევს ფრაქცია „21-ე საუკუნის“ თავმჯდომარე ვახტანგ ბოჭორიშვილი. ეროვნულ ძალებთან დამეგობრებულ „მრეწველთაგან“ ყრილობას დავით სალარიძე ესწრებოდა. მისი აზრით, ეროვნულ ძალთა გაერთიანებაში ბევრი ცნობილი, პოლიტიკურ დივიდენდებიანი პიროვნებაა, რომელთა მხარდაჭერას „მრეწველებისთვის“ დიდი მნიშვნელობა აქვსო. არის აზრი, რომ „მრეწველებს“ „ეროვნულებთან“ გაერთიანება ელექტორატის გაზრდის მიზნით დასჭირდათ. თუმცა, ამას „მრეწველები“ კატეგორიულად უარყოფენ: „ეროვნულ ძალთა გაერთიანებასთან“ ელექტორატის გადაბირება-გადმობირებისათვის არ ვთანამშრომლობთ. მიზეზი მარტივია: ის ელექტორატი ჩვენი არ არის და ჩვენსკენ არ წამოვა. პრეტენზია მხოლოდ პარლამენტსგარეთ და შიგნით მყოფი ოპოზიციური ძალების მუშაობის კოორდინაციაზე გვაქვსო.

„ოპოზიციურ ფლანგზე“ სიახლეა: მიუხედავად იმისა, რომ ედპ-ს ლიდერი „სახალხოს“ და ედპ-ს შესაძლო გაერთიანებას ან თუნდაც თანამშრომლობას, კატეგორიულად გამორიცხავს, ფაქტები სხვაზე მიანიშნებს. ედპ-მ განაცხადა, რომ ოზურგეთის მაჟორიტარული წესით არჩევნებში მხარს დაუჭერდა „სახალხოს“ კანდიდატურას ირინა კოპალეიშვილს. (ირინა კოპალეიშვილმა არჩევნებამდე ორი დღით ადრე მხოლოდ ზეპირი განცხადების საფუძველზე მოხსნა თავისი კანდიდატურა). ასეთივე მეგობრული ჟესტი გამოხატა ედპ-მ, როცა ხონის არჩევნების დროს „სახალხოს“ კანდიდატს დაუჭირა მხარი. ედპ-სა და მისი ლიდერის მიმართ ერთ დროს ანტაგონისტურად განწყობილი მამუკა გიორგაძე ამჯერად ძალიან კმაყოფილია. იგი არ გამორიცხავს ამ ორი პარტიის გაერთიანებას. — გაერთიანების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მთავარია, მოხდეს იდეოლოგიური პრინციპების ერთიანობა, სხვა ყველა ბარიერი გადაილახება. მათ შორის ლიდერის ბარიერიც. ასეთ შემთხვევაში ვინ იქნება ლიდერი, ჩემთვის სულერთიაო, — აცხადებს მამუკა გიორგაძე. ედპ-ს ლიდერი კი ყოველთვის მტკივნეულად აღიქვამს „სახალხოს“ და ედპ-ს გაერთიანებაზე საუბარს. არადა, ეს პროცესები აშკარაა.

პარლამენტში ოპოზიციურ ფრაქციათა ბოიკოტში რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი გამოიკვეთა: ითქვა, რომ აურზაურში არ მონაწილეობს ტრადიციონალისტი აკაკი ასათიანი. იგი ჩუმად არისო. საამისოდ ალბათ, მიზეზიც აქვს. პარლამენტის თავმჯდომარე საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების საფუძველად ოპოზიციის, კონკრეტულად კი ტრადიციონალისტების იდეას იღებდა. პოდა, აბა, რაში აწყობს აკაკი ასათიანს ეს გაწევ-გამოწევა. როგორც ამბობენ, უმრავლესობამ ნაწილობრივ „მრეწველების“ გულიც მოიგო. ყველასთვის მოულოდნელად ფინანსთა მინისტრი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების ინიციატორად გვევლინება და „მრეწველების“ ცვლილებებს ფაქტობრივად იმეორებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, „მრეწველების“ მოთხოვნას პარლამენტი განიხილავს. ყველაფერმა ამან კი ეჭვიანი ოპოზიცია აალელვა — „ტრადიციონალისტებსა“ და „მრეწველებს“ ოპოზიციურ კედელში ბზარის გაჩენა დააბრალდათ.

მოკლედ. ერთიან საპარლამენტო ოპოზიციაში გარკვეული უთანხმოებაა, თუმცა, ამის შესახებ ისინი ხმამაღლა არ საუბრობენ. პირიქით, „ალორძინების“ ერთ-ერთი ლიდერის ჯემალ გოგიტიძის აზრით, „ტრადიციონალისტებს“ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული ხედვა გააჩნიათ, მაგრამ ამის გამო არანაირი უთანხმოება არ არსებობსო.

— ის მოთხოვნები, რაც „ტრადიციონალისტებს“ აქვთ, რომ ქვეყანაში შეიქმნას ფედერაციული ინსტიტუტები, მთლიან ოპოზიციაში „ჯდება“ და შეიძლება ითქვას, რომ რადიკალური მიმართულებით ვითარდება. ჩვენ მათ ვეთანხმებით, მაგრამ იმასაც ვაცხადებთ, რომ ამ ეტაპზე მათი მოთხოვნის განხორციელება რთული იქნება, რადგანაც ამას ბევრი ბარიერი ახლავს დღეს არსებული ხელისუფლებისა და კანონმდებლობის სახით. ფედერალიზმის პრინციპი ეტაპობრივად შეიძლება განხორციელდეს, ანდა შესაძლოა, „ტრადიციონალისტებმა“ უარი თქვან თავიანთ დღევანდელ დამოკიდებულებაზეო, — ამბობს ჯემალ გოგიტიძე.

იტყვიან თუ არა „ტრადიციონალისტები“ უარს ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთ დამოკიდებულებაზე, ამას, ალბათ, მალე გავიგებთ. ამასობაში კი ოპოზიცია მაჟორიტარებსაც ებუტება, მმართველი პარტიის მხარეს გადაიხარნენო, ეს ისტორიაში დაფიქსირდებაო.

ცნობილია, რომ ოპოზიცია პარლამენტში ძირითადი საკითხების თანმიმდევრულ განხილვას ითხოვს — ჯერ კანონი თვითმმართველობის შესახებ, შემდგომ საარჩევნო კოდექსი და ამის შემდეგ დაიწყება საუბარი საკონსტიტუციო ცვლილებებზეო. სერიოზული და პრინციპული დავა მიდის პარლამენტში, თუ რა პრინციპით იქნება დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიები. საპარლამენტო ოპოზიციამ მოქკავშირს საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით თავისი ვარიანტი წარუდგინა. ეს პროექტი მმართველმა პარტიამ დაიწუნა. მათი განცხადებით, აქ დარღვეული იყო ყოველგვარი პარიტეტი.

მოგეხსენებათ, უმრავლესობამ არასამთავრობოების შეყვანა მოითხოვა ცსკ-ში. ოპოზიციამ ეს წინადადება თავდაპირველად გააპროტესტა: გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები დავალებული არიან მოქკავშირისგანო. არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობის წყარო არის გრანტები. ეს კი ხშირ შემთხვევაში ლობირების გზით კეთდება, მათი რეკომენდატორი მოქკავშირიაო. არასამთავრობოების სახით მოქკავშირი შეეცდება ცსკ-ში მის მიერ მართვადი წევრები ჩასვასო, — ასეთი იყო ოპოზიციის მოსაზრება. არასამთავრობოებთან ორდღიანი შეხვედრა-კონსულტაციების შემდეგ ოპოზიციამ არასამთავრობოებთან დაპირისპირებას მათთან თანამშრომლობა და ამით კეთილგანწყობის მოპოვება არჩია. მაგრამ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით პოზიცია-ოპოზიციას შორის სადავო საკითხები კვლავ ბევრია.

ადგილობრივი თვითმმართველობის კანონი და საარჩევნო კოდექსი რომ გავიდეს, ამას ოპოზიციის ხმები არ სჭირდება. საამისოდ უმრავლესობას საკმარისი ხმები აქვს, რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, ისმება კითხვა, — აქ ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ „მრეწველებთან“ ან „ტრადიციონალისტებთან“ გარიგება მოხდეს?

— არავისთან არანაირი გარიგება არა გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთვის ღია სხდომა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ჩვენმა და ოპოზიციის ამომრჩეველმა ნათლად წარმოიდგინონ შექმნილი სიტუაცია. გაერკვნენ, რას ვთავაზობთ ჩვენს ქვეყანას და ოპოზიციას და გაიგონ, სად გადის სიმართლის ხაზი. ჩვენთვის მთავარია, რომ ხალხს დავანახოთ, რა უნდა მოქკავშირს და რა უნდა ოპოზიციას. ამის გაგება ძალიან მნიშვნელოვანია, თორემ თუ არ შემოვიღეთ პრემიერ-მინისტრის პოსტი, ამით ქვეყანა ნამდვილად არ დაინგრევა. მაგრამ ეს არის ის ბერკეტი, რომელიც ჩვენ, დღევანდელ ხელისუფლებას მოგვცემს მანსს აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, — აცხადებს მოქკავშირის გენერალური მდივანი ედუარდ სურმანიძე.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტი ოპოზიციურ საპარლამენტო ფრაქციებს შეხვდა. შეხვედრის ძირითადი მიზანი თვითმმართველობის არჩევნების თემა იყო. პრეზიდენტი ოპოზიციურ ფრაქციებს შეხვდა არა ერთად, არამედ ყველას ცალ-ცალკე. ოპოზიცია აცხადებს, რომ უცვლელად დგას თავის პოზიციაზე. კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა მოხდეს ოპოზიციის ვარიანტის გათვალისწინება და რაღაც ერთიანი პოზიციის შეჯერება.

მზია გელენავა.



რეფორმების განხორციელებაში უცხოელები გვეხმარებიან

იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე გარდაქმნებით დღეს დიდად არის დაინტერესებული საერთაშორისო საზოგადოება და დონორი ორგანიზაციები, რომლებიც ყურადღებით ეცნობიან ახალგაზრდა, პროგრესულად განწყობილი მინისტრისა და მისი გუნდის მიერ სისტემაში განხორციელებულ სიახლეებს. მათი მხარდაჭერის მიზნით კი ისინი უკვე ეძებენ მიმდინარე რეფორმების ფინანსური და მორალური მხარდაჭერის გზებს.

ამ მიზნით, „პენალ რეფორმ ინტერნეიშენალმა“ „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ ფინანსური მხარდაჭერითა და თანადგომით თბილისში დააფუძნა თავისი ოფისი, რომელიც დღეისათვის უკვე ამუშავებს იუსტიციის სამინისტროს მხარდასაჭერ ძირითად მიმართულებებს.

სვეტიცხოველი მუდამ ისვეტიცხოვლებს

პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კობა ბუჩუკური უარყოფს ინფორმაციას სვეტიცხოვლის ტაძარში საგანგაშო მდგომარეობის შექმნის შესახებ და აცხადებს, რომ დღეისათვის იქ ყველა სამშენებლო სამუშაო გააზრებულად მიმდინარეობს. თავის დროზე ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მხრიდან სვეტიცხოველში შეუთანხმებელი მუშაობა წარიმართა, რამაც ეკლესიის სინოდსა და არქიტექტურის დეპარტამენტს შორის უთანხმოება წარმოშვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ეზოდან ამოღებულ დიდი რაოდენობით ქვებს თავისი დანიშნულება აუცილებლად ექნებოდათ, კობა ბუჩუკური თვლის, რომ ამ ქვების ამოღებით ეკლესიას საგანგაშო მდგომარეობა არ შექმნია. მთავარია, რომ მათი ამოღებით ზუსტად ერთი მეტრი და 10 სანტიმეტრი სიმაღლის მიწის ფენა მოიხსნა, რომელიც საძირკველზე მაღლა იყო და წყლის ბალავერში ჩადენის საშუალებას იძლეოდა.

მიწის ფენის მოხსნის შედეგად სადრენაჟო სისტემა წვიმის წყლების ეკლესიის საძირკველში ჩასვლის საშუალებას აღარ იძლევა, რითაც ამ ძეგლის გადარჩენისათვის მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა.

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში აღდგენითი სამუშაოები დღეს აქტიურად მიმდინარეობს.

ბიუჯეტის ხარჯები

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ხუთ თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა დაახლოებით 337 მილიონი ლარი შეადგინეს, ანუ წლიური გეგმის (1193,5 მილიონი ლარი) 28,2 პროცენტი.

უგრანტებოდ-70,7 მილიონი ლარი

2001 **წლის** სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესასრულებლად წლის ბოლომდე დარჩენილ თვეებში სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ საკუთარი შემოსავლების სახით (გრანტების გარეშე) უნდა შემოვიდეს 494,7 მილიონი ლარი, ანუ საშუალოდ 70,7 მილიონი ლარი ყოველთვიურად. იანვარ-მაისში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ 57,2 მილიონ ლარს უდრიდა. უცხოური გრანტების ჩათვლით წლის ბოლომდე გეგმის შესასრულებლად უნდა შემოვიდეს 560,3 მილიონი ლარი, ანუ საშუალოდ 80,0 მილიონი ლარი ყოველთვიურად.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.

პროკურატურა

მილიონს კიდევ 105 ათასი მიემატა

(პირველი გვერდიდან)

არ გაიკვირვოთ და პროკურატურასა და დამნაშავეებს შორის ამჯერად მიდის კაცური გარიგება, — თუ თანხა მთლიანად დაიფარება, საქმე მხოლოდ მერე შეწყდება. დამნაშავენი ითხოვენ დროს, ცხადია, ფული იოლი საშოვარი არაა. ამიტომ პროკურატურა მათ ანგარიშს უწევს და დროსაც აძლევს. წინასწარი გათვლებით, საოქტომბროდ შვიდმა ფირმამ ბიუჯეტს დაახლოებით 370 000 ლარი უნდა დაუბრუნოს და, შესაბამისად, მათ წინააღმდეგ აღძრული საქმეებიც დაიხუროს.

გარდა ამისა, გენერალურმა პროკურატურამ, ერთ-ერთი საქმის გამოძიებით და სადავო საკითხებისადმი პრინციპული, ობიექტური მიდგომით, 341.000 დოლარით შეამცირა ის საეჭვოდ გაზრდილი ვალი, რომელიც საქართველომ რუსეთს უნდა გადაუხადოს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურად. აქაც, საგამოძიებო ნაწილმა 30.000 დოლარი სუფთა ფული „მოიპოვა“, დაახლოებით 100.000 დოლარის კი მანქანები „დააყადაღა“. ესეც უდიდესი შეღავათია ჩვენი ქვეყნისათვის, რომელსაც თანხის წასართმევად უკვე ყელში უჭერს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი.

არავინ იფიქროს, რომ გენერალური პროკურატურა ერთბაშად იქცა კეთილ ძიად და ყველას ასე პანტა-პუნტით უშვებს გარეთ. არა! უკვე მთავრდება საკმაოდ რეზონანსული სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა „გმირები“ დაპატიმრებულნი არიან და მალე სასამართლოს წინაშე წარსდგებიან. ესენი არიან, მაგალითად, გოდერძი ჭეიშვილი შპს „ჯორჯიან დიზაინიდან“ (მიითვისა 338 909 ლარი), დავით გერგედავა და ვახტანგ ნაჭყებია აფხაზეთის ინვალიდთა კავშირიდან (დაიტაცეს 826.152 ლარი), ემზარ ჩაჩხიანი და თეიმურაზ ყიფიანი „საქენერგოდან“ (სახელმწიფო აზარალეს 6.150.000 ლარით) და სხვები.

ერთი სიტყვით, ტრიალებს არა ასი ათასები, რომელზედაც ადრე გაოცებისგან პირს ვაღებდით, არამედ უკვე მილიონები და აღარც აღარაფერი გვიკვირს. ამიტომ დაინგრა ჩვენი ენერგეტიკა და ამიტომ დაბეჩავდა უშუქოდ ჩვენი მოსახლეობაც. გასაკვირი ჯერჯერობით მხოლოდ ისაა, რომ ენერგომამებსა თუ ენერგომაფიოზებს ჯერ საკადრისად პასუხი არ უგიათ.

იქნებ, ახლა მაინც დაიძრას ყინული?

ბონდო გულიაშვილი.

კონფერენცია

ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისათვის

26 **ივნისს** თბილისში, მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში, საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ეროვნული საბჭოს ინიციატივით მუშაობა დაიწყო კონფერენციამ სახელწოდებით — „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისათვის“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ეროვნული საბჭოები და ევროპის ახალგაზრდობის ფორუმი.

კონფერენციის ძირითადი მიზანია სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებს შორის წარიმართოს დიალოგი და აზრთა გაცვლის საფუძველზე მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც უფრო ეფექტიანს გახდის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა საქმიანობას კავკასიაში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ეროვნული საბჭო 6 წელია მოღვაწეობს და იგი უკვე ევროპის ახალგაზრდობის ფორუმის სრულუფლებიანი წევრია. ეს ფაქტი კი, როგორც საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ კონსტანტინე იონათამიშვილმა კონფერენციის გახსნაზე აღნიშნა, მეტად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ევროპის ახალგაზრდობის ფორუმი უდიდესი ევროპული ახალგაზრდული გაერთიანებაა, რომელსაც ევროკავშირი, ევროსაბჭო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ახალგაზრდულ სფეროში პარტნიორად აღიარებენ.

კონფერენციაზე წაიკითხეს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მისალმება ამ შეკრების მონაწილეებისადმი, რომელშიც ქვეყნის მეთაური მხარს უჭერს ახალგაზრდების ინიციატივას, რომ სწორედ ისინი დგანან კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ბრძოლის ავანგარდში.

თავად ევროპის ახალგაზრდობის ფორუმს კი სამხრეთ კავკასიაში დაგეგმილი აქვს მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. კერძოდ, ახლო მომავალში ერევანში ახალგაზრდა ლიდერებისათვის ტრენინგის კურსები მოეწყობა, ხოლო 2002 წლისათვის სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ახალგაზრდა ლიდერები ბუდაპეშტსა და სტრასბურგში ევროკავშირის ეგიდით გამართულ კონფერენციაში მიიღებენ მონაწილეობას. აღნიშნულ პროექტებს კი ევროპის ახალგაზრდობის ფორუმის პრეზიდენტის ჰენრიკ სოდერმანის განცხადებით, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები და საერთაშორისო სავალუტო ფონდი დააფინანსებს.

საქინფორმი.

გვწამლავენ!

რუსმა სამხედროებმა 500 მილიონი დოლარის ეკოლოგიური ზარალი მოგვაყენეს

საქართველოს მწვანეთა პარტია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად კატეგორიულად ითხოვს რუსეთის სამხედრო ბაზების მიერ საქართველოსთვის მიყენებული ზარალის შეფასებას და რუსეთის მხარის მიერ მის ანაზღაურებას.

მწვანეთა პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის სამხედროების მიერ დაბინძურებულია მთელი საქართველო, რაც ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს კანონმდებლობას, არამედ საერთაშორისო ნორმებსაც.

მწვანეთა პარტიის გათვლებით, რუსეთის სამხედროების მიერ საქართველოსთვის მიყენებული ეკოლოგიური ზარალი 500 მლნ აშშ დოლარის ფარგლებშია, რაც 3-ჯერ აღემატება მოლაპარაკებებზე რუსეთის მიერ მოთხოვნილ თანხას. რუსეთი საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანისათვის 160 მლნ დოლარს ითხოვს.

პრაიმ-ნიუსი.

ნარკომანია

ზარის დარისხება დაგვიანებულია, მაგრამ...

„ქვეყნისათვის ნარკომანია უფრო საშიშია, ვიდრე ომი, რადგან ამ დროს ადამიანი იღუპება როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად“. თავის დროზე სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ეს შეგონება რომ გაგვეთვალისწინებინა, დღეს ერი და ბერი შეიძლება ამ სავალალო მდგომარეობაში არ აღმოვჩენილიყავით.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამჯერადაც მოსალოდნელი საშიშროება წინასწარ ვერ (თუ არ) განვჭვრიტეთ. რატომღაც გვეგონა, რომ ეს უბედურება ჩვენ არ შეგვეხებოდა, მაგრამ ჭირმა თავი მაინც იჩინა და ახლა, როცა გამოუვალ მდგომარეობაში, უშუალოდ ფაქტის წინაშე დავდექით, მასზე რეაგირების მცდელობა და რისხვის ზარების შემოკვრა დაგვიანებული აღმოჩნდა.

ჩვენი ქვეყნის საზღვრები დაუცველია. საქართველო, ნებსით თუ უნებლიეთ, ნარკოტიკების მწარმოებელი აღმოსავლეთის ქვეყნების მთავარი გზაგამტარის ფუნქციას ასრულებს.

ჩვენში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვამ და მოსახლეობაში მისმა მოხმარებამ თანდათანობით საშიში მასშტაბები მიიღო. რაც, თავის მხრივ, შიდსისა და ჰეპატიტის გავრცელებასაც უწყობს ხელს, რადგან დაავადებულთა 70-80 პროცენტი ინტრავენური ნარკომანია და ისინი ამ მხრივ ძირითად კერას წარმოადგენენ.

ჩვენი ქვეყნისათვის სწორედ ამ მავნე სენის წინააღმდეგ ბრძოლის გზების და მისგან თავის დაღწევის საშუალებების ძიებას მიეძღვნა გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში გამართული პრესკონფერენცია, რომელშიც პარლამენტის წევრი ჰამლეტ ჭიპაშვილი, საქართველოს შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ზურაბ შენგელია, საქართველოს უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის უფროსის მოადგილე ჯემალ ჯანაშია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგე, პროფესორი ელზა ვამაკიძე, შიდსის ცენტრის დირექტორის მოადგილე ცისანა შარტავა, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომის“ წარმომადგენელი გიორგი ბეგიაშვილი, საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე ზურაბ ცხოვრებაძე, UNICEF-ის საინფორმაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამების ხელმძღვანელი მაია ქურციკიძე, ახალგაზრდა ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტი ნინო ქვარიანი და არასამთავრობო ორგანიზაცია „საჩინოს“ პრეზიდენტი გურამ მამაცაშვილი და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წარმომადგენლები ანა მალიუგინა, მარინა ასათიანი და მზია ჩადუნელი მონაწილეობდნენ.

პრესკონფერენციაზე ამ პრობლემის ირგვლივ პირუთვნელი საუბარი გაიმართა. დაუფარავად დასახელდა ციფრიც. დღეს ჩვენ თურმე 200 ათასი ნარკომანი გვყოლია (ეს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებია).

ამ მდგომარეობიდან ნაწილობრივ თავის დაღწევის მიზნით კი საჭიროა სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა, ოღონდ არა ისეთის, როგორც ეს აქამდე საგარეჯოში იყო. ამისათვის მისი შექმნის ინიციატორებს ჯიქიას ქუჩაზე შენობაც კი შეურჩევიათ, მაგრამ როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „საჩინოს“ პრეზიდენტმა გურამ მამაცაშვილმა განაცხადა, ამის წინააღმდეგ თურმე რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, თვით შინაგან საქმეთა სამინისტრო წასულა, რადგან მათ ქალაქის ცენტრში მსგავსი დაწესებულების არსებობა არამიზანშეწონილად ჩაუთვლიათ?!

ეს იმ დროს, როცა თავად ქალაქია ნარკომანებით სავსე.

პროფესორ ელზა ვამაკიძის აზრით, ნარკომანები დღეს საზოგადოებისაგან თავს გარიყულად გრძნობენ. ის გამოსავალს ამ პრობლემის საფეხურებად დაყოფაში და ყველა მათგანთან ინდივიდუალურ მიდგომაში ხედავს.

საბოლოოდ კი ყველა ერთ დასკვნამდე მივიდა. საქართველომ უნდა გამოიყენოს ყველა ის საშუალება, რომელთა პრაქტიკა უკვე დიდი ხანია არსებობს ცივილიზებულ ქვეყნებში.

დღევანდელ სიტუაციაში, როცა ჩვენი ქვეყანა ირგვლივ ხილული თუ უხილავი მტრებითაა გარემოსილი და ჩვენზე თვალიც ცუდად უჭირავთ, გადარჩენის გზები თავად უნდა ვეძებოთ და ნარკომანიის ჭაობში შეგნებულად არ უნდა ჩავეფლოთ.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 155. ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2001 წელი.

განსჯა

საქართველო — ფედერაციული, რეგიონალიზებული თუ დეცენტრალიზებული?

ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე

(პირველი გვერდიდან)

პირველი კონსტიტუციური ცვლილება, ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, შეეხო აჭარის ავტონომიას. თავისთავად ეს ფაქტი მხოლოდ მისასალმებელია, მაგრამ კანონმდებელმა ცუდად დაიწყო ტერიტორიულ მოდელთან დაკავშირებული ცვლილებები. კერძოდ, მან განსაზღვრა აჭარის ავტონომიის ფორმა ისე, რომ ღიად დატოვა ავტონომიის შინაარსის საკითხი.

ცნობილია, რომ ავტონომიის შინაარსი შეიძლება მერყეობდეს უნიტარული სახელმწიფოს დეცენტრალიზებული ერთეულიდან ფედერაციის სუბიექტამდე, ასევე, სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს იგი სახეების მიხედვით (ტერიტორიული, პერსონალური, ორგანიზაციული, კულტურული, რეგიონული, ფუნქციური და ა. შ.). კონსტიტუციურ კანონს უნდა გაემიჯნა ცენტრალური ხელისუფლებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და იგი ჯერ კიდევ მარშან სექტემბერში უნდა მიეღო საქართველოს პარლამენტს. შეიქმნა კანონპროექტის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიაც, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა.

ფორმა, ბუნებრივია, მოითხოვს შინაარსს. სიტუაცია, როდესაც კონსტიტუციურად განსაზღვრულია ავტონომიის ფორმა, ხოლო შინაარსი ღიადაა დატოვებული, იურიდიული თვითნებობის შესანიშნავ საშუალებას აძლევს თბილისსაც და ბათუმსაც. როდესაც არ გვაქვს სამართლებრივად მკაცრად განსაზღვრული უფლებამოსილებების ჩამონათვალი, განმსაზღვრელი ხდება ცენტრისკენულ და ცენტრიდანულ მისწრაფებათა შორის არსებული ბალანსი. ასეთი მდგომარეობა აბსოლუტურად სიტუაციურია და იგი ხელს არ უნდა აძლევდეს არც ერთ მხარეს და, პირველ რიგში, ქვეყანას. ამ ძალებს შორის თანაფარდობის შეცვლის შემთხვევაში არც ერთი მხარე არ იქნება იურიდიულად დაცული. სამართლებრივად არაკონტროლირებადი პროცესის დეზორგანიზაციული გავლენა კი სავსებით რეალური და ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

რატომ ფედერალიზმი?

საქართველოს შესაძლო ფედერირების პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის შემადგენლობაში აფხაზეთის რეინტეგრაციის საკითხს.

ფედერაციული სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის რთული ფორმაა. ისტორიულად, მსოფლიოს ყველა ფედერაციულმა სახელმწიფომ (ასეთი კი დღეისათვის 27-ია, სადაც ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 40 პროცენტი და მოიცავს დედამიწის 52 პროცენტს) ფედერალური მოდელი აირჩია მათ წინაშე არსებული პრობლემების გადასაწყვეტად.

ფედერალიზმი ნიშნავს მართვის გართულებული სისტემის შემოღებას. მაგრამ, საკითხი ყოველთვის უნდა დაისვას შემდეგნაირად: რა უფრო რთული პრობლემა შეიძლება იყოს საქართველოსათვის — ფედერალიზმი თუ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის რეინტეგრაცია? ვფიქრობ, ამ შემთხვევაში პასუხი ნათელი უნდა იყოს.

ფედერალური მართვის სისტემა არის, არსებითად, ერთადერთი მოდელი, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრება ერთიან სახელმწიფოში. ფედერალური მოდელი, ცხადია, ავტომატურად ვერ მოხსნის ქართველთა და აფხაზთა შორის არსებულ სირთულეებს. პრობლემა, რასაც ეწოდება „ქართულ-აფხაზური“ ურთიერთობები, დარჩება, რამდენადაც ჯერ კიდევ ძლიერია გაუცხოების გრძნობა და განწყობა „ჩვენ/ისინი“. მაგრამ, ფედერალიზმის ერთ-ერთი პარადოქსი სწორედ ისაა, რომ „ჩვენ ერთმანეთს ვუახლოვდებით ერთმანეთისაგან დაშორების გზით“. ფედერალიზმი ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პრობლემის გადასვლას დიალოგის სიბრტყეში და წარმართავს მას ერთიანი პოლიტიკური სისტემის ფარგლებში.

ცხადია, დევოლუციური ფედერალიზმი (როდესაც ფედერალური სისტემის შემოღება ხდება უნიტარული სახელმწიფოს ფედერირების, და არა დამოუკიდებელ სუბიექტთა საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანების შედეგად) შეიძლება იყოს არა ეთნიკური, არამედ ტერიტორიული ფედერაცია. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთისათვის მინიჭებული ავტონომიური უფლებების სუბიექტი იქნება არა მარტო ეთნიკურად აფხაზი, არამედ აფხაზეთის მთელი მოსახლეობა.

ფედერალური კავშირი არის დანაწილებულის გამთლიანების და არა ერთიანის დანაწილების საშუალება. ფედერალურ კავშირში გაერთიანება გულისხმობს განვითარებას ცენტრალიზაციის მიმართულებით, როდესაც აფხაზეთი მთელ რიგ კომპეტენციებს გადასცემს ცენტრს და, მაშასადამე, თმობს კომპეტენციათა ნაწილს. მაგრამ, რასაც აფხაზეთი „დაკარგავს“ კომპეტენციების მოცულობის თვალსაზრისით, მოიგებს მას სივრცეში. კერძოდ, აფხაზეთი მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. აფხაზეთი ღებულობს არა მარტო ფართო ავტონომიას, არამედ ის, ასევე, იღებს პასუხისმგებლობას საქართველოს სახელმწიფოს მართვაზე საქართველოს პარლამენტის მეორე პალატაში, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სასამართლო ხელისუფლებასა და კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში მონაწილეობით. ამ მონაწილეობის ფორმები მრავალფეროვანია და ისინი უნდა განისაზღვროს მხარეთა შორის მოლაპარაკების პროცესში.

ფედერალურ კავშირში გაერთიანებით აფხაზეთს ეძლევა უფრო ფართო ბაზარზე გასვლის, ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური რესურსების გადანაწილებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის პერსპექტივა და სხვ.

როგორც ფედერაციის სუბიექტი, აფხაზეთი უნდა განიხილებოდეს როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფოს წევრი და არა მისი ნაწილი (როგორც ეს ავტონომიების შემთხვევამია), ხოლო ეთნიკურად აფხაზი — არა როგორც უმცირესობა, არამედ როგორც ქართული სახელმწიფოს ჩამომყალიბებელი ერთ-ერთი ერი.

შესაბამისად, აფხაზეთის მართლწესრიგი იქნება არა დელეგირებული მართლწესრიგი, არამედ სახელმწიფოს „წევრი-მართლწესრიგი“. აფხაზეთს ცენტრი არ „აძლევს“ კომპეტენციებს, რადგან მას, ვინც რამეს „იძლევა“, ასევე შეუძლია მიცემულის „წართმევა“. მართვის ფედერალური სისტემა გამორიცხავს ისეთი „სუპერინსტანციის“ არსებობას, რომელსაც თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია სახელმწიფო უფლებამოსილებათა დე-ან რეცენტრალიზაცია. თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობა არ გამორიცხავს იერარქიას, მაგრამ ამ ურთიერთობისათვის უცხო იქნება „ცენტრი-პერიფერიის“ მოდელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ქართული მხარისათვის პოლიტიკურად მიზანშეწონილი არ უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთის სტატუსის ცალმხრივად განსაზღვრა. აფხაზური მხარის მონაწილეობის გარეშე ამ მიმართულებით კონსტიტუციურ ცვლილებებზე მუშაობა მხოლოდ დამატებითი ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება გახდეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზაციის გზაზე. აფხაზების მონაწილეობის გარეშე აფხაზეთთან დაკავშირებული სტატუსის საკითხი მოკლებული იქნება ლეგიტიმაციის აუცილებელ საფუძველს. ისევე, როგორც აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე აფხაზების მიერ განხორციელებული ნებისმიერი საკანონმდებლო საქმიანობა შეუძლებელია იყოს ლეგიტიმური.

აფხაზთა დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით შესაძლებელია დავუშვათ ე. წ. პოზიტიური დისკრიმინაციის სისტემა, რომელიც გულისხმობს ეთნიკური აფხაზების მიმართ განსაკუთრებული ხელშეწყობის პოლიტიკის გატარებას. ამასთანავე, ეს სისტემა უნდა გამორიცხავდეს უმრავლესობის კანონიერი უფლებების დარღვევას, ხოლო „უმცირესობის კარგად ყოფნა“ არ უნდა ნიშნავდეს „უმრავლესობის ცუდად ყოფნას“. ამ სისტემამ, ასევე, არ უნდა წაახალისოს აფხაზების თვითიზოლაციონიზმი, ხელი არ უნდა შეუშალოს სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას (როგორც საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას) და ა. შ.

ფედერირებული საქართველო?

ფედერალიზმი არ წარმოადგენს ჯადოსნურ საშუალებას. განსაკუთრებით შეზღუდულია მისი შესაძლებლობები კონფლიქტურ, არახელსაყრელ სიტუაციაში (როგორც დღეს ჩვენ გვაქვს აფხაზეთში). სიცოცხლისუნარიანი ფედერალიზმის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ერთად ცხოვრების, სოლიდარობის გარკვეული მინიმუმი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ფედერალური სისტემა განწირულია უმოქმედობისათვის. ფედერალიზმი არ ამართლებს ისეთ საზოგადოებაში, სადაც ცენტრიდანული ტენდენციები უფრო ძლიერია, ვიდრე მისწრაფება პოლიტიკური ერთიანობისაკენ. ასევე, ილუზიურია რწმენა ფედერალიზმის ყოვლისშემძლეობისადმი. ფედერალიზმი ხელს უწყობს მთელი რიგი პრობლემების განეიტრალებას სახელმწიფოში, მაგრამ ფედერალიზმი თვითონაც არის პრობლემა. განსაკუთრებით პრობლემურია ორსუბიექტიანი ფედერაცია.

პოლიტიკური პრაქტიკა ამტკიცებს, რომ ორი სუბიექტისაგან შემდგარი ფედერალური გაერთიანება დაშლის გაცილებით უფრო მეტი პოტენციალის შემცველია, ვიდრე რამდენიმე სუბიექტისაგან შემდგარი ფედერაცია. ეს მომენტი უდავოდ ანგარიშგასაწევია ქართულ სინამდვილეში. პოლიტიკური „ფრონტის“ ხაზმა არ უნდა გაიაროს მხოლოდ სოხუმსა და თბილისს შორის, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება მარტო არ უნდა აღმოჩნდეს ფედერაციის სუბიექტის წინაშე. ცენტრმა „თავისი მიზნებისათვის“ გონივრულად უნდა გამოიყენოს ფედერაციის სუბიექტებს შორის კოალიციები, ან შეასრულოს ერთგვარი მედიატორის ფუნქცია ფედერაციის სუბიექტებს შორის წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში.

გიორგი ხუბუა,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.
(გაგრძელება იქნება).

ჟურნალისტური კონტროლი

ბაზალეთში ისევ წვიმს

ფიქრი და საუბარი ერთი ფსევდოჟურნალისტური „გამოძიებისა“ და საქართველოში ტურიზმის აღორძინების პროგრამის აბუჩად აგდების გამო

ასეა: ჩვენ ხშირად ვწერთ სხვათა პასუხისმგებლობაზე, მაგრამ... ჟურნალისტურზე — იშვიათად. მართლაც, გადახედეთ ჩვენი „პატივცემული პრესის“ ფურცლებს, შეხედეთ ზოგიერთი ტელეარხის ეკრანებს და თავადვე დარწმუნდებით იმაში, თუ რა ძალა ჰქონია ერთ წვეთ ფსევდოჟურნალისტურ კუპრს, რომელმაც კასრი თაფლი კი არა, თურმე მთელი ქვეყანა შეიძლება მოწამლოს.

ახლახან ჩვენი გაზეთის რამდენიმე გვერდიც კი დავუთმეთ საქართველოს პროკურატურის განცხადებას, სწორედ ჩვენი ახლანდელი ვაიჟურნალისტიკის მიერ გალანძღული ერთი წესიერი ქართველი მოღვაწე კაცის სინდის-ნამუსისა და ღირსების აღდგენას რომ ისახავდა მიზნად. ვალერი ასათიანი, ეტყობა, არც პირველია და, ალბათ, არც უკანასკნელი, რომელიც ემსხვერპლა ამ განუკითხაობას, მაგრამ... რა ვქნათ, რა ვუყოთ, რით ვუშველოთ იმათ, ვინც ახლაა გამზადებული მორიგ სამსხვერპლოდ და საბუჩოდ...

მაპატიონ, მაგრამ ჟურნალისტიკა „ნინიას ბაღი“ არ არის, ვისაც როგორც უნდა ისე შევიდეს და გამოვიდეს, რაც უნდა ის დაკრიფოს და მერე საწამლავად ჩამოურიგოს საზოგადოებრიობას. ვინც აქ შესვლას გადაწყვეტს, უნდა იცოდეს, რომ სწორედ მის კართან უნდა დატოვოს ყოველი პირადული და საკუთარი, რაც, როგორც ჩანს, არც ისე იოლია ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში, რადგან პროფესიულ ჟურნალისტიკას, პროფესიონალიზმთან ერთად, სხვა ისეთი ზნეობრივი „საფანელიც“ სჭირდება, რომელსაც ვერც იყიდი და ვერც იქირავებ...“

დღეს ისევ, ერთი შეხედვით, თითქოსდა, გაცვეთილ თემას — საქართველოში ტურიზმის აღორძინების, კერძოდ კი, ბაზალეთის ახალი, თანამედროვე ტურისტული კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს მინდა დავუბრუნდე და კიდევ ერთხელ შევახსენო მათ, ვისაც ჯერ არს, რომ სახელმწიფო და საპრეზიდენტო პროგრამების ჟურნალისტური უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც შევქმენით რედაქციაში, ვერაფრით შეურიგდება იმ უპასუხისმგებლობას, ჩვენი ზოგიერთი უწყება რომ იჩენს ამ პრობლემისადმი, მით უმეტეს, პრეზიდენტის ბრძანებულებისადმი, რომელიც მოითხოვს ამ საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას.

იმისათვის, რომ უფრო კომპეტენტური ყოფილიყო ჩვენი დამოკიდებულება ამ თემისა თუ პრობლემისადმი, გადავწყვიტე ამ დარგის მესვეურთან — საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან — ვაჟა შუბლაძესთან საუბარში კიდევ ერთხელ გადამემოწმებინა ჩემი შეხედულებები ამ ფაქტისადმი და გამეაზრებინა ის გასააზრებელი, რომელიც დაეხმარება ჩვენს საზოგადოებრიობას სრულფასოვნად და ობიექტურად გაერკვეს შექმნილ სიტუაციაში, მაგრამ...

ვიდრე ამაზე გადავიდოდე, ერთ მცირე გადახვევას შემოგთავაზებთ:

* * *

ამას წინათ, ერთმა ჩვენმა სატელევიზიო კომპანიამ, რომ იტყვიან, ნამდვილი „გასამართლება“ მოუწყო ჩვენში საერთაშორისო ტურიზმის აღორძინებისათვის დაწყებულ ერთ საინტერესო წამოწყებას და იგი, ლამის, საერთაშორისო მაქინატორთა მიერ საქართველოში დაწყებული თარეშისა და ძარცვა-გლეჯის საგნად წარმოგვიდგინა. ხალხიც ისეთი ჰყავდათ მოწვეული, რომ მათ სინდისიერებასა და პატიოსნებაში ძნელად თუ შეიტანდით ეჭვს. მერე და მერე, საუბარი და განსჯა-კამათი რომ „გახურდა“, გავარკვიე, რომ ამ დალოცვილებს თურმე მსოფლიოში გავრცელებული ტურიზმის ისეთ წამყვან სახეობაზე ჰქონდათ საუბარი, როგორიცაა „ტაიმშერი“ — პლანეტის მილიონობით ადამიანი რომ სარგებლობს მისი სიკეთით.

ერთადერთი ნათელი წერტილი მთელ ამ ე. წ. „ჟურნალისტურ გამოძიებაში“ გახლდათ ისევ და ისევ საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მაია მარგველაშვილის გამოსვლა, რომელმაც საბოლოოდ ნათელი მოჰფინა ამ შეხლა-შემოხლის უსაფუძვლობას, რაც, რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, საცერში ჩასხმული წყალივით სადღაც დაეკარგათ ტელეჟურნალისტებსაც და, აქედან გამომდინარე, ტელემაყურებლებსაც.

ეს უკანასკნელნი კიდევ უფრო გააოცა ფაქტმა, როდესაც „მსოფლიო მაქინაციის“ უმაღლეს მწვერვალად გამოცხადებულ „ტაიმშერს“, პატრონად გამოუჩნდა ცნობილი ბიზნესმენი — ბაზალეთის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ინვესტორი და მშენებელი ილია მოსიაშვილი, რომელიც თავისი გამოცდილებითა და პროფესიონალიზმით ამ დარგის ერთ-ერთ წამყვან ექსპერტად არის აღიარებული საქართველოში, ამერიკასა თუ ისრაელში.

ასეთ დროს, პროფესიულ ჟურნალისტიკაში წესია: უნდა იკითხო, და... მეც განმარტებისათვის დავურეკე ბატონ ილიას:

— ის, რაც თქვენ ნახეთ და მოისმინეთ, — მითხრა ილია მოსიაშვილმა, — ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გაუწიო დისკრედიტაცია ნებისმიერ პროგრესულ მიმდინარეობას, ამ შემთხვევაში „ტაიმშერული“ ტურისტული მომსახურების მსოფლიოში აღიარებულ მეთოდს ისე, რომ მისკენ აღარავინ გაიხედოს საქართველოში, აი, ეს გახლავთ ჟურნალისტური არაკომპეტენტურობის, საქმეში ჩაუხედაობის კონკრეტული ნიმუში, რომლის მიზანია ძირშივე მოკლას და მოსპოს ნებისმიერი პროგრესული წამოწყება. წარმოიდგინეთ, — განაგრძობს ბატონი ილია, — მე და ჩემმა პარტნიორმა — ინვესტორებმა, რომლებიც თითქმის ათეულობით მილიონ დოლარს ვდებთ ბაზალეთის კომპლექსის მშენებლობაში, მისი დატვირთვის უზრუნველსაყოფად ისეთ არაკეთილსინდისიერ მეთოდს მოვკიდოთ ხელი, რომელიც საბოლოოდ წერტილს დაუსვამს მთელ ჩვენს მრავალწლიან შრომასა და ძალისხმევას. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ის ახალგაზრდები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში „ტაიმშერის“ დამკვიდრებას, ჩემთან მოვიყვანე და ყველა პირობას ვუქმნი ამ საქმიანობის გაფართოებისათვის, ხოლო იმ მოქალაქეებს, რომლებიც მოისურვებენ გააგრძელონ თავიანთი ურთიერთობა „ტაიმშერულ“ ტურისტულ მოძრაობასთან, ვთავაზობ თანამშრომლობას ჩვენს ფირმასთან.

როგორც ხედავთ, თურმე არც ისე წვიმს, როგორც ქუხს „რუსთავი-2“-ის ეთერში.

ახლა კი, როგორც შევპირდით, ისევ „ბაზალეთის“ პრობლემებს და ამ დარგში ყველაზე კომპეტენტურ პირთან — საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, ვაჟა შუბლაძესთან საუბარს დავუბრუნდეთ:

— ჯერ „ტაიმშერინის“ თემით დავიწყებ... ეს, როგორც იცით, — აღნიშნა ბატონმა ვაჟამ, — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციების საქმიანობაში და ითვალისწინებს დასვენების უფლების ყიდვას. მაგალითად, მე თავად მომისმენია კანარის კუნძულების ტურისტული ინდუსტრიის მეპატრონე „მამათა“ აზრი იმის თაობაზე, თუ როგორ შეუწყო ხელი ამ სისტემამ კანარის კუნძულების ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. აქ, ამ კუნძულებზე თითქმის არ არის არც ერთი სასტუმრო, არც ერთი აპარტამენტი, რომელიც წინასწარ არ იყოს გაყიდული დასვენების უფლებით. იყიდება ერთ თუ ორკვირიანი დასვენების უფლება. ადამიანმა იცის, რომ 50 წლის განმავლობაში, ყოველ წელს, მისთვის სასურველ დროს, მას მფლობელობაში აქვს საკუთარი დასასვენებელი, რომელშიც ამ დროს ვერავინ შევა, რადგან იგი მას ან მის მიერ გაგზავნილ დამსვენებელს ელოდება.

ამასთან, მე მესმის იმათიც, ვინც რაღაც სირთულეები დაინახა საქართველოში ამ სისტემის მუშაობაში. საზღვარგარეთ იშვიათია ოჯახი, რომელსაც რამდენიმე ადგილას — მთაში, ზღვაზე თუ სხვაგან ნაყიდი არ ჰქონდეს დასვენების უფლება, აქ არ არსებობს პრობლემები, რომლებიც დააბრკოლებენ ამ უფლების გამოყენებას. საქართველოში კი, ვიღაცამ შეიძინა ეს უფლება, შემდეგ მიადგა საკონსულოს ვიზისათვის, მაგრამ იგი რატომღაც ვერ მიიღო. აი, აქ ატყდა ის აურზაური, რომელიც საფუძვლად დაედო აჟიოტაჟს, რომელიც შეიქმნა „ტაიმშერის“ ირგვლივ.

გია ჭელიძე.
(დასასრული იქნება).

მხარე

კოხტაგორას გმირის საუფლოში

ანუ აღორძინებული საქართველოს ხვალინდელი დღის მახარობელი პირველი მერცხალი — ხობის რაიონი



გვესაუბრება ხობის რაიონის გამგებელი ანზული მიქავა

ხობელთა თავკაცთან, ბატონ ანზული მიქავასთან დიალოგი არ მინდოდა ციფრებს და სტატისტიკურ მონაცემებს გადაეტვირთა, რაღაც ბუხჰალტრულ ანგარიშებს დამსგავსებოდა, კანცელარიული ენაბრგვილობით გამორჩეულს; ამიტომაც თავად ვიზრუნე მოსალოდნელი საფრთხის გასანეიტრალებლად, იმთავითვე მოვიძიე მასალები სათანადო უწყებიდან და გარკვეული ფონის შესაქმნელად გთავაზობთ მცირეოდენი სტატისტიკური იერცვლილებით.

2000 წელს ხობის რაიონში გამოშვებულია მილიონ 300 ათასი ლარის სამრეწველო პროდუქცია; ზრდის ტემპმა შეადგინა 105.5 პროცენტი. რეალიზებულია 1250 ათასი ლარის პროდუქცია, რომლის 48 პროცენტი ექსპორტზე მიდის. აღნიშნული მიღწეულია ჩაის გადამმუშავებელი და დაფნის დამფასოებელ მცირე საწარმოთა ამოქმედებით.

ასევე, 2000 წელს ამოქმედდა მიკროსაკონსერვო ქარხანა, რომელიც ძირითადად სამეგრელოს ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობს.

უკრაინა-საქართველოს ერთობლივი საწარმო „ბაგრატი“ რეგიონის მოსახლეობიდან აწარმოებს სუბტროპიკულ მცენარეთა ნაყოფის შესყიდვა-დაფასოება-რეალიზაციას.

დადებითი ძვრებით ხასიათდება აგროსამრეწველო კომპლექსი.

მაქსიმალურად არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიებით და გაეროს სასურსათო პროგრამის „საკვები სამუშაოებისათვის“ მიზნობრივი გამოყენებით დამთავრდა ეკალ-ბარდით დაფარული ჩაის პლანტაციების გამოყვანა და ბოლო წლებში საშუალოდ წლიურად იკრიფება 3000 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ჩაის პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, უზრუნველყოფილია ამ სფეროში დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურება.

უმოქმედო დაფნის კომბინატის ბაზაზე დაფუძნებულ 17 ერთეული დაფნის შემსყიდველ-დამფასოებელი მცირე საწარმოს მეშვეობით 2000 წელს შესაძლებელი გახდა 1000 ტონაზე მეტი ხმელი დაფნის ფოთლის შესყიდვა, დაფასოება და რეალიზაცია დსთ ქვეყნებში.

სახელმწიფოს ხელშეწყობით ფუნქციონირებს მეცხოველეობის სანაშენე საწარმო, რომელსაც გამოჰყავს ადგილობრივი ჯიშის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

ექსპერტული შეფასებით, აგროსამრეწველო კომპლექსში 2000 წელს წარმოებულია 3900 ტონა ყველა სახეობის — ხორცი, 7800 ტონა რძე, 29481 ტონა სიმინდის მარცვალი, 260 ტონა სოია, 1800 ტონა ბოსტნეულ-ბაღჩეული, 3220 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 1100 ტონა დაფნის ხმელი ფოთოლი, 650 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, 1650 ტონა კურკოვან-თესლოვანი ხილი და სხვა.

ეროვნულ მეურნეობაში მიღწეულმა პროგრესმა თავისი ასახვა ჰპოვა ბიუჯეტში სახსრების მობილიზაციის საქმეში. თვეების მიხედვით სტაბილურად სრულდებოდა ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები. 2000 წლის საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა შესრულდა 107 პროცენტით, მათ შორის, ცენტრალური — 117,4 პროცენტით და ადგილობრივი - 103,5 პროცენტით. ასევე, გადაჭარბებით შესრულდა სოციალური ბიუჯეტების საპროგნოზო მაჩვენებლები.

საქართველოს პრეზიდენტის უშუალო მხარდაჭერითა და ხობის რაიონის ხელმძღვანელებისა და ყოფილი პარლამენტარის, გოდერძი ბუკიას ძალისხმევით, სოფელ ყულევში, მდინარე ხობის შესართავთან, 2000 წლის აპრილის თვეში დაიწყო ტერმინალის მშენებლობა.

მშენებლობაზე წლის განმავლობაში დახარჯულმა უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 6 მილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტში გადარიცხულია 2,5 მილიონ ლარზე მეტი.

ცნობილი მიზეზების მიუხედავად, არ დარღვეულა კულტურული და სპორტული ცხოვრების რიტმი. ყველა სოფელში მოქმედებს კულტურის ობიექტები, შექმნილია კულტურის ცენტრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმები.

ჯანდაცვის სფეროში რეფორმების მიმდინარეობასთან ერთად მიზანმიმართული მუშაობა ხორციელდება ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში. საქართველოს საინვესტიციო ფონდის პროგრამით დაწყებულია უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის ცენტრის კაპიტალური შეკეთება. ხობის ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურმა განყოფილებამ საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, გერმანულ სამედიცინო ფირმა „ალფა-ნორმასთან“ თანამშრომლობით ჩაატარა მენჯ-პროთეზირების ოთხი ოპერაცია.

დაახლოებით ასეთია საკანცელარიო ენით დახატული ხობის რაიონის სადღეისო სურათი.

ამ მცირედი შესავლის შემდეგ უშუალოდ საქმეზე გადავიდეთ:

— ბატონო ანზულ, ციცხვის ამბავი კოვზმა უკეთ უწყის და, რადგანაც თქვენი რაიონის მაჯისცემა უებრო დასტაქრივით ზედმიწევნით გაგითავისებიათ, ნება მიბოძეთ, უმთავრეს მიმართულებებზე გავამახვილო ყურადღება, ჩვენი დღევანდელი საუბარი არსებითად უცხოური ინვესტიციების მოზიდვით შემოიფარგლება. ჩემი შემოქმედებითი მივლინება მურობუმში „ტერმინალ-2000“-ზე საუბრით დაწყებულა და ბარემ ერთად დავაგვირგვინოთ ეს საქმე. იქნებ ბრძანოთ, საიდან დაიბადა ეს იდეა, რას ისახავდა მიზნად?

— ნდობა, რომელიც გამოგვიცხადა ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ, უნდა გაამართლო. ეს ჩემი კრედოა. ანალოგიურად, ადგილებზე არც სხვას მივცემ იმის უფლებას, აღებული პასუხისმგებლობის შესუსტებით ბოროტად გამოიყენოს ჩემს მიერ გამოცხადებული ნდობა მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ქვეყნისა და მოსახლეობის ხარჯზე. გამომდინარე აქედან, რაც უფრო ჩახედული ხარ საქმეში, მით უფრო გაფიქრებს, როგორ, რა საშუალებით შეიძლება რაიონში არსებული ინტელექტუალური და კულტურული პოტენციალის გაერთიანება. აქ კი, წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ მაღალი პროფესიონალიზმი, საქმის ცოდნა. არ უნდა შეგვეშინდეს ახალი სახეების გამოყენის. ნებისმიერი საკითხის შეფასებაში უნდა ვიყოთ ობიექტურნი. სწორედ ინტელექტითა და მაღალი პროფესიონალიზმით დავძლევთ პრობლემებს. უპირველეს საზრუნავად მიმაჩნია იმ გამოუყენებელი და აუთვისებელი ეკონომიკური რეზერვების ამოქმედება, რომლებიც არა მხოლოდ ჩვენი რაიონის, არამედ მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ იქნება მიმართული. სწორედ ასეთი მიდგომისა და განწყობის შედეგია რაიონის მოსაზღვრე შავი ზღვის ფაქტორის ამოქმედება.

სოფელ ყულევში, მდინარე ხობის წყლის შესართავთან, უნიკალურმა გეოგრაფიულმა პირობებმა მოგვცა შესაძლებლობა ტერმინალის მშენებლობის იდეას ხორცი შესხმოდა. რამდენიმე წლის წინათ, ალბათ, ვერავის დააჯერებდი ამ ადგილებში ტერმინალის მშენებლობის შესაძლებლობაზე. წინაპართა სიბრძნეა: ყველა მდინარე თავის ძველ კალაპოტს უბრუნდებაო. ტერმინალის მშენებლობის იდეამ საფუძველი დაუდო ოდინდელი ფუნქცია დაბრუნებოდა ისტორიულ რედუტკალეს ცნობილ დღევანდელ ყულევს, რომელიც თავისი პირობებით ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ამ ძველ ისტორიულ ადგილზე თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონის ტერმინალის მშენებლობა არის არა მხოლოდ რაიონული, არამედ ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, რომელიც თავისთავად მრავალ პოლიტიკურ ასპექტს მოიცავს. ასეთი მასშტაბური ობიექტის მშენებლობა ვერ განხორციელდებოდა, რომ არა ქვეყნის ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერა.

მხარდაჭერისა და თანადგომისათვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ნინო ჩხობაძეს, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს მერაბ ადეიშვილს, ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრს ივანე ჩხარტიშვილს, ასევე ყველა იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელს და კერძო პირს, ვინც საჭირო კონსულტაციების გარდა, დიდი შრომა გასწია პროექტის დეტალებზე მუშაობაში, სანამ ქვეყნის პრეზიდენტის მაგიდაზე დაიდებოდა.

პრეზიდენტმა პროექტი მოიწონა და თანხმობა მისცა ტერმინალის აშენების იდეის პრაქტიკულად განხორციელებას.

სხვათა შორის, უნდა გითხრათ, ამ ბრძანებულებას ბატონმა ედუარდმა ზუსტად 25 აგვისტოს მოაწერა ხელი. აგვისტო ჩემგან ბედნიერებით დაცლილი თვეა და დარწმუნებული ვარ, ტერმინალი დიდი სიკეთის მომტანი იქნება არა მარტო ხობის რაიონისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ეს შედეგი ნაწილობრივ ახლაც ჩანს.

ტერმინალის მშენებლობაზე თანხმობა სპონტანურად რომ არ მომხდარა, ფაქტია და თუ რა მიზანი აქვს ამ მშენებლობას, ქვეყნის დღევანდელობასა და ხვალინდელზე მოფიქრალ და მიყურადებულ ნებისმიერ ქართველს, ამ კითხვაზე პასუხი არ გაუჭირდება.

თუ მაინცდამაინც ჩემი მოსაზრება გაინტერესებთ, გეტყვით: გაჩნდა სამუშაო ადგილები, დასაქმდა ხალხი, რომელთა ოჯახებსაც გაუჩნდა ფინანსური შემოსავლის წყარო. თვალშისაცემად შეეტყო გაუმჯობესება ბიუჯეტს, რაც იმის წინაპირობაა, ამაღლდეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობები. დროულად გაიცემა პენსიები და ხელფასები, დღითი დღე მცირდება გაუცემელი ხელფასებით გამოწვეული დავალიანება. სხვა მნიშვნელოვან მომენტებზე მე დასაწყისშიც გითხარით და ვფიქრობ, ხელმეორედ დაკონკრეტება აუცილებელი არ უნდა იყოს.

— გასაგებია ბატონო ანზულ, მაგრამ ნებისმიერ მედალს ორი მხარე აქვს, ტერმინალის მშენებლობის მესვეურებთან კონტრაქტს, ალბათ, თქვენც აწერთ ხელს, როგორც იურიდიული პირი, რა არის საინტერესო ამ ხელშეკრულებაში; რა ვალდებულებებს კისრულობენ ისინი ჩვენი მოსახლეობის წინაშე. ეს საჭიროა ვიცოდეთ, და კიდევ — ტერმინალის მშენებლობის დამთავრების შემდეგ არის თუ არა ნავარაუდები ინფრასტრუქტურის გაშლა გარკვეული რადიუსით, ამასთან, გათვალისწინებული თუ გვაქვს ინვესტორი სად აბანდებს თანხებს — უცხოურ ბანკებში თუ ჩვენთან?

— რაც შეეხება ტერმინალის მშენებლობასთან დაკავშირებით დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებას, გეტყვით, რომ მე არ ვარ იურიდიული პირი, რომელმაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, მაგრამ როგორც რაიონის გამგებელს, ჩემს მოვალეობად ყოველთვის მიმაჩნდა ხელი შემეწყო ნებისმიერი კარგი, პერსპექტიული წინადადებისათვის. მიუხედავად ბევრი სირთულისა, ვისაც დანახვის სურვილი აქვს, შეუმჩნეველი არ დარჩება რაიონში ის სასიკეთო ძვრები, რომლებიც მეტნაკლებად ყველა სფეროს მოიცავს. ინფრასტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებით კი პირდაპირ გეტყვით, რომ იგი გათვალისწინებული იყო მშენებლობის დაწყების პროცესშივე. ხაზგასმით აღვნიშნავ, ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად შეიცვლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არა მარტო სოფელ ყულევში, არამედ, — საერთოდ, ხობის რაიონში. მშენებლობასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები კერძო ინვესტორის ფუნქციებში შედის, რომელსაც არეგულირებს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა.

ხობის კულტურის სახლი

— ტერმინალის მესაკუთრეს ხომ ვერ გაგვაცნობთ? დღეს მოდაში არ არის იურიდიული პირების სააშკარაოზე წარმოჩენა, ფირმების საქმიანობა ლამის გასაიდუმლოებულია, აქ მხოლოდ საგადასახადო სამსახურს მიუწვდება ხელი ბიუჯეტთან მიმართების მართლზომიერების დასადგენად და ხშირად თვით კონტროლის პალატაც უძლურია საჯანჯებო სანქციების გამორიცხვით.

— საკმაოდ ინტენსიური საქმიანი ურთიერთობა მაქვს ტერმინალის ინვესტორთან და მის სამშენებლო სამსახურთან. აქ არაფერი კეთდება იატაკქვეშეთში. ტერმინალის მშენებლობის იდეიდან მიმდინარე მშენებლობის ჩათვლით ყველაფერი გამჭვირვალეა. „ტერმინალი-2000“ რეგისტრირებულია ხობის რაიონში და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, საჯაროობის კანონის შესაბამისად, აქვს უფლება მიიღოს პასუხი მისთვის საინტერესო ყველა კითხვაზე.

— თუ ყველაფერი ასეა ბატონო ანზულ, იქნებ ისიც გვითხრათ, რა მოსაზრებით სუფთავდება ტერიტორიები ხეთის მიმართულებით; იქითკენაც ხომ არ არის გათვალისწინებული რამე მშენებლობის დაწყება ახლო მომავალში?

— ხობი-ზუგდიდის საავტომობილო გზის ხობის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოებს არანაირი საერთო აქვს ყულევის ტერმინალთან.

— კეთილი და პატიოსანი, მხარის გუბერნატორმა ბონდო ჯიქიამაც დაადასტურა ეს ნაწილობრივ, თუმცა ფრჩხილების ბოლომდე გახსნას რატომღაც მოერიდა. ვიცით, კოლხეთის ეროვნული პარკი მიზერულად ზიანდება დასახელებული მშენებლობით, მაგრამ ხომ არის ავარიების ალბათობა, რომელმაც შესაძლოა ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანოს ჩვენი უნიკალური ფაუნა და ფლორა? საინტერესოა, კონტრაქტში ჩადებულია თუ არა სადაზღვევო გარანტიები?

— თქვენი და ჩვენი ქვეყნის ხელისუფალთა წუხილი ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით თანხვედრილია, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, საბედნიეროდ, ამ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას რამდენიმე რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენცია მიეძღვნა ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების და ექსპერტების მონაწილეობით. საპროექტო დოკუმენტების შედგენისას მიღებული და გათვალისწინებული იქნა მათ მიერ გამოთქმული მრავალი კორექტული შენიშვნა, წინადადებები, რომლებიც დღესაც გადის ექსპერტიზას. ასე რომ, წინასწარი მონაცემებითა და შეფასებებით, არანაირი ეკოლოგიური საფრთხე ფლორასა და ფაუნას არ უნდა დაემუქროს.

— თქვენმა მსჯელობამ ბატონო ანზულ, უნებურად ჭალადიდის ნავთობის ჭაბურღილების განახლება გამახსენა. ვინ არის ამ საქმის მოთავე და შემსრულებელი, ჭალადიდი ხომ თქვენი მშობლიური სოფელია?

— ჭალადიდის ნავთობის ჭაბურღილს რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს. ჩემს მშობლიურ სოფელში მეც ვმონაწილეობდი ნავთობმოპოვებით საძიებო სამუშაოებში. ვყოფილვარ მოწმე და განმიცდია პირველად ამოხეთქილი ნავთობით გამოწვეული სიხარული. შემდეგ იგი დაკონსერვდა. მას მერე სულ მაწვალებდა ფიქრი, რა საშუალებებით შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ჭალადიდში ნავთობმოპოვებითი სამუშაოები, რომლის საშუალებასაც არ იძლეოდა ქვეყნის მწირი ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა. შემდეგ გამიჩნდა იდეა, ინვესტორი მომეძებნა, მაგრამ გამოგიტყდებით, ვშიშობდი, უშედეგო გამომდგარიყო ჩემი ცდა და გულისნადების გამხელას ვერიდებოდი. ამ რამდენიმე წლის წინათ პრეზიდენტთან საკმაოდ დიდ ფორუმში ვმონაწილეობდი. ეს ის დროა, როცა პრეზიდენტთან ინიციატივით საქართველოში ინტენსიურად იწყება ნავთობმოპოვებითი საძიებო სამუშაოები. ვერ გადმოგცემთ იმ წუთებში განცდილს, ჩემს იმ ემოციურ მუხტს, როცა პრეზიდენტმა ჭალადიდი მოიხსენია ნავთობის საბადოების მქონე ადგილთა შორის. მას შემდეგ საკითხი ადგილიდან დაიძრა. დაიწყო „საქნავთობისა“ და გერმანული ფირმის მიერ ჭალადიდის ნავთობის ჭაბურღილის ექსპლოატაციის განახლება.

გური ოტობაია.
ხობი. 24.05.2001წ.
(დასასრული იქნება).

რკინიგზა

„მეწველ ფურად" ნუ გადავაქცევთ

რკინიგზას ხელშეწყობა უნდა და არა ხელის შეშლა

ზაფხული, როგორც იქნა, მოვიდა. მოვიდა და უამრავი საზრუნავიც მოგვიტანა არა მარტო ადამიანებს, არამედ იმ უწყებებსაც, რომლებიც, რაღაცნაირად, ამინდების ცვალებადობაზე არიან დამოკიდებულნი.

ამ მხრივ არც საქართველოს რკინიგზაა გამონაკლისი. გაზაფხულის დადგომისთანავე აშკარად მატულობს ხოლმე როგორც მგზავრთა ნაკადი, ისე მშრალი და სველი ტვირთები. ბუნებრივია, ამას საგანგებო ღონისძიებები სჭირდება, რათა რკინიგზამ, დღესდღეობით ყველაზე საიმედო ტრანსპორტმა, თავისი ფუნქცია წარმატებით შეასრულოს. რა გაკეთდა და რის გაკეთებას გეგმავენ? — ამ საკითხებზე გვესაუბრება რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე გუგული მაისურაძე. გულახდილად რომ გითხრათ, ყოველთვის მხიბლავს მისი კომპეტენტურობა, ცალკეულ პრობლემებში ღრმა წვდომა და... მზა პასუხი. ის არაფრით არა ჰგავს ბიუროკრატ ჩინოვნიკს, რომელიც, სანამ სიტყვას დასძრავდეს, ჯერ იმაზე ფიქრობს, რა თქვას და როგორ, გამოიძახებს ხელქვეითებს, რათა წვრილმანი ცნობები მოსთხოვოს და ამით გაგრძნობინოს თავისი ძალმოსილება...

გუგული მაისურაძე კი ისე გესაუბრება, თითქოს გუშინ შეწყვეტილ ინტერვიუს აგრძელებდეს.

— მალე ხაზზე გავუშვებთ სრულიად ახალი სქემის ელექტრომატარებელს. დეპარტამენტის ელექტროწევის კათედრამ, პოლიტექნიკური უნივერსიტეტისა და ელმავალმშენებელი ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროთა ინჟინრებმა შექმნეს სქემა, რომლის მეშვეობითაც მატარებელი მდორედ დაიძვრება და გაჩერდება. წინაღობების მაგიერ გამოყენებული ნახევარგამტარები ნაკლებ ელექტროენერგიასაც მოითხოვს და მდგრადობითაც გამოირჩევა. ახლა ტირისტორებს ველოდებით გერმანიიდან და ელექტრომატარებელი მზად იქნება. აქვს რბილი სავარძლები, კონდიციონერები, რაც მგზავრებს მაქსიმალურ კომფორტს შეუქმნის. მატარებელი ბათუმის მიმართულებით ივლის და იქ ჩასვლას 6-6,5 საათს მოანდომებს. ამავე მარშრუტით ივლის რიგიდან მიღებული დიზელგენერატორიც.

— ბათუმს ყველა სიკეთე ეკუთვნის, მაგრამ სხვა ქალაქებიც ხომ გვაქვს...

— ვამზადებთ ბათუმის ანალოგიურ ჩქარ მატარებელს, რომელიც ზუგდიდში ივლის. ახლა ვამუშავებთ ღონისძიებებს, რათა სამგზავრო მატარებლები მთლიანად დღის რეჟიმზე გადავიყვანოთ. ბოლოსდაბოლოს, თუ თბილისიდან გასული შემადგენლობა დანიშნულების ადგილზე 5-6 საათში ჩავა, ღამის თევა რა საჭიროა? ევროპის ბევრ ქვეყანაში მომსახურების სწორედ ეს წესია. თუ მიბაძვაა, ბარემ მოწინავეებს მივბაძოთ, რა არის ამაში ცუდი?

— არაფერი. ისეთ სიცხეში, ზაფხულში ჩვენთან რომ იცის, მატარებლით მგზავრობა ჭირს კიდეც... ერთ დროს ლაპარაკი იყო აფხაზეთის ხაზის აღდგენაზე. ახალი ხომ არაფერია?

— ამაზე საუბარი დღესაც მიმდინარეობს. ეს ყველასთვის ხელსაყრელი იქნება — ჩვენთვის, რუსეთისთვის, უკრაინისთვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვისაც. შემოგვემატება მოსკოვის, როსტოვის, სოჭის და სხვა ქალაქებისკენ თბილისიდან, ბაქოდან და ერევნიდან მიმავალი მატარებლები, რაც, ცხადია, მგზავრთა ნაკადს კიდევ უფრო გაზრდის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სამგზავრო გადაზიდვები მაინც დოტაციური დარჩება. ამჟამად ამ დარგის ზარალს სატვირთო გადაზიდვებიდან მიღებული მოგებიდან ვფარავთ. შარშან 2 მილიონი ტონით მეტი ტვირთი გადავზიდეთ, ვიდრე წინა წელს. წინასწარი გაანგარიშებით, წლეულსაც, 1,2-2 მილიონი ტონით მეტ ტვირთს ველოდებით.

— რა ბედი ელის განშტოებებს? მათი უმრავლესობა ამჟამად თითქმის უმოქმედოა.

— განშტოებების მოვლა ჩვენი აქილევსის ქუსლია. სანამ საჭირო ოდენობის ტვირთი არ იქნება, მათი გამოცოცხლება ზღაპარია. აი, მაგალითად, ვინ იყიდის კახეთის რკინიგზას? ჯართის დამზადება მორჩა და მიმოსვლაც შეჩერდა. ათასში ერთხელ ღვინის ცისტერნა თუ წამოვა, ეგ არის და ეგ. თვითონ რეგიონებს მათი მოვლა-პატრონობისათვის სახსარი არ გააჩნიათ. იგივე მდგომარეობაა მარაბდა-ახალქალაქის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის მიმართულებებზე. ახლა ლაპარაკია ჭიათურის საბადოების ამუშავებაზე. მეწარმეს მოგების გარანტია აქვს, მაგრამ რკინიგზას? ამიტომ, ალბათ, წამოვაყენებთ მოთხოვნას — რკინიგზის ამ მონაკვეთსაც ინვესტორმა მოუაროს. იყიდის? იყიდის, თუ არადა, მოვემსახურებით ელექტრომატარებლებითა და ვაგონებით, რა თქმა უნდა, შესაბამისი ანაზღაურების საფასურად. როგორც წესი, ტარიფებს ყველგან რკინიგზები არეგულირებენ, მხოლოდ ჩვენა ვართ გამონაკლისი. ეს არასწორია. გავაანალიზეთ ერთიდაიმავე ტვირთის გადაზიდვები აზერბაიჯანში, სომხეთსა და რუსეთში. აღმოჩნდა, რომ მომსახურება იქ უფრო ძვირია, თუმცა ჩვენთან გაცილებით რთული რელიეფია. რუსეთში ადგილობრივ გადაზიდვებზე რეგიონის ხელმძღვანელობა აბანდებს ფულს, რათა რკინიგზის მდგომარეობა შეამსუბუქოს, ჩვენი პრობლემებისთვის ანგარიშის გაწევა კი არავის სურს.

— ბევრს ლაპარაკობენ რკინიგზის საფინანსო საქმეებზე — დიდი მოგება აქვსო. მართალია?

— მოგება გვაქვს, მაგრამ იმდენი არა. ხშირად მოგება ხელოვნურად არის შექმნილი. როგორ? როგორ და ასე: შეზღუდული გვაქვს კაპიტალური რემონტის ხარჯები, ადრე მთელი ქონების მხოლოდ 5 პროცენტის გახარჯვა შეგვეძლო, მერე ეს ციფრი 7 პროცენტამდე გაზარდეს, მაგრამ, თუ გაითვალისწინებთ, რომ ბევრგან შესაცვლელია ლიანდაგი, შესაკეთებელია ხიდ-ბოგირები, ვაგონები, იძულებული ვართ ზედმეტი დავხარჯოთ, მაგრამ იმ ზედმეტ ხარჯებს არ გვითვლიან. აი, ამის შედეგად იზრდება მოგება, მერე იმ მოგებიდან გვახდევინებენ 20 პროცენტს. სახელმწიფო არაფერს ზარალობს, — ჩვენ — ვზარალობთ. წმინდა მოგებიდან დივიდენდების სახით ბიუჯეტს კიდევ მიაქვს დამატებითი სახსრები. თუ ასე გაგრძელდა, პირობას გაძლევთ, რომ ხუთიოდე წელიწადში გაგვაკოტრებენ...

— ალბათ, მარტო ეგ პრობლემა არ გაწუხებთ...

— პრობლემების მეტი რა გვაქვს! დიდი სიძნელეები შეგვექმნა ბათუმში, სადაც ამჟამად 3000 დაუცლელი ვაგონი დგას — ტვირთის მიმღები ტანკერები არ არის. ჯარიმებს ვაწერთ, მაგრამ ვერ გვიხდიან. სცოდავენ გადამზიდავები, რომლებიც ჩვენს პრეტენზიებს არ ითვალისწინებენ და ტვირთის ნაკადებს ზღიდებენ, თუმცა, კარგად მოეხსენებათ, რომ ბათუმს მომსახურება უჭირს. სიძნელეებს გვიქმნის სხვადასხვა გზებით შემოტანილი ტვირთი, ვინაიდან ვაგონების დაუცლელობის გამო ჯარიმებს ჩვენ გვახდევინებენ. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ცისტერნებზე. ალბათ ასე გაგრძელდება ყულევის პორტის გახსნამდე. მაშინ კი, ცოტა შეღავათს ვიგრძნობთ.

— ამდენ გაწამაწიაში მეურნეობის შენახვა-განახლებას როგორ ახერხებთ?

— სხვანაირად რკინიგზა გაჩერდება. ამას წინათ 20 შეკეთებული ელმავალი რუსეთმა ხელსაყრელ ფასებში მოგვყიდა, მაგრამ ეს მაინც არ კმარა. რემონტი სჭირდება თბომავლებს. დიდი ფულია საჭირო... გადაზიდვებზე უამრავი ხალხია დაკავებული. დღესვე შეგვიძლია 5 ათასამდე კაცის შემცირება, მაგრამ როგორ გავუშვათ ბედის ანაბარა? არადა, მათ შენახვასაც დიდი სახსრები სჭირდება.

გადავედით ლიანდაგის მექანიზებულ შეკეთებაზე. დიდი შეღავათი მოგვეცა ავსტრიაში შექმნილმა „ერმ-80"-მა. ეს არის ქარხანა ლიანდაგზე: 70 სანტიმეტრის სიღრმიდან ღორღს იღებს, ასუფთავებს და უკანვე აბრუნებს. რასაც ის ერთ საათში აკეთებს, მთელი დღის მანძილზე ათასი კაციც ვერ გააკეთებს! შევიძინეთ, აგრეთვე, განძელების გამომტენი მანქანა. ერთი „ერმ-80"-ის შეძენაც თუ მოვახერხეთ, შევქმნით ლიანდაგის შემკეთებელ ორ მექანიზებულ საწარმოს, ერთს — აღმოსავლეთში, მეორეს — დასავლეთში.

გვაქვს ერთი სიახლეც: ბათუმიდან მოყოლებული აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრამდე მიწაში ვდებთ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელს. უახლოეს ხანში გამჭოლი კავშირი გვექნება ევროპიდან ჩინეთამდე. ამით გაიზრდება როგორც შემადგენლობათა მოძრაობის სიჩქარე, ისე ინფორმაციის გადაცემისა და უსაფრთხოების ხარისხი.

— ერთი სიტყვით, ფარხმალს არა ჰყრით, თუმცა სირთულეები თავზე საყრელი გაქვთ, არა?

— გულზე ხელები რომ დავიკრიფოთ, ჩვენს საქმეს ვინ გააკეთებს?

თავის დროზე რკინიგზა ქვეყნის ძირითადი სატრანსპორტო საშუალება და ეკონომიკის ქვაკუთხედი იყო. მიუხედავად ახალი დროის პრობლემებისა, ტრადიცია, ასე თუ ისე, გრძელდება. და ამაში დამსახურება მიუძღვის არა მარტო მის ხელმძღვანელობას, არამედ მთელ კოლექტივს.

ელგუჯა ლებანიძე.

გიწვევთ სადისკუსიოდ

დევიზი: შიმშილით არავინ კვდებოდეს, ფულითა და თანამდებობით არავინ თვრებოდეს

საზოგადოების წინსვლა და განვითარება ყოველთვის იყო დამოკიდებული ფილოსოფიური აზროვნების დონეზე. ეს პრობლემა აქტუალურია ჩვენს ეპოქაშიც. ხშირად ელაპარაკობთ ერთსა და იმავეს, ვიმეორებთ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს, ვკარგავთ ძვირფას დროს და ვაფუჭებთ საქმეს. კრებებსა და თათბირებზე არ ვაყენებთ არსებით საკითხებს, სამოქმედო მოდელს არ ვამუშავებთ. ჩვენს მოქმედებაში არ ჩანს აზროვნების ლოგიკა. უამისოდ კი საქმის სწორად წარმართვაზე ლაპარაკი ზედმეტია. ყოველი თათბირი უნდა ემსახურებოდეს სამომავლოდ გასაკეთებელ საქმეს, სიბრძნის ძიებას.

მოქმედება, საქმის გაკეთება ეყრდნობა აზროვნებას. სხვადასხვანაირად გააზრება იწვევს ადამიანთა დაპირისპირებას. ეს რომ დავძლიოთ, უნდა ვიზრუნოთ ერთიანი აზრის ჩამოსაყალიბებლად, რისთვისაც უნდა შევიმუშაოთ დიალოგის მეთოდი. ამის ნაცვლად ჩვენში უფრო მეტია ყაყანი და ქაქანი. ამას ყველა ვხედავთ, მაგრამ მისი გამოსწორებისათვის არაფერს ვაკეთებთ. „შედეგიც" გვაქვს. იაპონიას ნედლეულის 80 პროცენტი შეაქვს, მაგრამ აზრიანი მუშაობით მსოფლიოს დიდი ნაწილი ვალში ჰყავს. იქ თათბირები, რომლებზეც პრობლემურ საკითხებს იხილავენ, ნახევარ საათზე მეტს არ გრძელდება. ჩვენ კი თათბირზე საათობით ვსხედვართ, ვიმეორებთ ერთსა და იმავეს, ვკარგავთ დროს, ზიანს ვაყენებთ ჩვენს ჯანმრთელობას და ვასუსტებთ გონებას. ეს ყველამ ვიცით, ვითარების შესაცვლელად კი არაფერს ვაკეთებთ.

აუცილებელია ავამოქმედოთ დიალოგის კულტურა, მოვაწყოთ სოციოლოგიური კვლევები ცხოვრებისა და საქმიანობის აქტუალურ საკითხებზე. ამის მაგალითს იძლევიან მაღალგანვითარებული ქვეყნები. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სოციოლოგიური კვლევებისათვის გამოიყო 53,5 მილიონამდე დოლარი. გამოდის ათობით სოციოლოგიური ჟურნალი, 194 უნივერსიტეტში არის სოციოლოგიის განყოფილება. ყოველწლიურად 600-მდე სადოქტორო დისერტაციას იცავენ სოციოლოგიაში, არის აბსტრაქტული და ანთროპოლოგიური მიმართულებანი. მუშავდება საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის, კონფლიქტური სიტუაციების დაძლევის საკითხები. სწავლობენ ადამიანის ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თვისებურებებს, სუბიექტის მოქმედებას საზოგადოებაში.

1929 წელს ამერიკაში დაარსდა ადამიანთა ურთიერთობის სკოლა, რომელიც სწავლობს ფსიქოლოგიურ ფაქტორს. წარმოებაში მუშაობენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, რაც დიდად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკისა და კეთილდღეობის სისტემატურ ზრდას.

ჩვენთან კი რა ხდება? მოწინავე და პროგრესული დასამკვიდრებლად ადგილს ვერ პოულობს. შვეიცარიაში არსებობს ეკონომიკური ეთიკის ინსტიტუტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში ერთი პერიოდი შეიქმნა ეკონომიკის ეთიკის განყოფილება, მაგრამ მალე შტატების შემცირებაში მოაყოლეს. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ მენეჯმენტზე, მაგრამ რეალურად ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. თანამდებობის პირები ჩვენში უმთავრესად ზრუნავენ არა საქვეყნო საქმეზე, არამედ პირად შემოსავლებზე. ვლაპარაკობთ მდგომარეობის გამოსწორებაზე, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს.

ჩვენ გარდაქმნა დავიწყეთ უარესობისაკენ, გაუაზრებლობითა და ამორალური მოქმედებით. გამდიდრების საფუძვლად გამოვაცხადეთ არა საქმის კეთება, არამედ გაკეთებულის მითვისება და ამას დავარქვით კაპიტალიზმი. ეს არის გზა კატასტროფისაკენ. თუ გვინდა საქმე გამოსწორდეს პირველ რიგში უნდა დავძლიოთ ძველი განწყობა. კადრების დაწინაურება უნდა ხდებოდეს არა ნათესაური და ძმაბიჭური ნიშნით, არამედ საქმიანი თვისებების მიხედვით. უკანონოდ გამდიდრებულთა წინააღმდეგ უნდა ვიმოქმედოთ დემოკრატიული მეთოდებით. ამ შემთხვევაში ხმა უნდა აიმაღლონ ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, გამოჩენილმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. მართვის ბიუროკრატიული მეთოდები უნდა შეიცვალოს მეცნიერულით. განსაკუთრებით უნდა განვავითაროთ მართვის მეცნიერება, მენეჯმენტი. უამისოდ ვერ შევძლებთ მოწინავე ქვეყნებთან ურთიერთობას.

ყოველივე ამის შესახებ ქვეყანაში უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი, ურომლისოდაც თვით სახელმწიფო კანონების მოქმედება შეუძლებელია. მაგრამ ეს აზრი უნდა იყოს ჭეშმარიტი და მორალური და ამას უნდა ემსახურებოდეს სოციოლოგია. რატომღაც ამას არ ექცევა ყურადღება, მოქმედებს ძველი განწყობა. ეს პროცესი უნდა დავძლიოთ, საზოგადოებას უნდა მართავდეს არა სკამი, თანამდებობა, არამედ გონიერება. სოციოლოგიის მიზანია გაარკვიოს, გააანალიზოს, რა მართავს საზოგადოებას, გაკეთებულის მითვისება თუ საქმის კეთება. ქვეყნის მთავარი პრობლემაა: შიმშილით არავინ კვდებოდეს, ფულით და თანამდებობით არავინ თვრებოდეს.

ვერ ვიტყვი, რომ ამ მიმართულებით არაფერი იწერება, მაგრამ საქმე არ კეთდება. ამით დაწერილს, მეცნიერულ მოსაზრებებს ღირებულება ეკარგება. ამიტომ საჭიროა პრესაში გამოქვეყნებული მოსაზრებების თაობაზე გაიმართოს საქმიანი დისკუსია, რათა ჩამოყალიბდეს კონკრეტული სამოქმედო პროგრამა და დავიწყოთ მისი განხორციელებისათვის მუშაობა. ამ წერილის მიზანი სწორედ ეს გახლავთ, მინდა მოვუწოდო საქმით დაინტერესებულ მოაზროვნე ადამიანებს, პრესის ფურცლებზე დავიწყოთ დისკუსია. გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.

ვლადიმერ გულუა,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.

ტრასეკას პროგრამით

გადაიდგა პირველი ნაბიჯები ტრასეკას ფარგლებში თურქეთ-საქართველოს საკომუნიკაციო ქსელის განვითარების პროექტის პრაქტიკული განხორციელების გზაზე. დაიწყო თურქეთის ზღვისპირა ზონიდან ბათუმამდე და ფოთამდე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის სამუშაოები. პროექტი ითვალისწინებს საკომუნიკაციო ქსელის გაყვანას მთელი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე და მის ჩართვას ევროპა-ჩინეთის სათაო მაგისტრალში.

მოსალოდნელია ამერიკული დოლარის კურსის შემცირება

საქართველოს ეროვნული ბანკის ექსპერტთა პროგნოზით, ამერიკული დოლარის გაცვლითი კურსი ლარის მიმართ ამ კვირაში შეინარჩუნებს კლების ტენდენციას. ეს ხაზგასმულია პრეს-რელიზში, რომელიც ორშაბათს გაავრცელა ეროვნული ბანკის საზოგადოებრიობასთან კავშირურთიერთობის სამმართველომ. როგორც ვარაუდობენ, თვის უკანასკნელ კვირას საგადასახადო შემოსავლების აკუმულირების პროცესის გააქტიურებასთან ერთად გაძლიერდება ფისკალური ფაქტორების ზემოქმედება, რომლებიც გასულ კვირას ნაწილობრივ განსაზღვრავდნენ ქვეყნის სავალუტო ბაზრის კონიუნქტურას.

ტერმინალი ივსება კონტრაბანდული ტვირთით

18 ივნისს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონმა ხარაგაულის რაიონში გააჩერა ავტომანქანა „ფორდტრანზიტის და „ვაზ 21-21" მარკის ავტომანქანები, რომლებშიც აღმოჩნდა 32960 და 4128 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

ქუთაის-ბაღდათის გზის მონაკვეთზე გააჩერეს „ურალის" მარკის ავტომანქანა, რომლითაც უსაბუთოდ გადაჰქონდათ 15 კუბური მეტრი ხის მორები. ავტომანქანა დალუქეს და შეიყვანეს ქუთაისის „იმერეთის" საბაჟო ტერმინალში.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

ავიაცია

ქართველი ავიაკონსტრუქტორის ლეგენდარული მიღწევები

ტაგანროგის ჰიდროთვითმფრინავების საცდელ-საკონსტრუქტორო ბიურომ, რომელსაც ჩვენი თანამემამულე, სახელოვანი ავიაკონსტრუქტორი, ავიაციის გენერალ-მაიორი გიორგი ბერიაშვილი (ბერიევი) ედგა სათავეში, 60-იან წლებში შექმნა გამორჩეული პატარა სამგზავრო თვითმფრინავი Бе-30, რომელიც ადგილობრივი დანიშნულების საჰაერო ხაზებისთვის იყო განკუთვნილი. ამ თვითმფრინავს, რომელიც 14 მგზავრს იტევდა და 2 პილოტი მართავდა, მორალურად და ფიზიკურად მოძველებული АН-2 თვითმფრინავები უნდა შეეცვალა.

მანამ ამ თვითმფრინავის შესახებ გავაგრძელებდეთ საუბარს, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, გაეცნოს გიორგი ბერიაშვილის მოკლე ბიოგრაფიას, რადგან გამოჩენილი ქართველი ავიაკონსტრუქტორი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ნაკლებად ცნობილია.

გიორგი ბერიაშვილი 1903 წელს თბილისში დაიბადა, სადაც მისი მამა მიხეილ ბერიაშვილი ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან გადმოვიდა საცხოვრებლად. გიორგიმ საშუალო განათლება თბილისში მიიღო, შემდეგ კი ლენინგრადის გზათა მიმოსვლის ინსტიტუტში დაეუფლა ავიამშენებელი ინჟინრის პროფესიას, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1930 წელს ახალგაზრდა ინჟინერმა პ. რიმარის საკონსტრუქტორო ბიუროში დაიწყო მუშაობა, სადაც შეუდგა მფრინავი ნავის ტიპის საზღვაო მზვერავი ჰიდროთვითმფრინავის МБР-2-ის დაპროექტებას. 1932 წელს აგებულმა თვითმფრინავის საცდელმა ნიმუშმა იმ დროისათვის ისეთი მაღალი საფრენოსნო, ტექნიკური და ტაქტიკური თვისებები გამოავლინა, რომ იგი დაუყოვნებლივ მიიღეს შეიარაღებაზე და შემდგომ სერიულად ამზადებდნენ 1933-1940 წლების განმავლობაში, ომის წინა წლებში МБР-2 საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძირითად და მასობრივ ჰიდროთვითმფრინავს წარმოადგენდა, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში.

შემდეგ გ. ბერიაშვილმა სამგზავრო МП-1 ჰიდროთვითმფრინავი შეიმუშავა, რომელიც МБР-2-ის სამოქალაქო ვარიანტს წარმოადგენდა. აგრეთვე, მისი შემოქმედების ნაყოფი იყო საგემბანო КОР-1 და КОР-2 მზვერავი ჰიდროთვითმფრინავები (რომლებსაც გემებიდან კატაპულტების მეშვეობით უშვებდნენ ჰაერში), აგრეთვე МДР-5 და МБР-7 მზვერავი ჰიდროთვითმფრინავები.

გ. ბერიაშვილის მომდევნო ნამუშევრები გახლდათ მფრინავი ნავი Бе-6 და ამფიბია Бе-8, ხოლო 1952 წელს წარმატებით გაიის გამოცდებს მისივე მსოფლიოში პირველი რეაქტიული მფრინავი ნავი Р-1, რომელმაც საათში 800 კმ სიჩქარე განავითარა, რაც ორჯერ აღემატებოდა იმ დროს არსებულ დგუშიანი ჰიდროთვითმფრინავების სიჩქარეს.

შემდეგ Р-1-ის ბაზაზე ბერიაშვილმა დააპროექტა ისრისმაგვარი ფრთებიანი რეაქტიული ჰიდროთვითმფრინავი М-10 (Бе-10), რომლის საცდელმა ნიმუშმა რეკორდული სიჩქარე — 912 კმ საათში და 15 ტონა ტვირთამწეობა აჩვენა.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ხანებში ამერიკელებიც მუშაობდნენ ანალოგიური ჰიდროთვითმფრინავის პროექტზე, მაგრამ მათ ვერ დაძლიეს წამოჭრილი რთული ტექნიკური სიძნელეები და უპერსპექტივოდ მიიჩნიეს საპროექტო სამუშაოების გაგრძელება.

დომოდედოვოში 1967 წელს გამართულ საბჭოთა საავიაციო ტექნიკის გრანდიოზულ დათვალიერებაზე პირველად გამოჩნდა გ. ბერიაშვილის კონსტრუქციის ტურბოხრახნებიანი კრეისერული ამფიბია М-12 Чайка (Бе-12), რომელსაც შეიარაღებაზე მიღების შემდეგ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძირითადი დამრტყმელი ჰიდროთვითმფრინავის ფუნქციები ეკისრებოდა.

იმავე დათვალიერებაზე იყო წარმოდგენილი ბერიაშვილის პირველი და ერთადერთი სახმელეთო სამგზავრო თვითმფრინავი Бе-30, რომელმაც ისევე, როგორც Бе-12-მა, სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ბერიაშვილის კონსტრუქციის თვითმფრინავები გამოირჩეოდნენ უაღრესად მაღალი ტექნიკური დონით და თამამი ინჟინრული გადაწყვეტილებებით, აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ბერიაშვილის კონსტრუქციის ჰიდროთვითმფრინავებით დამყარდა 50-ზე მეტი მსოფლიო რეკორდი.

გ. ბერიაშვილი 1934-1968 წლების განმავლობაში სათავეში ედგა ტაგანროგის ჰიდროთვითმფრინავების საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მსოფლიო ჰიდროთვითმფრინავთმშენებლობის აღიარებული ლიდერი გახდა. მისი დამსახურება საავიაციო ტექნიკის განვითარების საქმეში ქვეყნის მრავალი ჯილდოთი, ორდენებით და მედლებით, ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიებით აღინიშნა. მინიჭებული ჰქონდა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ბერიაშვილი 1979 წელს გარდაიცვალა. მის სახელს ატარებს ზემოხსენებული საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს ბაზაზე ჩამოყალიბებული ტაგანროგის საავიაციო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსი, აგრეთვე, ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ყველა მომდევნო თვითმფრინავი. თბილისში არის ბერიაშვილის სახელობის ქუჩა.

ახლა კი დავუბრუნდეთ სამგზავრო Бе-30-ს. ამ ორი ტურბოხრახნიანი ძრავით აღჭურვილმა კოხტა და კომპაქტურმა თვითმფრინავმა, რომელსაც ავიატორებმა მოფერებით „ბუმკა" შეარქვეს, გამოცდების პროცესში ისეთი მაღალი საფრენოსნო და საექსპლოატაციო თვისებები გამოავლინა, რომ მრავალისმნახველი მფრინავი-გამომცდელებიც კი განაცვიფრა. თვითმფრინავი, რომლის სასტარტო წონა 6300 კგ აღწევდა, მსუბუქად ახდენდა აფრენას და დაჯდომას მცირე ზომის მშრალ თუ წვიმით დამძიმებულ, ტალახებულ მინდვრებზე და, ამდენად, არ საჭიროებდა სპეციალურად მოწყობილ მყარსაფარიან აეროდრომებს. იოლად უძლებდა გვერდით ქარებს და ატმოსფერული პროცესებით გამოწვეულ რყევებს. ანვითარებდა ამ კლასის თვითმფრინავისათვის უჩვეულო სიჩქარეს — 450 კმ საათს, ჰქონდა მანევრირების საუცხოო თვისებები და სიმაღლის სწრაფად აღების უნარი, თავისუფლად ასრულებდა უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს (რა თქმა უნდა, მგზავრების გარეშე), რისთვისაც მას „სამოქალაქო გამანადგურებელი" უწოდეს.

„ბუმკას" შემდგომი განვითარება 17 სამგზავროადგილიანი Бе-32 მოდიფიკაციაში აისახა. ამ თვითმფრინავმა შესამჩნევად გაუსწრო ტექნიკის მაშინდელ დონეს და მოსალოდნელი იყო უახლოეს ვადებში მისი სერიულ წარმოებაში გაშვება, მაგრამ მოვლენები სხვანაირად განვითარდა. სწორედ იმ ხანებში ანალოგიური კლასის ორი ახალი, საბჭოთა АН-28 და ჩეხური L-410 თვითმფრინავი გამოჩნდა, რომელთა მონაცემები (განსაკუთრებით — L-410-ის) ჩამორჩებოდა Бе-32-ის ასეთივე მონაცემებს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ უგულებელყო როგორც ტექნიკური ასევე ეკონომიკური ფაქტორები და წმინდა პოლიტიკური მოტივებით უპირატესობა ჩეხურ L-410-ს მიაკუთვნა.

ასე დაასამარა კრემლმა ქვეყნისათვის მეტად საჭირო და სასარგებლო АН-28-ის და განსაკუთრებით, Бе-32-ის პროგრამები, რასაც მეტად მძიმე და სავალალო შედეგები მოჰყვა. ჩეხური L-410 ვერ აღმოჩნდა გამოსადეგი საბჭოთა კავშირის პირობებში ექსპლოატაციისათვის, გახშირებულმა კატასტროფებმა კი საფუძვლიანად შეარყიეს მისი რეპუტაცია. ფაქტობრივად დარგი ახალი თაობის თვითმფრინავების პარკის გარეშე დარჩა.

თავის დროზე გ. ბერიაშვილი ცდილობდა გამოენახა ქარხანა, რომელიც Бе-32-ის სერიულ წარმოებას მოჰკიდებდა ხელს, მაგრამ მისი ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ანალოგიური წინადადებით მან თბილისის საავიაციო ქარხნის დირექტორს ი. ხვედელიანსაც მიმართა, რაზეც უარი მიიღო. ძნელია ახლა იმის განჭვრეტა, თუ როგორ განვითარდებოდა თბილისის საავიაციო ქარხანა, თავის დროზე იგი Бе-32-ის წარმოებას რომ შესდგომოდა.

ამჟამად ბევრ ქვეყანაში არსებული თვითმფრინავების მოდერნიზაციის ტენდენციები გამოიკვეთა. აღმოჩნდა, რომ Бе-32-ს მოდერნიზაციის საკმაოდ ფართო შესაძლებლობები გააჩნია, 90-იან წლებში იგი ამერიკული კორპორაციის **Prett and Whitney**-ს რეაქტიული ძრავებით, **Hertzell**-ის მარკის ოთხლაპოტიანი საჰაერო ხრახნებით აღჭურვეს და მსოფლიო ავიაციის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: 25 წლის წინათ შექმნილი თვითმფრინავის მოდერნიზებულმა Бе-32 К ვარიანტმა არამც თუ ტოლი დაუდო დასავლეთის შიდარეგიონულ საჰაერო ხაზებზე დომინირებულ თანამედროვე თვითმფრინავებს, არამედ აჯობა კიდეც, აღსანიშნავია ისიც, რომ მან მაქსიმალური 500 კმ და კრეისერული 480 კმ სიჩქარე აჩვენა საათში, რაც ამ კლასის თვითმფრინავისათვის ნამდვილად საუკეთესო მაჩვენებელია.

P. S. როგორც „იტარ-ტასის" საინფორმაციო ბიულეტენი „აეროკოსმოსი" იუწყება, ტაგანროგის გ. ბერიაშვილის სახელობის საავიაციო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსი და საავიაციო ქარხანა წლეულს Бе-32-ის ერთობლივ წარმოებას დაიწყებენ, რაც წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ფინანსური და ორგანიზაციული სიძნელეების გამო.

აქვე ამასაც დავძენ, რომ „ბუმკა" არც საქართველოს ადგილობრივ საჰაერო ხაზებზე ექსპლოატაციისათვის იქნებოდა ურიგო.

ლევან ჩხეიძე,
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

გვეხმაურებიან

არსებობს კი „სამეწარმეო დანაშაული"?

ამ წერილის დაწერა განაპირობა თქვენი გაზეთის წლევანდელი 5 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ინტერვიუს არამართებულმა სათაურმა „სამეწარმეო დანაშაული იზრდება, გამოსავალი საერთო ძალისხმევაშია". მასში ძირითადად საუბარია ბიზნესის სფეროში არსებულ ეკონომიკურ, ანუ სამეურნეო დანაშაულსა და ქვეყანაში გამეფებულ კორუფციაზე. კერძოდ, ჩამოთვლილია დანაშაულთა ფართო სპექტრი: ინვესტიციების, გრანტების, ჰუმანიტარული დახმარების მითვისება, საპენსიო უზრუნველყოფისა და ლტოლვილთა დახმარებისათვის გამოყოფილი სახსრების არამიზნობრივი განკარგვა და დატაცება და ა. შ., რომლებსაც სამეწარმეო საქმიანობასთან უშუალო კავშირი არა აქვთ.

შეუსაბამობა სათაურსა და ტექსტის შინაარსს შორის გამოიწვია იმან, რომ ქართულ ეკონომიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში ცნებები „ბიზნესი" და „მეწარმეობა", „ბიზნესმენი" და „მეწარმე" ჯეროვნად არ არის გარკვეული და ერთმანეთისგან გამიჯნული.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მეწარმეობა, ბიზნესი ხდება საქართველოს ეკონომიკის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი. ბევრი ჩვენი მოქალაქისათვის ბიზნესი გახდა სამუშაოს ძირითადი სახე ან მეორადი დასაქმების ფორმა.

ბიზნესი (ინგლ. — საქმე) არის სამეურნეო საქმიანობა და საქმიანი ურთიერთობა მის მონაწილეებს შორის, რომელთა მიზანია მოგების (შემოსავლის) მიღება. მეწარმეობა ბიზნესის კერძო შემთხვევაა, რომელიც, აგრეთვე, ხორციელდება მოგების მისაღებად, რის გამოც, ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, რუსეთი და სხვა) ბიზნესსა და მეწარმეობას აიგივებენ.

დასავლეთში ბიზნესს ყოფენ ოთხ კატეგორიად: წვრილი (საოჯახო) ბიზნესი, მცირე ბიზნესი, საშუალო ბიზნესი და მსხვილი (დიდი) ბიზნესი. ხშირად მეწარმეობას მიიჩნევენ ახალი საქმის დაწყებად (ახალ წამოწყებად) და მას მიაკუთვნებენ წვრილ და მცირე ბიზნესის კატეგორიას.

გამოჩენილი ამერიკელი პროფესორი პ. დრუკერი შენიშნავს, რომ საქმიანობის მასშტაბი არ არის არსებითი ნიშანი ბიზნესისა და მეწარმეობის გასამიჯნად. მისი აზრით, არსებითია ის, რომ მეწარმეობა ნიშნავს ბიზნესის ისეთ სახეობას, რომელიც ქმნის ახალ ბაზარს და ახალ მომხმარებელს. მაგალითად, იგი მიიჩნევს, რომ ტრადიციული რესტორანი ბიზნესია, ხოლო „მაკდონალდსის" რესტორნები — მეწარმეობა, მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიას — „ჯენერალ ელექტრიკსაც" პ. დრუკერი მეწარმეობას აკუთვნებს.

მამასადამე, მეწარმეობა (სამეწარმეო საქმიანობა) ინოვაციური ბიზნესია, რაც გულისხმობს ახალი პროდუქციის, მომსახურების შექმნას, ახალი პროექტების განხორციელების და სხვა. ამასთან, მეწარმეობა აღიარებულია არაერთჯერად, უწყვეტ საქმიანობად და წარმოების მეოთხე ფაქტორად. ბიზნესი კი მოიცავს ერთჯერად კომერციულ გარიგებებსაც. ე. ი. ბიზნესი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე, მეწარმეობა (მოიცავს ამ უკანასკნელსაც).

ბიზნესის შესახებ საქართველოში ჯერჯერობით არსებობს არასწორი და დამახინჯებული შეხედულება. ეს გარკვეულწილად გამოიწვია იმან, რომ იგი რჩება ჩრდილოვან, ფარულ საქმიანობად. კანონსაწინააღმდეგო ბიზნესი ამა თუ იმ ფორმით ვლინდება ყველა ქვეყანაში. კრიმინალური ბიზნესი მავნე ნარჩენია. **უარყოფით რეაქციას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ბევრ შემთხვევაში ჩვენთან ბიზნესი გაიმალა ძირითადად ვაჭრობის, მომსახურების სფეროებში და არა წარმოების სფეროში.** თავისი ბუნებით ბიზნესი საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობის მრავალფეროვანი სახეობაა.

ბიზნესმენი (ინგლ. — საქმის კაცი, საქმიანი ადამიანი და არა საქმოსანი, როგორც ხშირად უწოდებენ) მსხვილი მესაკუთრეა (მილიონერია), ფირმის (კომპანიის) პატრონია, რომელიც საკუთარი ფირმისათვის ქირაობს თანამშრომლებს ფირმის პრეზიდენტის ჩათვლით. მეწარმეც საქმიანი ადამიანია, მაგრამ ბიზნესმენისაგან განსხვავებით იგი თვითონ წარმართავს საკუთარ საქმეს (ფირმას, ე. ი. ასრულებს მენეჯერის ფუნქციებსაც, ვინაიდან იგი არის მისი (წამოწყების) შემოქმედი და ავტორი.

საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ" სამეწარმეო საქმიანობად მიჩნეულია მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა. მართლზომიერად იგულისხმება ისეთი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედი სამართლის ნორმებს. როგორც წესი, ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ისეთი საქმიანობა, რომელიც ან პირდაპირ არის აკრძალული კანონით (მაგალითად, ნარკოტიკების დამზადება-გასაღება), ან ასეთი საქმიანობისთვის საჭიროა სახელმწიფოს ნებართვა (აზარტული თამაშების ორგანიზაცია და სხვა). არამართლზომიერად შეიძლება ჩაითვალოს ასევე საქმიანობა, რომელიც თუმცა, არ არის კანონით პირდაპირ აკრძალული, მაგრამ შეიძლება იქნეს მიჩნეული ამორალურ, არაეთიკურ ქმედებად.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ უსაფუძვლოა საუბარი სამეწარმეო დანაშაულზე, არაკეთილსინდისიერი მეწარმეების მზარდ რაოდენობაზე. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ცოტანი არიან მეწარმეები და ყველაფერი უნდა გაკეთდეს მათი გამრავლებისათვის. **უფრო მართებულია, ვისაუბროთ დანაშაულსა და დარღვევაზე მთლიანად ბიზნესის სფეროში და არა მის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილში.** აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ უსაფუძვლოა ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის განცხადება ბიზნესმენისა და მეწარმეობის (ბიზნესის ნაწილის) სპეციალისტის მომზადების თაობაზე.

სავსებით კანონზომიერად არის ჩაწერილი საქართველოს კონსტიტუციაში: „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას", ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება-განვითარების მთავარი მაგისტრალური გზაა მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის მაქსიმალურად განვითარება. ბიზნესმენი შეიძლება გახდეს ნებისმიერი სპეციალობის (პროფესიის) ადამიანი. მეწარმეობა, ვინაიდან ბიზნესის შემადგენელი ნაწილია, ამ ნაწილის სპეციალისტის მომზადება მოკლებულია ლოგიკურ საფუძველს.

გიორგი შუბლაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

გვწერენ

სინდისით ამაღლებული

მინდა გაგიზიაროთ სიხარული, რომელიც ერთი კარგი ადამიანის გულისხმიერებამ და პატიოსნებამ მომგვარა. ამა წლის 4 ივნისს ბაკურციხიდან გამოვყევი ლაგოდეხის სამარშრუტო ტაქსს, რომლის სერია და ნომერია აერ 212. ჩამოსვლისას, სიჩქარის გამო, მანქანაში დამივარდა ძაფით ერთმანეთზე გადაბმული ოქროს ბეჭდები. თავისთავად დანაკარგი, რაგინდ უმნიშვნელოც იყოს, მძიმეა, მაგრამ ჩემს მწუხარებას ისიც აათკეცებდა, რომ ის ნივთები დაბადების დღეზე მომიძღვნა ერთადერთმა ვაჟიშვილმა ვლადიმერ სელეპანოვმა, რომელიც აფხაზეთის ომში გმირულად დაეცა...

დანაკარგის პოვნით იმედგადაწურული მაინც წავედი ორთაჭალაში და დისპეტჩერს ჩემი გასაჭირი გავუმხილე. — ნუ ნერვიულობთ, თქვენი ნივთები საიმედო ხელშია, მპოვნელი თქვენს გამოჩენას ელოდება, — დამაიმედა იმან და სამარშრუტო ტაქსის მძღოლის — გიორგი გალაკტიონის ძე მუმლაძის მისამართი მომცა. რა მომასვენებდა, მაშინვე წაველი. ბედად შინ დამხვდა. უნდა გენახათ, ჩემი გამოჩენით როგორ გაიხარა მისმა ცოლ-შვილმა, თითქოს მე კი არ დამეკარგოს და მეპოვნოს დაკარგული ძვირფასი რელიკვიები, არამედ იმათ. ბატონმა გიორგიმ გამიმხილა, ამას წინათ ჩემს მანქანაში ერთ მგზავრს 525 ლარი დარჩა, მოვძებნე და უკლებლად ჩავაბარეო.

ამ წერილს სხვა გაზეთი დაბეჭდავდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ გულმა თქვენსკენ — „საქართველოს რესპუბლიკისკენ" გამომიწია: მის ფურცლებზე ხშირად ვკითხულობ იმ ადამიანთა კეთილშობილურ საქციელზე, ვინც მძიმე, დუხჭირმა ცხოვრებამაც ვერ გატეხა, შეინარჩუნა ფაქიზი სული და ჩვენისთანებს ცხოვრებას უადვილებს.

ღმერთმა გვიმრავლოს გიორგი მუმლაძისთანა ადამიანები. ასეთი შვილების წყალობით საქართველოს ბედნიერი მომავალი უწერია.

მარიკა თუმასიანი,
აფხაზეთის ომში დაღუპულის დედა.
თბილისი.

კონტაქტები

რომის პაპმა იოანე პავლე II უკრაინისათვის უკრაინულად ილოცა

დამთავრდა ვატიკანის სახელმწიფოს მეთაურის, რომის პაპის იოანე პავლე II სახელმწიფო ვიზიტი უკრაინაში. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში სტეფან ვოლკოვეცკის.

— ვატიკანის მეთაურის, რომის პაპის სახელმწიფო ვიზიტს უკრაინაში ორი ასპექტი აქვს — სახელმწიფო და რელიგიური, — თქვა ბატონმა ვოლკოვეცკიმ. — პონტიფექსის ვიზიტი — ეს არის განსაკუთრებული მოვლენა, რომელსაც უდიდესი სულიერი განზომილება აქვს. აკი XIII საუკუნის შუა ხანებიდან დაწყებული, რელიგიური ფაქტორი იყო ლამის ერთადერთი განმსაზღვრელი პირობა, რომელმაც უკრაინელ ხალხს შეანარჩუნებინა თავისი ეროვნული ღირსება და თავისთავადობა — მერე კი, მძიმე და ხანგრძლივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად აღედგინა სახელმწიფო დამოუკიდებლობა 1991 წლის 24 აგვისტოს.

როგორც საქართველოში, ისე ჩვენშიც, ეკლესია იყო ის მაცოცხლებელი ძალა, რომელიც დაგვეხმარა, შემოგვენახა და დაგვეცვა ჩვენი იდეალები, რომელმაც ღრმა სულიერი გავლენა მოახდინა ჩვენს წინაპართა სინდისსა და სულზე. სულიერ-რელიგიური თვითიდენტიფიკაცია ყოველთვის იყო ჩვენთვის სახელმწიფო მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი.

სწორედ ამიტომ, გამოვთქვამ რა რწმენას, რომ იოანე პავლე II ვიზიტი ახალ ფურცელს გადაშლის უკრაინისა და ვატიკანის სახელმწიფო ურთიერთობის ისტორიაში, მინდა, ამავე დროს აღვნიშნო უკრაინელი ერის აღორძინების, მისი სულიერი განწმენდის პროცესისა და ევროპული მომავლისაკენ წინსვლის ის მძლავრი იმპულსი, რომელსაც ჩვენ ნათლად ვგრძნობთ უკვე ამ დღეებში, როდესაც პონტიფექსი უკრაინის მიწა-წყალზე გვესტუმრა, და რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, დიდხანს გაგვყვება.

პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ რომის პაპთან, უკრაინის ელჩის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე დაადასტურა უკრაინის სახელმწიფოს ერთგულება დემოკრატიის, თავისუფლების, საბაზრო ეკონომიკისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებისადმი. მიმართა რა პონტიფექსს, პრეზიდენტმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ იგი უკრაინას ეწვია დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-10 და კონსტიტუციის მიღების მე-5 წლისთავის წელს. ალბათ, არის ღრმა სიმბოლიკა იმაში, რომ იოანე პავლე II ვიზიტი ეწყობა დამოუკიდებელი უკრიანული სახელმწიფოს მეათე წლისთავის წინ. ათი საკრალური რიცხვია. აგერ, უკვე ათი წელიწადია, ჩვენი ქვეყანა ატარებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს თავისი ეროვნული ინტერესები. სწორედ ამ ინტერესების კალაპოტით წარიმართა რომის პონტიფექსის ვიზიტი. ჩემი აზრით, მისი მთავარი შედეგი ის არის, რომ იგი გახდა დასტური უკრაინის სახელმწიფოს რეალური დამოუკიდებლობის, მისი დამოუკიდებელი არჩევანის — ევროპული ინტეგრაციის, მისწრაფებისა, ეზიარონ იმ ღირებულებებს, რომლებსაც ეზიარა მთელი გაერთიანებული ევროპა.

აეროპორტში შეხვედრისას, ლეონიდ კუჩმამ იოანე პავლე II უთხრა: „დამოუკიდებელი უკრაინა დიდხანს მოდიოდა თქვენთან შესახვედრად. ჩვენ დიდი დრო დაგვჭირდა იმისათვის, რომ საზოგადოების კონსოლიდაციას, მისი სამოქალაქო, დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებას ჩვენთვის დღევანდელი მოვლენა მოეტანა. როგორც უკრაინის უმაღლესი ხელმძღვანელობა, ისე მისი მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა პაპის ვიზიტს აღიქვამენ სწორედ როგორც ღირსსახსოვარ საეტაპო ნიშანსვეტს უკრაინის ისტორიაში.

— რა მნიშვნელობა ექნება პაპის ვიზიტს უკრაინისათვის ქვეყანაში არსებული რელიგიური სიტუაციის შეცვლის თვალსაზრისით? როგორ განმარტავდით თქვენ იმ წინააღმდეგობრივ შეფასებებსა და დისკუსიებს, რომლებიც ჯერ კიდევ გრძელდება ამ თემასთან დაკავშირებით?

— დავიწყებ მეორე კითხვით, ვინაიდან მისი პასუხი განმარტავს პაპის ვიზიტის გავლენას უკრაინაში არსებულ რელიგიურ სიტუაციაზე. მართლაც, ბოლო დროს, ამ ვიზიტთან დაკავშირებით, ისევე როგორც ასეთი მასშტაბის ნებისმიერი მოვლენის ირგვლივ, დიდი მითქმა-მოთქმა იყო, გაჩნდა ნაირ-ნაირი ინსინუაციები, წარმოიშვა მრავალი მითი თუ მონაჩმახი. უკრაინის სახელმწიფოს ხელმძღვანელობა მთელ ამ უხვად გამოთქმულ მოსაზრებებს, პროგნოზებსა და ვარაუდებს აძლევს მკაფიო და ერთგვაროვან შეფასებას, რომლის არსიც ასე გამოიხატება: ეს შეფასებები და დისკუსიები მეტისმეტად არის პოლიტიზებული და, საერთოდ, არ გააჩნია არავითარი საფუძველი.

პაპის ვიზიტი ტრადიციულად აღიქმება მთელ მსოფლიოში როგორც დიდი პატივი, იმ სახელმწიფოს აცილობელი აღიარება, რომელსაც პაპი ეწვევა, — არა მარტო უწმინდესი ტახტის, არამედ, აგრეთვე, მთელი საერთაშორისო გაერთიანების მხრივ.

ხოლო ისინი, ვინც ამ ვიზიტის წინააღმდეგ გამოდის, და ასეთი არცთუ ქრისტიანული ხმები მოისმის ერთობ მაღალი თანამდებობის ვითომ ქრისტიანებისაგან, — ძალზე არაქრისტიანულად იქცევიან, როდესაც ნებსით თუ უნებლიეთ უშლიან ხელს უკრაინის დამოუკიდებელი საგარეოპოლიტიკური კურსის გატარებას, ჩვენი ეროვნული ინტერესების რეალიზაციას. ამ გზით ისინი წინააღმდეგობას უწევენ უკრაინის ევროპულ არჩევანს.

ამასთან დაკავშირებით, მინდა კვლავ დავუბრუნდე იოანე პავლე II ხსენებულ შეხვედრას უკრაინის ელიტის წარმომადგენლებთან. შეხვედრისას ლეონიდ კუჩმამ აღნიშნა ის გარემოება, რომელიც ხშირად ყურადღებიდან რჩებათ ჩვენს დასავლელ მეზობლებს და პარტნიორებს: ძალზე რთულია, აშენო სახელმწიფო, რომელიც ემყარება დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის, მოსაზრებათა და რწმენათა პლურალიზმის პრინციპებს, სახელმწიფო, რომელშიც პირველ ადგილზე დგას ადამიანი, მისი სიცოცხლე, განუყოფელი უფლება-თავისუფლებები — ტოტალიტარული სისტემის ნანგრევებზე, საზოგადოებაში, სადაც შვიდი ათწლეულის განმავლობაში ინერგებოდა აგრესიული ათეიზმი, ხდებოდა მიუღებლობის კულტივირება. ამავე დროს, ხაზი გაუსვა კუჩმამ, „სალვთო წერილი გვასწავლის, მტკიცედ და უყოყმანოდ ვიაროთ დასახული მიზნისაკენ, თუკი იგი სამართლიანია“.

ამრიგად, დღეს როდესაც მთავრდება პონტიფექსის ვიზიტი, შეგვიძლია, მტკიცედ ვთქვათ: მიუხედავად ყოველგვარი შინაგანი სიძნელეებისა, გარედან ჩვენი დამოუკიდებლობის გაუგებლობის, ზოგჯერ კი აგრესიული მიუღებლობისა, უკრაინის სახელმწიფო მტკიცედ ადგას არჩეულ კურსს, ჩვენ გვჯერა უკრაინის, როგორც ევროპული ქვეყნის მომავლისა.

ახლა, რაც შეეხება რელიგიურ სიტუაციას უკრაინაში. ჩემი ულრმესი რწმენით, პონტიფექსის ვიზიტმა შეიძლება, უკრაინის საზოგადოების გამაერთიანებელი როლი შეასრულოს. ჩვენი სახელმწიფო აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვარზე მდებარეობს. ტრადიციულად ჩვენ ერთნაირად ვიყავით გახსნილნი როგორც ბიზანტიური (მართლმადიდებლური), ისე რომის (კათოლიკური) ეკლესიისადმი. პრეზიდენტმა ამ აზრს საგანგებოდ გაუსვა ხაზი. მესამე ათასწლეული ახალი რეალიების, ბიზანტიური და რომაული ეკლესიების დიალოგის აქტუალური საჭიროების გათვალისწინებით, უკრაინა დიდი ხანია გახდა სულიერი, რელიგიური გაგებით ის უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდება ქრისტიანობის ორი უმთავრესი შტო. ამიტომ უკრაინაში ბევრს მიაჩნია — და როგორც რომის პონტიფექსის ვიზიტმა ცხადყო, სავსებით დასაბუთებულად, — რომ მისი ისტორიული მისია იმაშიც მდგომარეობს, რომ მოახდინოს მართლმადიდებლობისა და კათოლიციზმის ჰარმონიზება ქრისტეს სწავლების შესაბამისად. თვით პაპმა ამის შესახებ ასე ბრძანა: „სიტყვა უკრაინა შეიცავს მოწოდებას თქვენი სამშობლოს სიდიადისადმი, რომელიც ისტორიით არის მოწოდებული, იყოს საზღვარი და კარიბჭე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მრავალი საუკუნის მანძილზე ეს ქვეყანა იყო სხვადასხვა კულტურების პრივილეგირებული გზაჯვარედინები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სულიერ სიმდიდრეთა შესაყარი.

როგორ შეიძლება, გაუგო იმ ქრისტიანებს, ერთი თუ მეორე მიმდინარეობისა, რომლებიც ათვალწუნებით უყურებენ თანამოძმე ქრისტიანს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ქრისტიანობის სხვა შტოს ეკუთვნის? განა ეს ქრისტიანულია?! უკრაინელი ხალხი ვერ იგუებს რელიგიურ შეუწყნარებლობას, ამიტომ, ამაო იქნება მისი გაღვივების ყოველგვარი ცდა. მე ამაში დავრწმუნდი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გუბერნატორად ვმუშაობდი უკრაინის ერთ-ერთ დასავლეთ ოლქში, სადაც კონფესიათშორისი ურთიერთობის საკითხი ძალზე მწვავედ იდგა. სწორედ იმ დროს, გარკვეული ძალები — ბოროტების ძალები — ცდილობდნენ, ეს მხარე რელიგიური დაპირისპირების ასპარეზად გადაექციათ. მათ ვერ შეძლეს, გაეღვივებინათ კონფლიქტი უკრაინის ეროვნული ინტერესების საზიანოდ. მაშინ მე ამ მოვლენების შუაგულში ვტრიალებდი და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ქვეყანა მსოფლიოს უჩვენებს მაგალითს, როგორ ისხამს პრაქტიკულად ხორცს ეკუმენისტური იდეა — ქრისტიანობის ორი მთავარი შტოს დაახლოება მუდმივი დიალოგის გზით.

პონტიფექსის ვიზიტმა ძალზე მკაფიოდ წარმოაჩინა ყველა ეს მომენტი, უწინარესად, რელიგიებისა და კონფესიების დიალოგის მნიშვნელობა; ვიზიტის დროს არაერთგზის აღინიშნა, რომ უკრაინის სახელმწიფო ყოველ ღონეს იხმარს რელიგიურ თავისუფლებათა უზრუნველსაყოფად.

დღეს, ჩვენში მოქმედებს რელიგიური გაერთიანება. მათ შორის დიალოგი ხორციელდება სრულიად უკრაინის ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების საბჭოს — იმ ფორუმის ფარგლებში, რომელიც შეიქმნა სახელმწიფოსა და რელიგიური თემების ძალებით საკითხთა ერთობლივი გადაწყვეტისათვის.

რა თქმა უნდა, უკრაინაში ჯერ არ არის გადაწყვეტილი ყველა კონფესიათშორისი პრობლემა. მაგრამ სახელმწიფო, მისი ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უკრაინაში უზრუნველყოფილ იქნეს რელიგიური თავისუფლება, რათა ყველა კონფესიის წარმომადგენლები საზოგადოებრივი ცხოვრების სრულუფლებიან და თანასწორ მონაწილეებად გამოდიოდნენ და შექონდეთ თავიანთი წვლილი საერთო მიზნის მიღწევაში, რომელსაც სიკეთე, მშვიდობა, უკრაინის უსაფრთხოება და აყვავება ჰქვია, რომის პაპის ვიზიტი დიდად შეუწყობს ხელს უკრაინის სახელმწიფოს ამ ძალისხმევას.

— მოახდინა თუ არა რაიმე გავლენა პონტიფექსის, ერობაში — კაროლ ვოიტილას, სლავურმა წარმოშობამ უკრაინაში მისი ვიზიტის მომზადებასა და მოწყობაზე?

— თქვენ შეეხეთ კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან ასპექტს, რომელსაც არ შეიძლება არ გაუწიო ანგარიში, როდესაც რომის პაპის უკრაინის ვიზიტზე ელაპარაკობთ, — ეს არის ვატიკანის ისტორიაში პირველი პონტიფექსი, რომელსაც უკრაინული წარმოშობა, უკრაინული ძირები აქვს. სხვათა შორის, ამას ხშირად ამბობს ხოლმე იოანე პავლე II. უფრო მეტიც — გამოჩენილი სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწე უკრაინას მიესალმა უკრაინულ ენაზე, რომელსაც იგი თავისუფლად ფლობს.

რომის პაპის იოანე პავლე II განცხადება, რომ იგი უკრაინაში ჩამოვიდა „როგორც მშვიდობის დესპანი, რომელსაც ამოძრავებს მხოლოდ ერთი მისწრაფება — ქრისტესმიერი სიყვარული“, მისი მოწოდება ერთობისა და „ბრძნული ტოლერანტობისადმი“ მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი უკრაინულად ლაპარაკობდა. შეეხო რა დამოუკიდებლობას, პაპმა, კერძოდ, თქვა: „თქვენმა ხალხმა მიაღწია ამ ნანატრ მიზანს მშვიდობიანი და უსისხლო გზით და ახლა თქვენ შეუპოვრად უნდა ილაწვოთ საზოგადოებრივი და სულიერი გარდაქმნისათვის. გისურვებთ, გამოგეჩინოთ მეტი სიმტკიცე თქვენს ძალისხმევაში, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ დაძლიოთ სიძნელენი, დაამკვიდროთ ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების სრული პატივისცემა. ბრძნული ტოლერანტობის პოლიტიკა უზრუნველყოფს პატივისცემას და სიმპათიებს უკრაინელი ხალხისადმი და ამის მეოხებით — დაუმკვიდრებს მას განსაკუთრებულ ადგილს ევროპელი ხალხების ოჯახში. მე მოვედი, რათა თაყვანი ვცე თქვენი ისტორიის სალოცავ ადგილებს და თქვენთან ერთად ვთხოვო უფალს, გვფარავდეთ და გვწყალობდეთ“. იოანე პავლე II უკრაინისათვის უკრაინულ ენაზე ილოცებს.

— რამდენად გაითვალისწინეს უკრაინაში სხვა ქვეყნების გამოცდილება, სადაც ბოლო დროს ყოფილა იოანე პავლე II, პონტიფექსის ვიზიტის მზადების დროს?

— რა თქმა უნდა, უკრაინამ გაითვალისწინა იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებსაც ბოლო წლებში ეწვია რომის პაპი — კერძოდ, პოლონეთის, საბერძნეთის, საქართველოსი. უკრაინა გახდა საქართველოს შემდეგ მეორე ქვეყანა პოსტსაბჭოურ სივრცეში, რომელსაც რომაელი პონტიფექსი ეწვია და ამიტომ საქართველოს გამოცდილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვიზიტის მზადების დროს. უკრაინაში პაპის ჩამოსვლის წინ ჩვენ ერთხელ კიდევ გავიხსენეთ და გავიაზრეთ ის სამახსოვრო დღეები, როდესაც პონტიფექსი საქართველოს მიწა-წყალზე იყო, მოვიგონეთ ყოველივე ის, რაც ითქვა და დაიწერა იმ დროს. პირადად მე, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ და, უბრალოდ, ადამიანურ სიბრძნეში. ვინ იცის, როდის გაიმართებოდა პაპის ვიზიტი უკრაინაში, იგი საქართველოში რომ არ ჩამოსულიყო!

ასეთი მნიშვნელობისა და ასეთი მასშტაბის მოვლენებში წვრილმანები არ არსებობს, ყველაფერს ღრმა სიმბოლური აზრი აქვს. პირადად მე განსაკუთრებულ აზრს ვხედავ იმაში, რომ საქართველო და უკრაინა გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ პონტიფექსის მოგზაურობათა რუკაზე. აკი, სულაც არ იყო შემთხვევითი ის, რომ მრავალი საუკუნის წინათ ქრისტეს მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანული სარწმუნოების მომავალი აყვავება იწინასწარმეტყველა იმ მიწა-წყალზე, რომელსაც დღეს საქართველო და უკრაინა ჰქვია.

საუბარს უძღვებოდა
არჩილ მანჯგალაძე.

სკოპიე: პარლამენტი ალყაში იყო

მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში რამდენიმე ათასმა განრისხებულმა დემონსტრანტმა ალყა შემოარტყა პარლამენტის შენობას იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მთავრობა მეტისმეტად ელოლიავება ალბანელ მეამბოხეებს.

დემონსტრაციის დროს გაისმოდა ავტომატური იარაღის სროლა და შეძახილები: „ალბანელები — გაზის კამერაში!“.

ბი-ბი-სის კორესპონდენტი იუწყება, რომ ქალაქში დაძაბული ვითარებაა, ქუჩებში გაისმის მოწოდებები, დაარბიონ ალბანელთა მაღაზიები.

აქციის რამდენიმე მონაწილე პარლამენტის შენობაში შეიჭრა და პრეზიდენტ ბორის ტრაიკოვსკის გადაყენება მოითხოვა. პრეზიდენტი და მმართველი პარტიის წევრები სასწრაფოდ გახიზნეს.

პროტესტები დაიწყო მას შემდეგ, რაც მოთარეშე ალბანელებმა ორშაბათს თავიანთი ძალები გამოიყვანეს სკოპიეს მახლობლად მდებარე სოფელ არაჩინოვოდან. იმავე დროს ძლიერი სროლა განახლდა ტეტოვოს ირგვლივ. 500-მდე მოთარეშემ არაჩინოვო დატოვა ავტობუსებით. მას თან ახლდნენ ნატოს სამხედრო მოსამსახურენი და ევროკავშირის მეთვალყურენი.

ბევრი სლავი მაკედონელის გულისწყრომა გამოიწვია იმან, რომ მოთარეშეებს ნება დართეს, თოფიარაღიანად წასულიყვნენ. ადგილობრივი მცხოვრებნი განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან იმით, რომ შეიცვალა დასავლეთის დამოკიდებულება ალბანელი მეამბოხეებისადმი, რომლებსაც ნატო სულ რამდენიმე კვირის წინ ტერორისტებს უწოდებდა.

ახლა მაკედონელები თვლიან, რომ დასავლეთი მათ სახელმწიფოს ისე ექცევა, როგორც დამნაშავე მხარეს.

მაკედონიის ხელისუფალნი უკვე ორშაბათ საღამოს დათანხმდნენ, დაიწყონ მოლაპარაკების ახალი რაუნდი ქვეყანაში მცხოვრები ალბანელების ინტერესების გამომხატველ პოლიტიკურ პარტიებთან. ეს განაცხადა მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ილინკა მიტრევამ. ლუქსემბურგში, სადაც იგი ამჟამად იმყოფება, მიტრევა მწვავედ გააკრიტიკეს ევროკავშირის წევრებმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან იმით, თუ როგორ ცდილობს სკოპიე, დააღწიოს თავი გაჭიანურებულ კრიზისს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი კომიუნიკეს პროექტში ნათქვამია: „ამ კრიზისის სამხედრო გადაწყვეტა არ არსებობს. პოლიტიკური დიალოგი უნდა განახლდეს და მას სულ მალე უნდა მოჰყვეს შედეგები“.

გარდა ამისა, ევროპული დიპლომატიური უწყებების მეთაურებმა გადაწყვიტეს, მაკედონიაში მიავლინონ თავიანთი საგანგებო დესპანი — საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანსუა ლეოტარი.

გუშინ დემონსტრანტთა ალყა მოიხსნა.

ენები კვდება

ამ საუკუნის განმავლობაში პლანეტაზე გაქრება ამჟამად გავრცელებულ ენათაგან ნახევარზე მეტი. ასეთია მონაცემები გამოკვლევისა, რომელიც ამერიკის არასამთავრობო ორგანიზაცია **World Watch Institute**-ს ჟურნალის ივნისის ნომერში გამოქვეყნდა.

მკვლევარები ენების გაქრობის სხვა მიზეზებთან ერთად ასახელებენ ეთნიკურ ომებსა და გენოციდის აქტებს, დიდ სტიქიურ უბედურებებს, მცირე ერების გათქვეფას და გადასვლას ისეთ გაბატონებულ ენებზე, როგორიც არის ინგლისური, ფრანგული, ჩინური და რუსული. ჟურნალის პროგნოზით, ამჟამად გავრცელებული 6800 ენისაგან 2100 წლისათვის დარჩება დაახლოებით 3000.

ლინგვისტები ამტკიცებენ, რომ ყოველ ორ კვირაში პლანეტაზე ქრება ერთი ენა, და ეს ტენდენცია ნორმალურად ითვლება. პრობლემა ის არის, რომ ამჟამად ეს მაჩვენებელი გეომეტრიული პროგრესიით მატულობს. როგორც ლინგვისტიკის ექსპერტები თვლიან, საუკუნის მანძილზე ხმარებიდან შეიძლება, გაქრეს დაახლოებით 6200 ენა და კილოკავი.

დაიწყება ემუქრება, უწინარესად, მცირე ერების ენებს. იუნესკოს მონაცემებით, ენა შეიძლება არსებობდეს და თაობიდან თაობას გადაეცემოდეს, როდესაც მისი მატარებლების რიცხვი შეადგენს არანაკლებ 100 ათას კაცს. დღეს კი, მაგალითად, ალასკის მკვიდრ მცხოვრებთა ენაზე „იაკზე“ ლაპარაკობს ამ შტატის მხოლოდ ერთი მცხოვრები, „უდიხე“ კილოკავს ციმბირში ხმარობს 100-მდე კაცი, ხოლო „არიკაპუ“ ენა იცის სულ ექვსმა ბრაზილიელმა თანატომელმა ინდიელმა.

საინტერესოა, რომ ამჟამად არსებული ენების ნახევარზე მეტი მოდის სულ რვა ქვეყანაზე. ესენია პაპუა ახალი გვინეა, ინდონეზია, ნიგერია, ინდოეთი, მექსიკა, კამერუნი, ავსტრალია და ბრაზილია.

საგულისხმოა ისიც, რომ ენების კვდომის პარალელურად მიმდინარეობს უკუპროცესიც. მაგალითად, თავის დროზე აღდგა ებრაული, რომელზეც ახლა 5 მილიონზე მეტი ისრაელი ლაპარაკობს. ჰავაის კუნძულების 10 ათასზე მეტი მცხოვრები ამეტყველდა ჯერ კიდევ ათი წლის წინათ პრაქტიკულად დავიწყებულ მშობლიურ ენაზე, მექსიკელები ცდილობენ დაიბრუნონ მაიას ტომების დაკარგული ენები, ხოლო ახალზელანდიელები — მაორისა.

ქველმოქმედება — „მაინ კამპფის“ ფულით

ყველას სმენია წიგნის „მაინ კამპფის“ სახელწოდება. ზოგს წაუკითხავს იგი. ზოგი ეთანხმება მის პოსტულატებს, უმრავლესობა კი ამ ნაწარმოებს სიგიჟედ მიიჩნევს. მაგრამ არავინ დაფიქრებულა იმაზე, თუ სად მიდის „მაინ კამპფის“ გაყიდვით მიღებული შემოსავალი — იქ, სადაც ეს გაყიდვა ნებადართულია.

ჰიტლერმა ეს წიგნი ციხეში დაწერა 1923-24 წელს.

ამ ბოლო დრომდე დანამდვილებით იყო ცნობილი მხოლოდ ის, რომ წიგნის გამოცემის საავტორო უფლება ეკუთვნის ბავარიის ფინანსთა სამინისტროს. თუ სად მიდიოდა ბრიტანული გამოცემის გაყიდვით მიღებული შემოსავალი (დაახლოებით 3000 ეგზემპლარი წელიწადში) ბოლო დრომდე უცნობი იყო. ერთადერთი, რაც იყო ცნობილი, — ის რომ რეციპიენტი საქველმოქმედო ორგანიზაციაა.

ამ რამდენიმე დღის წინათ გამოირკვა, რომ ჰიტლერის წიგნის გაყიდვით შემოსულ შემოსავალს განკარგავდა ლონდონში ბაზირებული გერმანელთა საქველმოქმედო საბჭო.

ეს საბჭო ეხმარება ნაცისტური ბანაკების ყოფილ ტუსაღებს, იხდის სოციალურ მუშაკთა ვიზიტის ფულს, ხელს უწყობს კომპენსაციის საბუთებში გარკვევას და სხვ. მართალია, საბჭოს თანამშრომელთა თქმით, მუშაობის საერთო მოცულობაში ყოფილ ტუსაღთა დახმარებას რესურსების მხოლოდ მეათედი ეთმობა.

ახლა, როგორც საბჭომ განაცხადა, წიგნის გაყიდვის ანარიცხების მიღება შეწყდება, საბანკო ანგარიში, რომელზეც ფული შემოდიოდა, გაყინულია, და საბჭოს მუშაკები გადაწყვეტენ, რა უყონ 37 000 გირვანქა ნაშთს.

საბჭოს წარმომადგენლებმა თქვეს, რომ 1976 წლიდან „მაინ კამპფის“ გაყიდვით შემოდიოდა დაახლოებით 4000 გირვანქა ყოველწლიურად. თუმცა „ტაიმსის“ ლიტერატურული დანართი სულ სხვა ციფრს ასახელებს: 500 ათასი გირვანქა ამ სქემის მთელი მუშაობის მანძილზე. გაურკვეველი რჩება ისიც, განაგრძობდა თუ არა საბჭო ამ ფულის მიღებას, საზოგადოებრიობას რომ არ სცოდნოდა, სად მიდის ადოლფ ჰიტლერის საავტორო უფლებების შესატანი.

ცრუემიგრანტებისა და ცრუებრაელების წინააღმდეგ

გერმანიის ებრაელთა თემის მეთაურმა ხელისუფალთ მოუწოდა, უფრო მკაცრი კონტროლი დაუწესონ ქვეყანაში ჩამოსულ ებრაელ იმიგრანტებს. როგორც პაულ შპიგელმა, გერმანიის ებრაელთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდენტმა თქვა, დაახლოებით 30 ათასმა იმიგრანტმა ებრაელობა დაიჩემა მხოლოდ იმიტომ, რომ მოქალაქეობა მიეღო.

ახლა ებრაელთა თემს განზრახული აქვს, ექსპერტები მიავლინოს გერმანიის საელჩოებში, რათა მათ შეამოწმონ მომავალი იმიგრანტების მეტრიკები.

„ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ გერმანია არ უზღუდავდა ებრაელებს ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად წასვლას. ბევრი მათგანი საბჭოთა კავშირიდან ჩავიდა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დაახლოებით 137 ათასი ებრაელი გადაბარგდა გერმანიაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და გაასამკეცა იქაური თემი, რომელიც სკოლებთან ერთად, თავს ვერ ართმევს ახლად ჩასულთა საზოგადოებაში ინტეგრაციას. გერმანიის ებრაელთა ცენტრალური საბჭოს ხელთ არსებული ინფორმაციით, მათი თითქმის ორი მესამედი სრული სოციალური უზრუნველყოფის იმედად ცხოვრობს.

ებრაელი იმიგრანტებისათვის ღია კარის პოლიტიკა, რომელსაც გერმანიის მთავრობა ახორციელებს, გამოხატავს ჰოლოკოსტისათვის ბრალისა და პასუხისმგებლობის მონანიების გრძნობას, რომელსაც გერმანია განიცდის წინათ დევნილი ერის მიმართ. მაგრამ ქვეყნის ებრაელთა თემს საგონებელში აგდებს ასეთი პოლიტიკის შედეგები. ეჭვი არ არის, რომ ახალჩამოსულთაგან ბევრნი არიან ეკონომიკური იმიგრანტები, რომლებსაც იზიდავს ქვეყანაში ცხოვრების მაღალი დონე.

მკვლელებს ხალხი გაასამართლებს?

მთელი ბრიტანეთი მსჯელობს იმაზე, თუ რა მოელით ჯონ ვენაბლსს და რობერტ ტომსონს — მცირეწლოვანი ჯეიმს ბულჯერის ახლახან გათავისუფლებულ მკვლელებს. მხეცური და სრულიად აუხსნელი მკვლელობა, რომელიც 1993 წელს ჩაიდინა ორმა ათი წლის ბიჭმა, შეძრა მთელი ბრიტანეთი.

ახლა ბულჯერის მკვლელები უკვე მოზრდილი ადამიანები არიან, მაგრამ სახით მათ არ იცნობენ.

არანაკლებ დაძაბული ემოციები სდევს თან მათს ვადამდელ განთავისუფლებას. ვენაბლსი და ტომსონი, რომლებმაც რვა-რვა წლის პატიმრობა მოიხადეს, გამოუშვეს ციხიდან. ასე გადაწყვიტა პირობით — ვადამდელი გათავისუფლების საბჭომ.

ვენაბლსის და ტომსონის განთავისუფლებამ მკაცრი საიდუმლოობის ვითარებაში ჩაიარა. ახლა 18 წლის მკვლელები სხვა სახელებით ცხოვრებენ. მათი ადგილსამყოფელი არავინ იცის. მათ აეკრძალათ მშობლიურ ლივერპულში გამოჩენა პოლიციის ნებადაურთველად და ისინი მთელი სიცოცხლე პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან. მკვლელების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უკვე დაიხარჯა მილიონ-ნახევარი გირვანქა სტერლინგი და კიდევ რამდენიმე მილიონი დაიხარჯება. ახლა თავად ვენაბლსი და ტომსონი არიან დასაცავი.

ჯეიმს ბულჯერის მამა სიმშვიდისაკენ მოუწოდებს.

პოლიციას საგონებელში აგდებს მრავალრიცხოვანი მოწოდებანი, რომ მკვლელები ხალხმა უნდა გაასამართლოს. ინტერნეტში გამოქვეყნდა შურისძიების მომწოდებელი პეტიცია, რომელსაც უკვე რამდენიმე ათასი კაცი აწერს ხელს, და ხელმოწერების შეგროვება გრძელდება. კვირას ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა დევიდ ბლანკეტმა განაცხადა, რომ შემფოთებულია მზარდი ისტერიით, და შეახსენა საზოგადოებრიობას, რომ ახლა მეცხრამეტე კი არა, ოცდამეერთე საუკუნეა, და ინგლისი არ არის ამერიკის შუა დასავლეთი. „ჯეიმს ბულჯერს ვეღარ გააცოცხლებთ. ამიტომ, უმჯობესია, მომავალზე ვიფიქროთ. საზოგადოებისათვის უშიშროების საუკეთესო გარანტია იქნება ვენაბლსის და ტომსონის ეფექტიანი რეაბილიტაცია“.

ახლა პოლიცია ყოველნაირად ცდილობს, თავიდან აიცილოს ერთ-ერთი მკვლელის ამასწინანდელი ფოტოსურათების გამოქვეყნება საზღვარგარეთის პრესაში. ვინაიდან იგი, ბრიტანულისაგან განსხვავებით, არ არის შებორკილი სასამართლოს დადგენილებით, რომელიც კრძალავს განთავისუფლებულთა ადგილსამყოფლის შესახებ რაიმე ფაქტების გათქმას ან მათი გამოსახულების გამოქვეყნებას. როგორც ბრიტანული „ტაიმსი“ წერს, საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის გაზეთები მზად არიან, 50 ათასი დოლარი გადაიხადონ ამ ფოტოსურათებისათვის.

ამასობაში კი ექსპერტები აცხადებენ, რომ საზოგადოებრიობის აგრესიულად განწყობილმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ცდილობენ, საკუთარი მსჯავრი გამოუტანონ ვენაბლსს და ტომსონს, შეიძლება, საფრთხე შეუქმნან ყოვლად უდანაშაულო ადამიანებს.

თავშეკავებისაკენ მოუწოდებს მოკლული ჯეიმსის მამა რალფ ბულჯერიც. „ჩვენ არ გვინდა, რომ თავს დაესხან ყოვლად უდანაშაულო ადამიანებს იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს ეს თავდასხმები ჯეიმსის სახელით მოხდებოდა. იმას, თუ რამდენად დაძაბულია ემოციები, მოწმობს ის ფაქტი, რომ დაღუპული ბიჭუნას დედა — დენიზი დღემდე ვერ შეგუებია მისი მკვლელების განთავისუფლებას. „მე სიძულვილით, ბრაზითა და შიშით ვარ გამსჭვალული. მე ვფიქრობ, რომ ისინი დღესაც საშიშნი არიან“, — განუცხადა მან ბულვარულ „დეილი მეილს“.

იმას, თუ რა მასშტაბი შეიძლება მიიღოს საზოგადოებრივმა ნადირობამ დამნაშავეებზე, მოწმობს შარშანდელი ამბები, როდესაც, მას შემდეგ, რაც მეორე ბულვარულმა გაზეთმა „სანმა“ გამოაქვეყნა ყველაზე ცნობილი პედოფილების სია, ქვეყანას რბევისა და თვითგასამართლების ტალღამ გადაუარა. ნადირობას მოჰყვა ყოვლად უდანაშაულო მსხვერპლი.

49 წლის იენა არმსტრონგს გააფთრებული ბრბო წიხლებით შესდგა მხოლოდ იმისათვის, რომ მას ისევე, როგორც ერთ-ერთ პედოფილს, რომლის პორტრეტიც დაიბეჭდა „სანში“, ყელზე კორსეტი ეკეთა. „სანის“ მოქმედება დაგმეს ხელისუფლებმა, მაგრამ ხალხის მრისხანების დაცხრობას ბრიტანეთის ქალაქებში კიდევ კარგა ხანი დასჭირდა.

ყველა საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ბულჯერის მკვლელების განთავისუფლებას „სახალხო პროკურატურის“ მხრივ ახალი აქციები მოჰყვება.

პაპი-ოფიცერი

უკრაინაში ვიზიტის დროს რომის პაპი იოანე პავლე II-მ მოიარა ის ადგილები, სადაც 60 წლის წინათ... ჯარში მსახურობდა.

კათოლიკური ეკლესიის უზენაესი იერარქის „ჯარისკაცული“ წარსული სულ ორიოდ დღის წინ წამოტივტივდა — მილანის გაზეთ „ჯორნალეში“ გამოქვეყნდა დავიწყებული ფოტოსურათები, რომელზეც 19 წლის კაროლ ვოიტილა მაშხანით ხელშია გამოსახული.

ეს ფოტოსურათები გადაღებულია 1939 წლის ივლისში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე, ახლანდელი დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე. ვოიტილა, რომელიც კრაკოვის იაგელოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა, საზაფხულო სამხედრო შეკრებაზე იყო გაწვეული.



კაროლ ვოიტილა (მარჯვნივ) 1939 წელს გაიწვიეს ჯარში ახლანდელი უკრაინის ტერიტორიაზე.

ფოტოსურათების ავტორია მეორე ყოფილი პოლონელი სტუდენტი, ადამ გატი-კოსტიალი. სამხედრო მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს იგი ბევრს იღებდა. პოლონეთის ნაცისტური ოკუპაციის წლებში მას აპარატი გესტაპოს თანამშრომლებმა ჩამოართვეს, მაგრამ ფოტოსურათები და გაუმჟღავნებელი ნეგატივები მეგობრებთან დამალა.

1978 წელს, როდესაც ვოიტილა რომის პაპი და იოანე პავლე II გახდა, გატი-კოსტიალმა იგი ტელევიზორით ნახა და მის უწმინდესობაში იცნო თავისი ყოფილი თანაპოლკელი. როგორც კოსტიალი იხსენებს, კაროლ ვოიტილა იყო მშვიდი, ღიმილიანი და მორცხვი ჭაბუკი, ამასთან ძალიან უყვარდა სპორტი.

გატი-კოსტიალი დიდხანს ეძებდა ძველ ფოტოსურათებსა და ნეგატივებს — და ახლა, ბოლოს და ბოლოს, მათ იხილეს დღის სინათლე.

სტუდენტი ვოიტილა ჯარისკაცის ულუფას შეექცევა.

მომავალ რომის პაპს ჯარში ასწავლიდნენ სროლას და მწყობრად სიარულს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

ნანა ღვინეფაძე

ანაბეჭდები გულის ფიცრიდან

ემირ ბურჯანაძის ნახატები.

დრო და მწერალი

უკან მოხედვის ჟამი...

... ადამიანს ასაკთან ერთად საქმე და საფიქრალიც ემატება, უკან მოსახედად თითქმის არც სცალია, მაგრამ დგება დრო, როცა დაღლილი მგზავრივით უნდა შედგე, მიმოიხედო, და... წაიოცნებო... ხის ძირას ჩამოჯდე...

ასე მოგონებებში ჩაძირულს ეხედავ ახლა მე თავის საყვარელ უნაბის ხესთან ღვაწლმოსილ მწერალს ქეთევან ჭილაშვილს – ამ ხეს მისი დაბადება ახსოვს და დღესაც დგას ვერის უბანში, ყოფილ კობის ქუჩაზე – მისი მონახულება ქეთევანისთვის მშობლების და ახლობლების მოსიყვარულებას უდრის... ბევრი სიკეთე ახსოვს ამ ქართული ეზოდან, ბევრი ბავშვობისდროინდელი თანატოლის ოინი მის საყმაწვილო მოთხრობებში აისახა. ახსოვს მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული, რომელსაც, აგრეთვე, გამორჩევით უყვარდა ეს უნაბის ხე, ეს ეზო და იქაური ბავშვები – ამიტომაც დაარქვა ერთ-ერთ მოთხრობას მწერალმა „უნაბი – ადგილის დედა".

პირველი ნაწარმოების დაბეჭდვიდან ზუსტად 50 წელი გასულა, „დილაში" გამოქვეყნებულ მოთხრობას „და-ძმა" ერქვა. საუკუნის მიწურულში „ნაკადულის" მიერ გამოცემულ კრებულსაც „და-ძმა" უწოდა. ბავშვებისთვის ახლობელი ხდებიან ქეთევანის გმირები, რადგან ის მათთვის გასაგები ენით ესაუბრება მოზარდებს, ამავე დროს ეს ენა მადლიანიცაა და მარილიანიც – უმარილო სიტყვა კი უმარილო პურივით უნდილი არის – ქეთევან ჭილაშვილის ყუათიანი ქართული მისი მოთხრობებისა და პიესების თავდაპირველი ღირსებაა.

ამას დაუმატეთ ლაკონიურობა, რაც ახასიათებს ქეთევან ჭილაშვილის შემოქმედებას და სიკეთის ქადაგების ნიჭი, რისი მეოხებითაც იგი მოზარდი თაობის დამმოძღვრავად ითვლება.

... მწერალთან ერთად ისევ მოგონებათა ბილიკს გავყვები: წარმოშობით შუა ქართლიდანაა, მათი სოფელი ზეღდულეთი გორის მახლობლად არის – იქ იყო პაპა ესტატეს ფუძე – მის ნაფუძარზე ახლაც ცხოვრობენ ცერცვაძეები – სულ ახლახან მიუბარებიათ მიწისთვის კარგი მთქმელი და გვარის უხუცესი ჩიტა ცერცვაძე, – მისი დები სიდონია და რუსუდანი დაკანკალებენ სახლკარს. უყვარს ხოლმე ქეთევანს მათთან სტუმრობა, ისინიც სიამით ელიან მოგვარეს.



... გვარის ამბავიც მოსდევს სათქმელს: ხევსურიანებადაც მოიხსენიებენ თურმე მათ; ეს ქვეგვარი კი მართლაც ხევსურებთან ყოფილა დაკავშირებული, იქ ჰქონიათ ფესვი. წინაპარს კაცი შემოკვდომია და შუა ქართლში გადმოხიზნულა – ჭინჭარაული ყოფილა და ჯერ წეწვაძედ გადაუკეთებია გვარი, მერე კი ცერცვაძედ ქცეულა; ქვეგვარი ხევსურიანები ზოგიერთს დღემდე გვარად შემორჩა. ახლაღა გამახსენდა: გაზეთ „სამშობლოს" რედაქციაში ერთად მუშაობისას ქეთევანი ზოგიერთ წერილს ქეთა ხევსურიანს რომ აწერდა – თურმე ეს ფსევდონიმი გამოგონებული არ ყოფილა.

– როგორღაც ისე მოხდა, რომ ზეღდულეთი გვიან „გავიცანი", – მიამბო ქეთევანმა, – ერთხელაც მამაჩემმა, გიორგიმ დამავლო ხელი და ქართლში წამიყვანა – ენახე და შემიყვარდა, მენატრება ხოლმე იქაურობა და ხშირადაც დავდივარ.

... ისევ ბავშვობას იხსენებს, ბებიას – მარიამ შერაძის ქალს, რომელმაც შეაყვარა წიგნი და ნამზითვი „ვეფხისტყაოსანიც" ზეპირად სცოდნია ძველი ადათ-ჩვეულების თანახმად – ასე რომ, ქეთევანის შემოქმედებაში ბებიის ენაწყლიანობასაც უდევს წილი – ის რომ ზღაპრების გუდას პირს მოხსნიდა, ძილი ვიღას ახსოვდაო...

გარდა პროზისა, ქეთევან ჭილაშვილის დრამატურგიაც ამდიდრებს ქართულ საბავშვო ლიტერატურას: „აცაბაცა", „ეკიპაჟი კისკისა", „ლურჯი ხალათი". ზოგი მათგანი თბილისის გარდა ქუთაისსა და ონშიც დაიდგა. ქეთევან ჭილაშვილის თბილი ხელები შეეხო იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას „იავნანამ რა ჰქმნა" და მის მიერ გაპიესებული ეს ნაწარმოები მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ერთ-ერთი საჩინო წარმოდგენა იყო 70-იან წლებში. სწორედ ქართული საბავშვო მწერლობის ასეთი მადლცხებული წარმომადგენელი უნდა შეხებოდა ალბათ გოგებაშვილისეულ „იავნანას", ყოველი ქართველისათვის უძვირფასეს ნაწარმოებს, რომლის გასცენიურებამ კიდევ ერთხელ შეაღვიძა ყმაწვილებში ქართული სული.

ქართული სულის გადასარჩენად შექმნა ქალბატონმა ქეთევანმა მწერალთა კავშირში ე. წ. „ძია შიოს დარბაზი" – სადაც იმართება ხოლმე დარბაზობა როგორც ჩინებული პოეტის – შიო მღვიმელის, ასევე წინამორბედ და თანამედროვე საბავშვო მწერალთა პატივსაცემად.

ერთი შესანატრი თვისება აქვს: სიდარბაისლე, სიდინჯე, – ეს სიმშვიდე, ეს გულდინჯობა, არ ვაჭარბებ, – გადამდებია, რაც არ უნდა აფორიაქებული იყოთ, თუ თქვენ გვერდით არის, უეჭველად დაგამშვიდებთ – უსიტყვოდ, თბილი მზერითა და ღიმილით... ქალიშვილებიც მისებრ სათნო ჰყავს – დარეჯანი და მარინე. შვილიშვილიც სანაქებო ეზრდება – ვახტანგი!

სიმშვიდე და სიხარული ნუ მოაკლოს ქეთევანის ქართულ კერას ღმერთმა დედაქალაქში თუ მარტყოფში – ქმრისეულ ფუძეზე, სადაც ის მწერალიც არის და დიასახლისიც, მეურნეც ამასთან ერთად – რადგან მიწასთან სიახლოვე ახალ ძალას მატებს მას, როგორც ოჯახის დედაბოძს და როგორც შემოქმედს!

წლები

ქალბატონი ნუგეშა

... ნუგეშა მაყაშვილი უფროსი დის – მაროს დაღუპვის შემდეგ მოევლინა კოტე მაყაშვილის ოჯახს ნუგეშად! მისი ნათლობის სახელი მარიამია... მგლოვიარე მშობლებისთვის იგი იმედის სხივი აღმოჩნდა, მანვე შემოინახა ზეპირი თუ დოკუმენტური მასალები 1921 წელს ტრაგიკულად დაღუპულ დაზე. მაროს ხატი არც ძმის – შალვა მაყაშვილის მეხსიერებაში წაშლილა, ოღონდ ეს ტკივილი სულის სიღრმეში იყო ჩამარხული დიდხანს...

რას არ ნახავთ ქ-ნ ნუგეშას არქივში – ფოტორელიკვიებს, თავისუფალი საქართველოს დროინდელ გაზეთებს, ეკატერინე გაბაშვილის (ბებიის), ელენე თარხნიშვილის (მომღერლის), სანდრო შანშიაშვილის (ოჯახის მეგობრის), თამარ გაბაშვილის (დედის) მიერ 1910 წელს საფრანგეთიდან ეკატერინე გაბაშვილისადმი გამოგზავნილ წერილებს, როცა პარიზში სტუმრად ყოფილა ნათესავთან მაროსთან და შალვასთან ერთად... ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილება ოქრომკედივით გაჰყვება შემდეგ მაროს დღიურებს, რომლის არსებობაც ქალბატონმა ნუგეშამ პირველად მე გამიმხილა...

იგი, როგორც არა მარტო პოეტის ასული, არამედ როგორც ფილოლოგიც ახლოს იცნობდა და იცნობს მამის თაობის თუ ჩვენი დროის მწერლებს, მეგობრებს. მათთან, მათ გვერდით მოღვაწეობდა ნახევარი საუკუნის მანძილზე ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

ერთხელ მიამბო: როცა მწერალი აკაკი ბაქრაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა უახლოეს ქართულ ლიტერატურაზე, სტუდენტების თხოვნით ყურადღება გაუმახვილებია 1921 წლის მოვლენებზე. მაშინ უხსენებია მას მარო და თავიდან ბოლომდე უთქვამს ზეპირად მამაჩემის ლექსი „ჩემს მაროს" – ეს მისი სტუდენტისაგან გავიგე და როცა შევხვდი, დიდი მადლობა მოვახსენე – მაშინ საჯაროდ ჯერ კიდევ საშიში იყო ამ თემაზე საუბარი (1990 წლის ბოლოს „სარანგის" მიერ გამოცემულ კრებულში „მწერლობის მოთვინიერება", აკაკი ბაქრაძე მაროსაც მოიხსენიებს როგორც მივიწყებულ მსხვერპლს).

პოეტი თამარ ერისთავი, მაროს და ნუგეშას დის – ნუნუს ასული, იხსენებს ხოლმე როგორ ასწავლიდა მას და მის ძმებს – გოგიტას და ელიზბარს დედა სათითაოდ კოტე მაყაშვილის ცრემლიან ლექსს – ასე გადასახლდა, გადანაწილდა შთამომავლობაში პოეტის და მისი პირმშოს – მაროს სულიერება.

ქალბატონ ნუგეშას ახსოვს დედის ლამაზ თვალებში ჩამდგარი უძირო სევდა, მაგრამ ბავშვი ბავშვია და მას ალერსი არ მოკლებია, – რას არ ეძახდნენ შინაურები: კონსუელოო, ნუგეშაო; შავტუხა და ლოყაწითელ გოგონას მამამ ჩიბურხანიც კი შეარქვა, რაც ვახტანგ კოტეტიშვილს გაულექსავს.

„რაც ეს გოგო მოგვევლინა,
სულ არ არის დიდი ხანი, –
ყველა ქალზე უკეთესი
გახლავთ ჩვენი ჩიბურხანი".

– მაშინ ყველა ბავშვს ალბომი ჰქონდა და იქ ჩამიწერა, დამეკარგაო... არც სტუდენტობაში დაკლებია ქათინაურები:



„მიყვარს ვარდი გადაშლილი და ნუგეშა მაყაშვილი".

ბევრი მოკეთე ჰყავს, ბევრი საზრუნავიც აქვს. სამუშაოსთან ერთად მისი მთავარი საზრუნავი უფროსი ძმა – ცნობილი მხატვარი შალვა მაყაშვილი იყო, რომელიც 1990 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა. დიდმა მწუხარებამ დაისადგურა მაშინ სანათესაოში: – მაყაშვილებში ასეთი ლამაზი და თავმდაბალი კაცი არ მეგულებოდაო, – ჩამესმა ქალის ხმა, დიდუბის პანთეონში რომ მივაცილეთ მხცოვანი ხელოვანი... ქალბატონი ნუგეშა ახლაც ძმის აჩრდილთან ცხოვრობს, მის ჩინებულ ქმნილებებს შორის.

წელს იგი იუბილარია – გილოცავთ, ქალბატონო ნუგეშა! ჩვენ გადავლახეთ მეოცე საუკუნე და ახალი, მესამე ათასწლეულის მოქალაქეები ვართ!

... რა ვუსურვოთ ერთმანეთს და ჩვენს ტანჯულ ხალხს, – რა ვინატროთ!

რა და, ქართველს ქართველობის მირონი არ ჩამოერეცხოს!

ქართველობისთვის დებდნენ თავს ჩვენი სახელოვანი წინაპრები და მათ შორის დაჲ თქვენი – მარო-მარიამი; წელს ისიც იუბილარია, მარიამობის თვეში ასი წელი უსრულდება!

სურათებზე: ნუგეშა მაყაშვილი (ნახატი ირ. თოიძისა); შალვა მაყაშვილის პერსონალური გამოფენა ეროვნულ გალერეაში (მარცხნიდან მეორე). მის გვერდით დისწული, პოეტი თამარ ერისთავი, შუაში – მხატვარი ნატო ფალავანდიშვილი, მარჯვნივ – მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.

მადლი

ნათელმლიერი



აკაკი წერეთლისეული ეს კომპოზიტი საოცრად გამოხატავს იმ ადამიანის კეთილ ბუნებას, რომლის დაბადებიდან 100 წლისთავი ახლახან აღნიშნა ქართველმა ხალხმა – ეგნატე ფიფია – კაცი იმედიანი და ხელბედნიერი! „ხელბედნიერი" დავარქვი ნარკვევს, რომელიც ამ უკეთილშობილესი პიროვნების და დასტაქრის შესახებ გამოვაქვეყნე 70-იან წლებში და რომელშიც მან „ფრიადი" დამიწერა!

ფრიად საინტერესო იყო ბატონ ეგნატესთან გასაუბრება, მის გვერდით ყოფნა; მის გვერდით გაატარა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება პროფესორმა როდამ ქუმსიაშვილმა – ცნობილი მომღერლის, ნიკო ქუმსიაშვილის ქალიშვილმა, რომელმაც ისეთივე გულითადობა გამოიჩინა თავისი მოძღვრისადმი, როგორც საკუთარი მამისადმი – ორივეს ხსოვნას ჩინებული წიგნები უძღვნა.

„ეგნატე ფიფია" (ცხოვრება და მოღვაწეობა, რედაქტორი ზაზა კახიანი) როდამ ქუმსიაშვილისათვის გედის სიმღერად იქცა – ერთი წლის შემდეგ, 1991 წელს, იგი გარდაიცვალა.

მონოგრაფიაში ვრცლად და საინტერესოდ არის მოთხრობილი ამ ფართო მასშტაბის კლინიცისტისა და დასტაქრის მოღვაწეობის შესახებ, მოშველიებულია მისი აღზრდილი ქირურგების აზრები და მოგონებები. თვით ავტორი წიგნისა, ეგნატე ფიფიას ერთგულესი მოწაფე, უშუალო თანამშრომელი და ამიტომაც გულმართალი მთხრობელია მოვლენებისა; ათეული წლების მანძილზე ბატონი ეგნატეს თანადგომით, იგი აკვირდებოდა, სწავლობდა და იწერდა ყველაფერს, რის მეოხებითაც შეძლო შეექმნა არა მარტო მეცნიერის და დასტაქრის, არამედ უაღრესად ღრმა და კეთილშობილი პიროვნების პორტრეტი.

სამამულო ომის დასაწყისიდან იღებს სათავეს გზა, რომელმაც ახალბედა ექიმი, როდამ ქუმსიაშვილი პროფესორ ეგნატე ფიფიას გამგებლობის ქვეშ მყოფ კლინიკაში მიიყვანა. ასე აღმოჩნდა იგი ერთ-ერთ წამყვან ევაკო-ჰოსპიტალში, შემდეგ ომის ინვალიდებისათვის აღდგენითი ქირურგიის საავადმყოფოდ რომ გადაკეთდა ფიფიასავე თაოსნობით.

„ამრიგად, მის გვერდით გავატარე თითქმის მთელი საექიმო მოღვაწეობა – ორდინატორობიდან ვიდრე პროფესორის წოდებამდე. ამ ხნის მანძილზე უშუალო მონაწილე და მომსწრე ვიყავი იმ კლინიკებისა თუ ჰოსპიტლების მრავალმხრივი საინტერესო ცხოვრებისა, რომელთაც სათავეში ედგა ეგნატე ფიფია. არაერთი ღირსშესანიშნავი მომენტი მაქვს აღწერილი, მრავალი ჩანაწერი გაკეთებული, შეკრებილი და დაჯამებული დიდი და მცირერიცხოვანი სტატისტიკური მონაცემები საინტერესო და მძიმე დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფთა შესახებ, რაც ხშირად საფუძველი ხდებოდა ჩვენი ერთობლივი სამეცნიერო შრომებისა.

მრავალჯერ ვყოფილვარ მისი ოპერაციების თანამონაწილეც, რამაც საშუალება მომცა, გამეცნო იგი, როგორც პედაგოგი და მეცნიერი, კლინიცისტი და დასტაქარი, ვაგროვებდი მისდამი მიწერილ წერილებს, ბარათებსა და შთაბეჭდილებებს, ვიწერდი მის ლექციებს და გამოსვლებს".

ასე ემატებოდა ჩანაწერი ჩანაწერს, ფურცელი ფურცელს, და ბოლოს შეიქმნა წიგნი დაუვიწყარ მოძღვარზე.

მოწაფეც ასეთი უნდა!

სურათზე: როდამ ქუმსიაშვილი და ეგნატე ფიფია (1970-იანი წლები).

ექო

...ომიდან ყველა როდი ბრუნდება...

...შენ მოთვლის, რამდენი ომი მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში?!

ომი სასაკლაოა – რამდენ დედას გამოლამებია თვალები, რამდენი დედა ჩაფერფლილა დაკარგული შვილის მოლოდინში, რამდენი სახლი ჩაქცეულა, რამდენი კერა ჩამქრალა უპატრონოდ!..

მაგრამ... ომში ხდება სასწაულებიც – ბევრმა ვაჟკაცმა დაკარგა თავი სამამულო ომად წოდებულ დიდ ომში, რომლის ნაკვალევი დღესაც აჩნია ჩვენს სულებს... ბევრი დაბრუნდა გამარჯვებული, მაგრამ ომიდან ყველა არ ბრუნდება!..

ახლა იმ მეომარზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა, ვისაც შეუძლია დაიტრაბახოს (ეს ხომ მებრძოლთა ჩვეულებაა), რომ 1945 წლის 9 მაისის გამარჯვებად მოქცევაში მისი წვლილიც არის!

ეს გახლავთ ვახტანგ ლიპარტიანი, ერთი იმ თბილისელთაგანი, გულადად რომ დაადგა საჯარისკაცო ქარცეცხლიან გზას თავის თანატოლებთან ერთად.

...ყრმობისდროინდელ ფოტოსურათს მაჩვენებს: – ორბელიანთ უბნის ბიჭები რომ ერქვათ – სამნი არიან: კარლო ჩახნაშვილი (დგას), ავთანდილ მათეშვილი და თვითონ (მარჯვნივ).

...ნათელი, ქართული სახეები... 15-16 წლის ყმაწვილებისა, ჯერ კიდევ ეზოში რომ თამაშობდნენ „ომობანას", მალე კი მათი მშვიდი ცხოვრება აქარიშხლდება...

– გერმანიამ რომ ომი დაიწყო და ჩვენში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა, სამეულს მეოთხე თანაუბნელი – გივი სულავაც შეუერთდა და გადაწყვიტეს მოხალისედ წასულიყვნენ ფრონტზე!

– ერთად გამოვცხადდით ჯორჯიაშვილის ქუჩაზე სამხედრო კომისარიატში და ბეჯითად მოვითხოვეთ ჯარში გაწვევა, – ახლა უკვე ღიმილით ჰყვება თავის თავგადასავლის ამ ეპიზოდს ბატონი ვახტანგი. იქ იმ დროს სამობილიზაციო ციებ-ცხელება იყო და ჩვენ დელიკატური უარით გამოგვისტუმრეს, მაგრამ დაგვაიმედეს, რომ ჩვენი დროც მოვიდოდა.

...ეს დროც დადგა!

ვახტანგ ლიპარტიანი.

– ამ საუკუნის გადასახედიდან ეს ამბავი იოლად ითქმის. დღეს ჩვენ უკვე სამოცდათხუთმეტი – სამოცდათექვსმეტი წლისანი ვართ. ყოველ 9 მაისს ერთად ვიკრიბებით და...

– ყველა დაბრუნდა? – გავაწყვეტინე სიტყვა ბატონ ვახტანგს, რადგან თავში ისევ ის აზრი მიტრიალებდა, რითაც ახლა წერილი დავასათაურე: „ომიდან ყველა როდი ბრუნდება"...

– არა, როცა ვიკრიბებით ხოლმე პირველი ჭიქით კარლოს მოსაგონარს ვამბობთ.

– იგი არ დაბერებულა, ჩვენს მეხსიერებაში ისეთივე დარჩა, როგორც სურათზეა – ორბელიანთ უბნის ბიჭი...

ბატონ ვახტანგ ლიპარტიანის სახელი არაერთხელ გამოჩენილა ქართული პრესის ფურცლებზე – მისი ფრონტული ოდისეა აღწერეს ცნობილმა ჟურნალისტებმა ლარისა ხუბულურმა და ვასილ მჭედლიშვილმა, მაგრამ ეს კარგა ხნის წინათ იყო და რაც დრო გადის, მოგონებები მით უფრო ეძალება ამ ჯერ კიდევ ჭარმაგ წელში და მხრებში მხედრულად გამართულ კაცს და ძველი ფოტოსურათებითაც იმიტომ მომაკითხა, რომ კიდევ ერთხელ გაგვეცნო მკითხველისათვის ერთი მამაცი ქართველი ვაჟკაცის ცხოვრების გზა, რომელიც 60 წლის წინათ დაიწყო...

დასაწყისი კი უკავშირდება „პოლონელ პატრიოტთა კავშირის" შექმნას, რომლის მოთავეებმაც რუსეთში მყოფმა პოლონელებმა საბჭოთა კავშირის მთავრობას სთხოვეს დახმარება ფაშიზმისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის გამიზნული პოლონური სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბებაში რუსეთის სივრცეში. ასეც მოხდა. პირველმა პოლონურმა ქვეითმა დივიზიამ, პოლონეთის ეროვნული გმირის კოსტიუშკოს სახელი რომ მიენიჭა, 1943 წლის ოქტომბერში მიიღო საბრძოლო ნათლობა ბელორუსიაში, მაგრამ შენაერთს სამხედრო დარგის სპეციალისტები აკლდა.

სწორედ იმ ხანად დაამთავრეს საარტილერიო-საინსტრუმენტო სადაზვერვო სკოლა „ორბელიანთ უბნის" ბიჭებმა და ჩემი გმირის ცხოვრების გზაც პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუკავშირდა, რომელმაც 500 დღეს გასტანა!

რამდენი უთანასწორო ბრძოლა გადაუტანიათ, რამდენი ტკივილი განუცდიათ ამ ხნის მანძილზე ვახტანგ ლიპარტიანსა და მის თანამებრძოლებს!

სურათი, რომელსაც მაჩვენებს, გადაღებულია ვარშავის მისადგომებთან, დასახლება რადოლსცში.

1944 წელს გადაღებული ეს ფოტოსურათი ნაწილია გრძელი, დაუნდობელი ომის მატიანისა... მასზე აღბეჭდილი არიან პოლონეთის არმიის საარტილერიო შენაერთის მზვერავები ნიკოლოზ ვერედი და სიმონ მამისთვალოვი (პირველ რიგში), ხოლო II რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) შოთა ღლანიძე, ვახტანგ ლიპარტიანი, იანეკ ლისოვსკი და გოგი მერაბიშვილი.

...ბატონი ვახტანგი რომ მესაუბრება, მასში ომის გზებზე დაკარგულ ჩემიანებსაც ეხედავ; ხომ შეიძლებოდა რომელიმე მათგანს ასევე მორიდებით შემოეღო კარი და გამცნობოდა:

– გამარჯობათ, ...მე კორნელი ვარ, ღვინეფაძე...

ანდა:

– გამარჯობათ, ...მე კიკილო ვარ, საყვარელიძეო...

...მათთვის ხომ მე უკვე უცნობი ვიქნებოდი ამდენი ხნის შემდეგ და არა ის გოგონა, რომელსაც ერთი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, მეორე კი ომის დასაწყისში ჯარისკაცურ წერილებს უგზავნიდა... მათაც ხომ ეგონათ, რომ დაბრუნდებოდნენ...

...მაგრამ ომიდან ყველა არ ბრუნდება...

ისევ ვარშავის მისადგომებზე მესაუბრება ბატონი ვახტანგი: – რადოლსცში იყო არტილერიის მზვერავთა მეორე ბატარეის საკამანდო, სადაც 1944 წლის სექტემბრის ბოლოს შემთხვევით მოვიყარეთ თავი შოთა ღლანიძემ, გოგი მერაბიშვილმა, გორელმა სიმონ მამისთვალოვმა და მე. იქვე ახლოს ერთი ფოტომოყვარული ცხოვრობდა, რომელიც ადვილად დავიყოლიეთ და სურათებიც მალე ჩვენს ხელთ იყო. მაშინ 19-20 წლისანი ვიყავით...

„ღიმილის ბიჭი ვიყავი,
მხრებზე არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა".

გაიელვა ფიქრში გიორგი ლეონიძის დარდიანმა სტრიქონებმა.

ბატონ ვახტანგს ბედმა გაუღიმა... როგორ ახსოვთ ყოველი დეტალი, ყოველი ეპიზოდი, ალბათ სიჭარმაგეში მეხსიერება შემოდგომასავით ცაკრიალაა, რომ თბილისიდან მყინვარწვერი ისე მოჩანს, თითქოს ჰა და ჰა, – ხელს ჩამოართმევს!

ყველაფერი ახსოვს, ყველაფერი სტკივა ახალ ჭრილობასავით, მაგრამ მეომრულად მხნეობს!

– როცა ქართველები ერთმანეთს ვისლის სანაპიროზე შევხვდით, ქალაქს 63-დღიანი უთანასწორო ტრაგიკული ბრძოლები ჰქონდა გადატანილი.

არც ქართველები იყვნენ ჯაბანნი!

როცა რადოლსცში ბრძოლა განახლდა და სათვალთვალო პუნქტად შერჩეული ეკლესია გაანადგურა მტერმა, საპასუხო ჭურვები ზუსტად იმ ადგილზე დაეუშინეთ, სადაც გერმანელების საარტილერიო დანადგარი იყო. მიწასთან გაასწორეთ გერმანელთა ბატარეა.

...და ეს უკვე 1945 წლის დამდეგს მოხდა – ასე „მიულოცეს" მტერს ახალი წელი, თავად კი საბრძოლო ჯილდოები დაიმსახურეს.

ასე ახლოვდებოდა გამარჯვება!

ფრონტელ მეგობრებს არც ომის ქარცეცხლის ჩადგომის შემდეგ დავიწყნიათ ერთმანეთი; 1974 წელს, შემოდგომაზე პოლონეთის არმიის ყოფილი მებრძოლი ვახტანგ ლიპარტიანი განთიადელ მიხეილ სიმერჯიანს შეხვდა, რომელთან ერთადაც გაიარა გრძელი ფრონტული გზა და იზეიმა ვარშავის განთავისუფლება და ბერლინის აღება. ომი მათი დივიზიონისათვის, რომელმაც სადაზვერვო ოპერაციები ფრიადზე შეასრულა, 1945 წლის 4 მაისს დამთავრდა.

– ვინ დაბრუნდა ორბელიანთ უბანს თქვენს გარდა?

– ავთანდილ მათეშვილი, გივი სულავა, ორივე ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებულნი.

– პოლონეთთან თუ გაქვთ კავშირი?

– როგორ არა, მე ვეძებდი ფრონტელ ამხანაგებს, რის შესახებაც ვწერდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში და აი, შემეხმიანა კიდეც იანუშ შერემეტა, მალე ერთ-ერთი მებრძოლის იეჟი (გიორგი) ლიზეას დედა – პანა ჰელენა, ევგენიუშ პაიონგი; ერთ-ერთ წერილს ასე აწერს ხელს ძველი თანამებრძოლი: „შენი ძმადნაფიცი მარკევიჩი" და იგონებს:

– პან მარკევიჩ, როგორ არის საქმეები, – შემეხმიანებოდა ხოლმე ღლანიძე და დაინტერესებულია ქართველი მეგობრების – მერაბიშვილისა და ღლანიძის ასავალ-დასავალით!

...სკოლის წლებიც გაიხსენა ბატონმა ვახტანგმა, – თბილისის პირველი საშუალო სკოლა, სათავგადასავლო ლიტერატურით გატაცება, განსაკუთრებით ჰენრიკ სენკევიჩის შემოქმედებით ყოფილა დაინტერესებული.

– სენკევიჩის ნაწარმოებები ძალიან მომწონდა, რამაც ჩემს ცხოვრებაში გარკვეული როლიც ითამაშა, მაგრამ ამაზე შემდეგ... – თქვა მან და გავიფიქრე, დანარჩენზე ალბათ იმ წიგნში გვიამბობს, რომელსაც თურმე წერს, – იმ გზაზე, რომელსაც ქართული სიმღერა და ლექსი უადვილებდა – ასე გრძელდება პოლონელებთან დამმობილებული ერთი ქართველი მეომრის მიერ შექმნილი მატიანე... იგი ხომ პოლონეთის არმიის შექმნის 45 წლისთავზეც მიიწვიეს ვარშავაში (1988 წ.), სადაც თვით პოლონეთის პრეზიდენტის იარუზელსკისგან მიიღო არა მარტო მადლობა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისათვის პოლონეთის არმიის შემადგენლობაში, არამედ ოქროს და ვერცხლის მედლებიც. ადრე კი სხვა ჯილდოც ერგო – 10 ჰექტარი მიწა სახლით და საკარმიდამო ნაგებობებით ოდერის სანაპიროზე, მაგრამ ვახტანგ ლიპარტიანისათვის ერთი მწიკვი მშობლიური მიწა და მღვრიე მტკვარი უფრო ძვირფასია! •

2001 წლის 20 ივნისი.

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

– ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკისა და ანალიზის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 81 ლარი, 70 თეთრი);

– ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკისა და ანალიზის დეპარტამენტის ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);

– შიდა ვაჭრობის პოლიტიკის, ანალიზისა და რეგიონთაშორისი სავაჭრო ურთიერთობების დეპარტამენტის დარგობრივ რეგიონულ სტრუქტურებთან და სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების სამმართველოს საბირჟო და საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციისა და ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);

– შიდა ვაჭრობის პოლიტიკის, ანალიზისა და რეგიონთაშორისი სავაჭრო ურთიერთობების დეპარტამენტის სამომხმარებლო ბაზრის ორგანიზაციის და რეგულირების სამმართველოს ვაჭრობის წესების სრულყოფის და ანალიზის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 39 ლარი);

– საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინვესტიციების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 66 ლარი);

– საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინვესტიციების დეპარტამენტის ინვესტიციების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);

– სამრეწველო საწარმოთა სახელმწიფო რეგულირებისა და კოორდინაციის პოლიტიკის დეპარტამენტის დარგობრივი მრეწველობის სამმართველოს მარკეტინგული ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);

– სამრეწველო ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მრეწველობის ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის სამმართველოს მრეწველობის კრებსითი მაჩვენებლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);

– სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სპორტისა და ტურიზმის პოლიტიკის სამმართველოს ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და ტურიზმის პოლიტიკის განყოფილების უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 54 ლარი);

– მინისტრის აპარატის ოფიციალურ კორესპონდენციებზე მუშაობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);

– მინისტრის აპარატის სამდივნოს მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);

– მინისტრის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);

– იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 90 ლარი, 75 თეთრი);

– იურიდიული დეპარტამენტის კერძო ხასიათის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს (საკონკურსო თემატიკა და მოთხოვნები კონკურსის მონაწილეებს გადაეცემათ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს კადრების სამმართველოსთან არსებულ საკონკურსო-სამდივნოში წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი საბუთების წარდგენისას).

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის – 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

● *ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკისა და ანალიზის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

– ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის გამოცდილება;

● *ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკისა და ანალიზის დეპარტამენტის ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

– ბიზნესში მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.

● *შიდა ვაჭრობის პოლიტიკის, ანალიზისა და რეგიონთაშორისი სავაჭრო ურთიერთობების დეპარტამენტის დარგობრივ რეგიონულ სტრუქტურებთან და სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების სამმართველოს საბირჟო და საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციისა და ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

– სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის გამოცდილება.

● *შიდა ვაჭრობის პოლიტიკის, ანალიზისა და რეგიონთაშორისი სავაჭრო ურხიერთობების დეპარტამენტის სამომხმარებლო ბაზრის ორგანიზაციის და რეგულირების სამმართველოს ვაჭრობის წესების სრულყოფის და ანალიზის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

– სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის გამოცდილება.

● *საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინვესტიციების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება;

– სახელმწიფო დაწესებულებაში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება;

– რუსული ენის სრულყოფილი ცოდნა.

● *საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინვესტიციების დეპარტამენტის ინვესტიციების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

– სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება;

– რუსული ენის სრულყოფილი ცოდნა.

● *სამრეწველო საწარმოთა სახელმწიფო რეგულირებისა და კოორდინაციის პოლიტიკის დეპარტამენტის დარგობრივი მრეწველობის სამმართველოს მარკეტინგული ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი საინჟინრო განათლება;

– სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.

● *სამრეწველო ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მრეწველობის ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის სამმართველოს მრეწველობის კრებსითი მაჩვენებლების განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

– სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.

● *სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სპორტისა და ტურიზმის პოლიტიკის სამმართველოს ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და ტურიზმის პოლიტიკის განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

– სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.

● *მინისტრის აპარატის ოფიციალურ კორესპონდენციებზე მუშაობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ტექნიკური ან ჰუმანიტარული განათლება;

– დოკუმენტებთან მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;

– კომპიუტერთან მუშაობის კარგი ცოდნა.

● *მინისტრის აპარატის სამდივნოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი იურიდიული განათლება;

– სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება;

– კომპიუტერთან მუშაობის კარგი ცოდნა.

● *მინისტრის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება;

– ჟურნალისტური საქმიანობის გამოცდილება;

– რუსული ენის სრულყოფილი ცოდნა;

– კომპიუტერთან მუშაობის კარგი ცოდნა.

● *იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი იურიდიული განათლება;

– სახელმწიფო დაწესებულებაში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.

● *იურიდიული დეპარტამენტის კერძო ხასიათის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი იურიდიული განათლება;

– სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.

სასურველია კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატი ფლობდეს კომპიუტერთან მუშაობისა და ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნას.

კონკურსს ატარებს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემების საფუძველზე.

კონკურსის მონაწილეები გაივლიან ატესტაციას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს კადრების სამმართველოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: 380060, თბილისი, კ. გამსახურდიას გამზ. № 28. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს კადრების სამმართველო, ტელ: 38-81-35.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.

განცხადება

სს „საქცეოლითის“ აქციონერთა საერთო კრების 2000 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლის 24 მაისის №1-3/357 ბრძანების საფუძველზე მოხდა სს „საქცეოლითის“ ლიკვიდაცია. ლიკვიდაციის პროცედურის კანონთან შესაბამისად ჩატარების მიზნით ვაცხადებთ შემდეგ ინფორმაციას:

1. სს „საქცეოლითის“ მისამართია: საქართველო, კასპის რაიონი, სოფელი ზემო ხანდაკი.

2. ლიკვიდაციის კომისიის თავმჯდომარეა ვასილ გოგიაშვილი, მცხოვრები კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში.

3. კრედიტორებმა თავიანთი მოთხოვნები უნდა წარმოადგინონ გამოქვეყნების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში წერილობით, შედარების აქტთან ერთად.

სს „საქცეოლითის“ სალიკვიდაციო კომისია.

სააქციო საზოგადოება „მშენმექანიზაციის“ დირექცია გაცნობებთ, რომ 2001 წლის 16 ივლისს 14 სთ. ჩატარდება აქციონერთა საერთო კრება.

მისამართი: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №2.

მიმდინარეობს სს „რონ-პულენკ როურერ ფარმასერვისის“ წარმომადგენლობა საქართველოში ლიკვიდაცია. დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდნენ.

მოსაშვილის ქ. 11; ტ: 23-01-06.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

ჩვენი „დელფინა“

ადამიანი, რომელიც თანდათან დაშორდა ბუნებას, ასევე თანდათან მოექცა ცივილიზაციის მღვრიე ატმოსფეროში. მისგან თავდაღწევა კი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძნელი ხდება. ტექნიკური პროგრესის „სასწაულებით“ დახუნძლული კაცი სინამდვილის ფერმკრთალ აჩრდილად გარდაიქმნა – უმოძრაობის ობი მოედო, ნაადრევმა სიბერემ მიუკაკუნა... ამგვარი ადამიანებისთვის ჩინებული მაგალითია 46 წლის მხატვარი თამაზ სულიშვილი – გლდანელი ვეტერანების მიერ დაარსებული ზამთრის ცურვისა და გაკაჟების კლუბის – „ზღვის ლომების“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და თავისებური წარმომადგენელი. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ზღვის ტალღებში დელფინის სტილით მცურავი თამაზ სულიშვილი, სამუდამოდ ჩარჩება ხსოვნაში, ვინაიდან იგი ამ დროს შეუდარებელია, „დელფინაც“ ამიტომ შეარქვეს ზედმეტ სახელად.



თამაზი ყოველ დილით, წლის ნებისმიერ დროს, მუხიანიდან თბილისის ზღვაზე დინჯად არბის. აქ კი ხან – ქვიშიან სანაპიროზე და ხანაც – ფიჭვნარით შემოსილ გორებზე კიდევ 7-8 კილომეტრს დარბის, ცურავს, ხოლო ცურვის შემდეგ ისევ ნელი სირბილით ბრუნდება მუხიანში (მუხიანიდან თბილისის ზღვამდე დაახლოებით 3 კილომეტრია). ასე რომ, თამაზისთვის ყოველდღიურად 14-15 კილომეტრის გარბენა ჩვეულებრივი ამბავია.

თამაზ სულიშვილმა მართლაც უმშვენიერესი მოსავალი მოიმკო სპორტთან და ბუნებასთან სიახლოვით. ეს მოსავალი სულისა და სხეულის ჯანმრთელობაა. ათიოდე წლის წინათ თამაზს მოსვენებას არ აძლევდა რადიკულიტი, ზედმეტი წონა, მაღალი წნევა, უძილობა, უმადობა, მუხლების სისუსტე და სახსრების მოუქნელობა, მაგრამ ყოველივე ეს ახლა უკვე წარსულის კუთვნილებაა.

„დელფინა“ იშვიათი რეკორდის მფლობელია. დელფინის სტილში სამი საათის განმავლობაში შეუსვენებლად ვიცურებო რომ თქვა, ახლობლებმა არ დაუჯერეს. დადგა გამოცდის ჟამი და მოხდა ის, რაც ძნელი დასაჯერებელია: თამაზ სულიშვილმა, ნაცვლად სამისა, ოთხი საათის განმავლობაში შეუსვენებლად იცურა ზღვაში, ახლობლები კი კვალდაკვალ დაჰყვებოდნენ... ნავით! თამაზ სულიშვილმა ბევრი მეგობარი აიყოლია, სპორტისა და ბუნების მადლს აზიარა შვილიც – ზურაბი, რომელსაც (იგი 15 წლისაა) მალე დაეტყო ვარჯიშის კვალი: გარეგნულად უფრო დამშვენდა, გაუმჯობესდა მისი აკადემიური მაჩვენებლები.

„ჩვენი თამაზი... ჩვენი „დელფინა“! – მოფერებით და სიყვარულით ეძახიან „ზღვის ლომები“ ცურვისა და სირბილის შესანიშნავ ოსტატს.

ღმერთმა „დელფინას“ გამძლეობა და ჯანმრთელობა მოგცესო,– ასე ლოცავენ ერთმანეთს „ზღვის ლომები“, ხოლო თვითონ თამაზი, ბავშვურად გულწრფელი და ალალი, ლოცავს სპორტისა და ბუნების სამყაროს – ეს სამყარო რომ არა, სიცოცხლეს აზრი დაეკარგებოდაო, ამბობს.

ჭეშმარიტად.

ვაჟა ხორნაული.

სურათზე: თამაზ სულიშვილი შვილთან, ზურაბთან ერთად.

ევერესტის მეორედ დამპყრობი



ზია თორთლაძე – ქართული ცერულით ცისქვეშეთის უმაღლეს მწვერვალზე.

ბელა დურგლიშვილის მეგობრული შარჟი.

ჩოგბურთი

რენა აბჟანდაძის ხსოვნისა

თბილისის „დინამოს“ კორტებზე ერთ კვირას გრძელდებოდა ცნობილი ჩოგბურთელის, გულისხმიერი პიროვნების რენა აბჟანდაძის ხსოვნის ტურნირი. შეჯიბრებაში სხვადასხვა ასაკის ორასამდე ჩოგბურთელი მონაწილეობდა, მათ შორის – 50 ვეტერანი.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ასაკების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ თეონა ტატიშვილი და დავით ხუციშვილი (1993 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი), ეკა გორგოძე და ნიკა ბასილაშვილი (1991-1992 წლებში დაბადებულნი), ნინო ლაგვილავა და ლაშა ქარჩაიძე (1989-1990), მანანა შაფაქიძე და სოზარ გოქაძე (1987-1988), ნათია გეგია და კოკა ბურჭულაძე (1985-1986).

ვეტერანებში ყველას აჯობა გია მანჯგალაძემ. მეორე ადგილზე გავიდა დათო ასათიანი, მესამე იყო ავთო ლომიძე. წყვილებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ირაკლი თოფურიძის და ლადო ასათიანის დუეტი, რომელმაც ფინალში აგა დადიანის და ლევან კვიჭინაძის წყვილს სძლია. მესამე ადგილი ერგო გივი სიხარულიძეს და ავთო ლომიძეს.

შეჯიბრების შემდეგ რენა აბჟანდაძის ქალიშვილმა ნანამ და ასპარეზობის სხვა ორგანიზატორებმა ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვეს შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებით და პრიზებით, რომლებიც საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობამ, არქიტექტორთა კავშირმა, „შერატონ მეტეხი პალასმა“, „ჯეოსელმა“, საქართველოს ავიახაზებმა და სხვა ორგანიზაციებმა დააწესეს.

ლექსო ცინცაძე.

სურათებზე: ტურნირის გამარჯვებულები; კოკა ბურჭულაძე ასპარეზობისას.

რობერტ ბაზოიანის ფოტო.

მოსწავლეთა სპორტული თამაშები

ვაშაყმაძეს – ვაშა!

ნამდვილად გასახარი იყო, საქართველოს მოსწავლეთა პირველი სპორტული თამაშების პროგრამაში ველოსიპედისტთა ასპარეზობაც რომ ვიხილეთ. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისათვის თბილისის, ქუთაისის, აჭარის, მცხეთისა და ლაგოდეხის წარმომადგენლები იბრძოდნენ.

15 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში ვაჟა ვაშაყმაძემ (აჭარა) გაიმარჯვა, მეორე იყო თბილისელი გიორგი ნადირაძე, მესამე ადგილზე თემურ ძიძიგური (აჭარა) გავიდა.

„რბოლა მთაზე“ – ასე ერქვა შეჯიბრებას შვიდკილომეტრიან ტრასაზე. აქაც ბათუმელმა თენგიზ თავბერიძემ აჯობა ყველას. მეორე ადგილი წილად ხვდა ლაგოდეხელ რამაზ მანაგაძეს, მესამე ადგილი – აჭარელ ბესიკ მიქელაძეს. 60 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში ტოლი არ ჰყავდა აჭარელ ვაჟა ვაშაყმაძეს, რომელმაც ამ შეჯიბრებაზე მეორე ოქროს მედალი მოიპოვა. თბილისელი ბაჩანა გიორგაძე მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. მესამე ადგილზე მისი თანაგუნდელი გიორგი ნადირაძე გავიდა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. მცხეთა-მთიანეთი.

შალვა ჩიხლაძე.

რეგიონი

ხევი – ჭიდაობის მექა

დარიალის ხეობიდან ტარიელ ალიბეგაშვილი (1945-1991) პირველი იყო, რომელმაც თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი (1969), სსრკ სამგზის ჩემპიონობა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობა მოიპოვა (გამოდიოდა 52-56 კილოგრამში, მწვრთნელი მიხეილ თიკანაძე).



ყაზბეგის რაიონის სოფელ გორისციხეში დაბადებული ფალავანი დიდი სპორტის შემდეგ მშობლიური ყაზბეგის პოლიციის უფროსად მუშაობდა, როცა ბურუსით მოცულ ავტოკატასტროფაში დაიღუპა...

მეშვიდედ მოეწყო შესანიშნავი მოჭიდავისა და მეოჯახის ტარიელ ალიბეგაშვილის სახელობის ტურნირი 1984-1986 წლებში დაბადებულთა შორის. თბილისის, ვანის, მცხეთის, გარდაბნის და ყაზბეგის მოჭიდავეების გარდა, ასპარეზობაში მეზობელი ალანიის გუნდიც გამოდიოდა.

ყაზბეგელმა ჭაბუკებმა ახლახან საქართველოს მოსწავლეთა თამაშებზე თავისუფალ ჭიდაობაში მესამე ადგილი მოიპოვეს (მწვრთნელი ლევან მარსაგიშვილი). ტარიელ ალიბეგაშვილის სახელობის მეშვიდე ტურნირის გამარჯვებულთა შორისაც ბევრი იყო ყაზბეგელი: გიორგი გელაძე, მოთა ბაზალი, დავით მარსაგიშვილი, ამირან მარსაგიშვილი, გიორგი მარსაგიშვილი (ყველა – ყაზბეგი); ასევე პირველ ადგილზე გავიდნენ: გიორგი ნერგაძე (თბილისი), თორნიკე რობაქიძე (ვანი), შალვა ხარაზიშვილი (მცხეთა), კობა მაქარაშვილი (თბილისი), ელბერდი გავაშელი (გარდაბანი), ნუკრი ჭელიძე, ლაშა ნაცარაშვილი (ორივე – თბილისი) გიორგი თიბილოვი, გიორგი ქეთოევი (ორივე – ალანია).

ამ ტურნირზე ყაზბეგში საგანგებოდ ჩავიდა საქართველოს პარლამენტის წევრი, ლეგენდარული ლევან თედიაშვილი, რომელმაც იმსაჯა კიდეც მეგობრის ხსოვნის ტურნირზე.

ბესიკ გაბრიაძე.

სურათზე: ტარიელ ალიბეგაშვილი.

ცინცხალი ამბები

იტალიის „მილანის“ ბოლოდროინდელი ულიმღამო თამაშის გამო, მისმა ხელმძღვანელობამ, გადაწყვიტა გააძლიეროს გუნდის თავდასხმის ხაზი. ამ მიზნით მათ 22 მილიონ დოლარად შეიძინეს ტურინის „იუვენტუსის“ ფორვარდი ფილიპო ინძაგი. ამ თანხის ასანაზღაურებლად „მილანის“ მესვეურებს გადაწყვეტილი აქვთ ოლივერ ბირჰოფისა და ჯანი კომანდინის გაყიდვა. პირველი, შესაძლოა, გადავიდეს „ბრეშიაში“, ხოლო მეორე „უდინეზეში“.

ასე რომ, ახალი სეზონიდან ინძაგი ანდრეი შევჩენკოს გვერდით ითამაშებს.

პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში სტარტი აიღო ფრენბურთში მსოფლიო ლიგის ფინალურმა ტურნირმა. რვა ქვეყნის ნაკრები გუნდები გაყოფილი არიან ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოხდა სენსაცია – ფრანგებმა დაამარცხეს სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონები – იუგოსლაველები – 3:2. ბრაზილიელებმა მოუგეს მასპინძლებს – პოლონეთის ნაკრებს – 3:1. მეორე ჯგუფში კუბელებმა ასევე 3:1 სძლიეს ჰოლანდიელებს. სპეციალისტები აღნიშნავდნენ კუბელთა არაჩვეულებრივად მაღალი კლასის თამაშს.

კარტინგი

„მინი“ მონაწილე ამავე კლასში

„რუსთავირინგზე“ გაიმართა კარტინგში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი. მასპინძელთა გარდა, ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის და თელავის წარმომადგენლები – სულ 12 სპორტსმენი.

„მინი“ კლასში ყველას აჯობა გიორგი ბადურაშვილმა (თელავი), მეორე ადგილზეა დიმიტრი უმიკაშვილი (რუსთავი), მესამეზე – თბილისელი გიორგი გამყრელიძე, „სუპერ-ა“ კლასში ყველა ხარისხის ჯილდო ხვდათ დედაქალაქის მრბოლელებს ნუკრი პავლიაშვილს, ლევან იაშვილს და ირაკლი ხიდეშელს.

სამახსოვრო პრიზი გადაეცა ათი წლის ანი იაშვილს თბილისიდან, რომელიც ასპარეზობდა „მინი“ კლასში. თითოეული კარტინგისტი ძალას ცდიდა სამ რბოლაში, ჩათვლაში შედიოდა 340-მეტრიან დისტანციაზე ნაჩვენები ორი საუკეთესო შედეგი. ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი გაიმართება 7 ივლისს.

გარი ამირხანოვი.

ყოველი მხრიდან

ანა კურნიკოვა:

„მინდა ვიყო საუკეთესო ჩოგბურთელიც და ყველაზე მდიდარიც“

ჩოგბურთის მოყვარულები, და არა მარტო ისინი, ძალზე განიცდიან, რომ, კარგა ხანია, კორტზე აღარ გამოჩენილა საჩოგბურთო ელიტის მშვენება ანა კურნიკოვა.

როგორც გაირკვა, ის არც უიმბლდონის ტურნირში მონაწილეობს გაჭიანურებული ტრავმის გამო. არადა, იქ წარმატება მნიშვნელოვნად გაზრდიდა ისედაც მის ძალზე მაღალ შემოსავალს (შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირზე გამარჯვებულ ქალ ჩოგბურთელს 650 ათასი დოლარი ელოდება). თუმცა მხოლოდ ჩოგნით მოპოვებული ფულით როდი განისაზღვრება ანას „ქისა“. მან მარტო „ადიდასთან“ კონტრაქტით დაახლოებით 3,15 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ამას გარდა, როცა კი რომელიმე გაზეთი ან ჟურნალი დაბეჭდავს „ადიდასის“ საფირმო ნიშნით ტანსაცმელში ან ფეხსაცმელში გამოწყობილ ანა კურნიკოვას ფოტოსურათს, იგი 14 ათას დოლარს მიიღებს.

მარტო შარშან „ადიდასმა“ ანას 700 ათასი დოლარი გადაუხადა, მიუხედავად იმისა, რომ უიმბლდონზე დიდად ვერ ისახელა თავი და მეორე წრეზევე გამოეთიშა შეჯიბრებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით კურნიკოვას არ მოუპოვებია არც ერთ ტურნირზე ჩემპიონის ტიტული ერთეულების პაექრობაში, ამას კი ძალზე ხშირად წამოაძახებენ ხოლმე მისი „მშრიანი“ მეტოქენი, მარტო შარშან სარეკლამო კონტრაქტით მან 15,4 მილიონი დოლარი მიიღო, რითაც გაუსწრო ჩოგბურთის ისეთ ვარსკვლავს, როგორიც ანდრე აგასია, ამერიკელის შემოსავალი კი 14 მილიონ დოლარს შეადგენდა.

„მინდა ვიყო მსოფლიოში საუკეთესო ჩოგბურთელიც და ყველაზე მდიდარიც“. – ამბობს ანა; საუკეთესოსი აბა, რა მოგახსენოთ, მას წლეულს თებერვლის შემდეგ აღარ უთამაშია, სახელი და დიდება კი კორტებზე წარმატებას მოაქვს. როგორც ეტყობა, მარცხენა ფეხის ტრავმა მას კარგად არა აქვს დაცლილი. რაც შეეხება მეორე სურვილს, აქ წარმატება უდავოა. 20 წლის მიმზიდველი ჩოგბურთელი დიდ ფულს იხვეჭს ჩოგნით კი არა, რეკლამით. „ბერლის“ ბიუსტჰალტერების რეკლამისათვის ის 2,1 მილიონ დოლარს ღებულობს, „ომეგას“ საათებისათვის – 1,4 მილიონს, „იონექსის“ ჩოგნით ითამაშებს და 1,4 მილიონი „მოდის“, თუ „პეგასის“ მობილური ტელეფონით დაილაპარაკებს, მას კიდევ 1,4 მილიონი შეემატება და ა. შ.

ასე რომ, ჩოგბურთიდან იძულებითი შესვენების დროსაც კი ლამაზმან ანას ფული თავსაყრელად აქვს.

სურათზე: ანა კურნიკოვა „ომეგას“ საათების რეკლამისას.

სუპერსენსაცია უიმბლდონზე

ასე უწოდეს უიმბლდონის ტურნირის სტარტზე ქალ ჩოგბურთელთა ლიდერის მარტინა ჰინგისის დამარცხებას მსოფლიო რეიტინგით 93-ე ჩოგანოსან ესპანელ ვირხინია რუანო-პასკუალთან – 4:6, 2:6.

უიმბლდონის 7-გზის ჩემპიონმა პიტ სამპრასმა კი პირველი შეხვედრა გამარჯვებით დაამთავრა ესპანელ ფრანცისკო კლავეტთან – 6:4, 7:6, 6:4.

სპორტის რედაქცია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ცოლ-ქმარი ელენე ბუაძე და ალექსანდრე აბრამია. სურათი გადაღებულია ჯვრისწერის შემდეგ სამტრედიაში 1909 წელს.

ფოტო მოგვაწოდა ციალა აბრამიამ.

ღიმილის დოზა

თუ გსურთ გქონდეთ მოდური ვარცხნილობა და უფასო კვება, მიმართეთ სამხედრო კომისარიატს.

* * *

ქმარი გვიან ღამით შინ ბრუნდება და ცოლს ეუბნება:

— ვერასოდეს გამოიცნობ, სად ვიყავი.

— მე კი გამოვიცნობ, მაგრამ ჯერ შენი ვერსია მითხარი.

* * *

ცოლმა ქმარს სადილზე თეფშით კერძი დაუდო. ხედავს ქმარი, რომ რაღაც საშინელებაა, თან ცივია და უსიამოვნო სუნი ასდის. ვერა და ვერ აიძულა საკუთარი თავი, დაეწყო ჭამა.

ხედავს, იქვე მაგიდასთან იგივე კერძი უდგას ძაღლს და ისიც ვერ ეკარება საჭმელს.

ცოლმა მყისვე შეაფასა სიტუაცია და ქმარს ეუბნება:

— გეთანხმები, კერძი ძაღლსაც არ მოსწონს, მაგრამ იგი ძაღლია და ვერ დაარწმუნებ.

* * *

ცოლი კაპასობს:

— ამას ვიმსახურებ შენგან, შე უმადურო? ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შენ შეგწირე.

— ეგ თუ საუკეთესო წლები იყო, წარმომიდგენია, რა მელის პერსპექტივაში.

მილოცვა

მარინა და ნოდარ ჯავახიშვილებს!

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. ვუსურვებთ ბედნიერ მომავალს და საამაყო ქალობას.

ნანა პერტახია და თენგიზ გაბოშვილი.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“ 2001 წლის მეორე ნახევრისთვის. შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა გაიაფებულია და პრესის გამავრცელებელი ორგანიზაციების ექსპედირების ხარჯის ჩაუთვლელად ერთი თვით ღირს 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, ექვსი თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

ტელევიზია — ოთხშაბათი, 27 ივნისი

08.00 ალიონი 09.30 სერიალი "ძილის წინ" 09.50, 00.05 ვიდეოპატრული 10.00, 20.55 სერიალი "ქამელეონი" 10.40 მრავალჟამიერი 11.10, 18.20 სერიალი "საზღვაო პოლიცია" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 რეალური სამყარო 12.35 საბავშვო კონცერტი 13.00 ნაშუადღევს 14.05 დიდების ზღაპარი 14.25 ჩვენი მისამართია 15.15 მხ.ფ. "მაკკეილის ფლოტი" 17.00 50-50 18.00 ვესტნიკი 19.15 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.45 მაესტრო 22.10 საქმე 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.20 კომუნიკატორი 00.55 მხ.ფ. "განსჯის დღე" 1 ნაწილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.05 იყო და არა იყო რა 19.30 სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" 20.20, 21.55, 22.05 მუსიკა 20.25 მხ.ფ "უცნობი პიროვნებები" 22.10 მხ.ფ. "როცა მამაკაცს უყვარს ქალი"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "გვადალუპე" 09.50 სერიალი "ათასწლეული" 10.40 სერიალი "მამაცი რაინდი" 11.10 სერიალი "იოლი ფული" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 01.55 კურიერი 18.30 სერიალი "მამაცი რაინდი" 19.15 სერიალი "სასწრაფო" 19.50 სერიალი "იოლი ფული" 22.00 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. "ცხრიდან ხუთამდე" 02.05 კლასიკა

იბერია მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 09.45, 20.20, 22.05, 00.15 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "მამაკაცური ზიგზაგები" 09.50 მხ.ფ. "როგორ დაიპყრეს ველური დასავლეთი" 20.25 მხ.ფ. "შავი პირბადე" 22.10 მხ.ფ. "მელვინეთა ადათ-წესები"

ევრიკა 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა 11.45 მუსკოლაჟი 13.00 პროგრამა "სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. "ჩქარი საჭმელი და ქალი" 18.30 გადაცემა "ლაბირინთი" 19.45 ზღაპრის ტელედარბაზი 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 თინეიჯერი 22.30, 00.15 მხ.ფ. "მხოლოდ სიყვარული"

10.00 "ბისი". მხ.ფ. "სილამაზის სალონი "ვენერა" 11.45, 20.30, 22.20, 00.25 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმები 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "ჩქარი ლულები". მთ. როლში კიმ ბოდინა 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.45 პროგრამა "F" მხ.ფილმი "დამხშობი" მთ. როლში მაიკლ დუდიკოფი 22.35 "ბრავო" მხ.ფ. "ექვსი" მთ. როლში რიშარ ანკონინა 00.40 "ღამურა" მხ.ფ. "ჭორი". მთ. როლში ჯეიმს მარსდენი 02.10 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი "მძინარე მზეთუნახავი" 09.45 მხ.ფ. "გაქცევა შოუშენკოდან" 12.00 ევროპის სტადიონებზე 12.25 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 12.50 მხ. ფილმი "შორეული ქვეყანა" 15.15, 18.45 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.10, 21.35, 23.45, 00.15 მუსიკა 16.30 მხ.ფ. "ექვსი დღე და შვიდი ღამე" მთ. როლში ჰარისონ ფორდი 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.10 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 21.45 მხ. ფილმი "შემოდგომის ლეგენდა" მთ. როლში ბრედ პიტი 00.40 მხ. ფილმი "ჩუნკინგის ექსპრესი" მთ. როლში ტონი ლონგი.

მადლიერება

ოპერას კარგი პატრონი ჰყავს

ომგამოვლილ თაობას, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული გრძნობები აკავშირებს ოპერის თეატრთან, მისთვის ოპერა იყო, სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და რა გასაკვირია, მას დღესაც ალელვებდეს ოპერისა და ბალეტის თეატრის ბედი, თვალყურს ადევნებდეს მის მუშაობას, აინტერესებდეს მისი აწმყო და მომავალი.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ოპერისა და ბალეტის მსახიობებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი ხელოვნების მსოფლიოში გატანის შესაძლებლობა. გული გწყდება, რომ ჩვენმა რამდენიმე გენიალურმა მომღერალმა და მოცეკვავემ მსოფლიოში ვერ გაითქვა სახელი, მაგრამ ამას, ცხადია, აღარაფერი ეშველება. სამაგიეროდ, დღეს ზუსტ ციფრს, ვერავინ დაასახელებს, რამდენი ქართველი მოღვაწეობს მსოფლიოს საოპერო სცენებზე, მაგრამ დააკვირდით: ყველა, ვინც წასულია, წასულია არა როგორც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, რომელსაც საზღვარგარეთ სპექტაკლებში გამოსვლის პარალელურად აქაც ექნებოდა რეპერტუარი, არამედ წასულები არიან როგორც დამოუკიდებელი პიროვნებები და მათი უმრავლესობა საქართველოსაკენ აღარც იხედება. და აი ამ ფონზე, მწირი ბიუჯეტით, შეთხელებული დასით, მაინც ცოცხლობს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ინარჩუნებს ძველი რეპერტუარის ნაწილს და ახალ დადგმებზეც ფიქრობს. ჩემი აზრით, ეს ჯადოქრობის ტოლფასია და „ჯადოქრის პარტიას“ მრავალი წელია საუცხოოდ ასრულებს ოპერის გენერალური დირექტორი ზურაბ ლომიძე. ზურაბ ლომიძე, რომელსაც საზოგადოება იცნობდა როგორც პარტიულ მუშაკს, ბედის წყალობით ოპერის თეატრის დირექტორად მოგვევლინა და მე, ერთი ჩვეულებრივი მსმენელი და მაყურებელი, დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელ პირობებში თეატრის შენარჩუნებას სხვა ვერავინ შეძლებდა. ამ კაცის ძალის საიდუმლო ორგანიზატორულ ნიჭთან ერთად, საქმის ცოდნაში და რაც მთავარია, საქმის უსაზღვრო სიყვარულში იმალება. ზურაბ ლომიძეს შეუძლია თავისი ენთუზიაზმი გადასდოს ყველას, სამუშაო პირობები შეუქმნას ახალბედა რეჟისორს, მასთან ერთად გარისკოს — ძველი რეკვიზიტითა და გარდერობით დადგას ისეთი გენიალური ოპერა, როგორიცაა როსინის „სევილიელი დალაქი“.

თავს უფლებას ვერ მივცემ, შევაფასო რეჟისორ ზაალ აღლაძის, დირიჟორ გელა ფარჩუკიძისა და მთელი დასის ნამუშევარი, მაგრამ შემიძლია დავინახო სიმღერის საოცარი ჟინი და მსმენელისათვის სიამოვნების მინიჭების ერთსულოვანი სურვილი. ცხადია, სპექტაკლმა რომ გაიმარჯვოს, ჟინსა და სურვილს ზურგს უნდა უმაგრებდეს ოსტატობა და ნიჭი და აი, 17 ივნისს ამის მოწმეც გავხდით, როცა სცენაზე ვიხილეთ ლიანა კალმახელიძე და ბესიკ გაბიტაშვილი, მათ მხარი დაუმშვენეს მიხეილ კოლელიშვილმა, გივი ფეიქრიშვილმა, გუნდმა და ორკესტრმა. ამ დროს კი ოპერის თეატრის კარგი პატრონი უსმენდა მქუხარე ტაშს და ალბათ იმაზე ფიქრობდა, რა სახსრებით დაედგა კიდევ ერთი ახალი საბალეტო თუ საოპერო სპექტაკლი.

დალი ფანჯიკიძე.

იმედიანი კაცი

მეზობელი — მეზობელს



არ ვიცი, როგორი მეზობლობა-მეგობრობაა ჩვენი დედაქალაქის ცენტრალური უბნების — ვაკე-საბურთალოს, ვერასა თუ „პლეხანოვის“ მობინადრეთა შორის. უწინ, მოგეხსენებათ, „თბილისურ-იტალიურ“ ეზოებში მეზობლები არც ეთქმოდათ თბილისელებს: ყველამ ყველას შესახებ ყველაფერი იცოდა, ჭირსა თუ ლხინშიც ერთად იყვნენ, ხელს უმართავდნენ ერთურთს, ერთის საქმე ყველას გასაკეთებელი იყო...

დიღმის მასივში, სადაც ბარე 18 წელიწადია ვცხოვრობ, 14 და 16-სართულიან „ცათამბჯენებში“ ცოტა სხვა ვითარებაა: ერთხორც, ერთსულმეკრებილნი იშვიათად თუ დგანან მეზობელი დიღმელები. როგორც ჩანს, ცხოვრებამ გაათითოკაცა ადამიანები და, როდესაც ერთი გულიანი ადამიანი მოვიხელთე მეზობლად, ხუთსართულიან სახლში მცხოვრები ზურაბი, ცოტა გამიკვირდა კიდეც...

დამაინტერესა მისმა ხასიათმა, მიხვრა-მოხვრამ, საუბრის მანერამ.

— გურულია, — გავიფიქრე და როცა პროგნოზი გამართლდა, ქუთაისელ კაცს არ გამჭირვებია საუბრის „გახსნა“.

ჩოხატაურელი აღმოჩნდა, სურებელი რამიშვილი!

ახლადგაცნობილს ქალბატონ ნინო რამიშვილის ნაამბობი გავახსენე, მასა და იოსებ სტალინს შორის დიალოგის თაობაზე, — რამიშვილები ყველა მენშევიკია, ყველა დასაჭერიაო — ბელადს რომ უთქვამს...

ჩვენი სურებელი მეზობელი არ აღმოჩნდა მენშევიკი, არც მამამისი, დიდი სამამულო ომის მონაწილე და II ჯგუფის ინვალიდი 84 წლის კაცი, არც, რასაკვირველია, ზურიკოს სამი შვილი... ყველანი საქმიანი, გულიანი, ავკარგიანი ადამიანები არიან, რომ შეიტყვეს რაღაც მიჭირდა, დაფაცურდნენ, ზურიკოს მეგობრებიც ჩართეს სამეზობლო საქმეში და, როგორც გურულებს სჩვევიათ, ნახევარ საათში დაამთავრეს კიდეც. კაი კახური ღვინო — გიორგიწმინდიდან, ჩემი მეგობრის მარნიდან ჩამოტანილი 10-ლიტრიანი ბოცა გავუტანე, ხარისხი შემიფასეთ-მეთქი. ალალად მიიღეს, დააგემოვნეს და იმ ბოცით სურებიდან აღესა-ღვინის ჩამოტანასაც დამპირდნენ...

თუმცა, იმ დეგუსტაციას, როგორც წესი და რიგია, არ ჩაუვლია საინტერესო ამბების გარეშე და ჩვენმა ზურაბმაც გაიხსენა ერთი, ჩემი აზრით, საინტერესო ისტორია:

— ბაბუაჩემი ვლადიმერ დარსალია გიმნაზიადამთავრებული მღვდელი ყოფილა სოფელში, კომუნისტური პარტიის დროს ბუღალტრად მუშაობდა ზემოსურებში. ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის პირუტყვი გამოსაზამთრებლად მიჰყავდათ ლანჩხუთის რაიონში. ერთ ზამთარს თავმჯდომარეს ბაბუაჩემისთვის უთხოვნია, წასულიყო ლანჩხუთში ფერმის შესამოწმებლად. ბაბუაჩემი ცხენით ჩასულა სოფელ მამათში, აქ ქარბუქმა მოუსწრო და გზის გაგრძელება შეუძლებელი გამხდარა. უცებ მგზავრი შეუნიშნავს და მისთვის უთხოვია ღამის გათევა. იმ კაცმა მიიპატიჟა ოჯახში და ისე გაუმასპინძლდა, როგორც გურულებს სჩვევიათ. ერთმანეთიც გაუცვნიათ. მასპინძელი ამბროსი შევარდნაძე ყოფილა. ამის შემდეგ თურმე მეგობრობდნენ კიდეც. ბატონი ამბროსიც ამოსულა ჩვენს ოჯახში საწნახელის საყიდლად. მამაჩემი ირწმუნება, რომ მასაც ახსოვს ეს ამბავი, არც ისე პატარა ყოფილა. ამბობს, რომ ის კაცი ჩვენი პრეზიდენტის მამა იყოო...

მერე და მერე, კახურმა ყურძნის ნაყურმა თავისი კეთილი საქმე რომ ჰქმნა, საუბრის თემატიკაც გაფართოვდა. გაირკვა, რომ ჩვენი ზემოსურებელი ზურიკო 9 წლისა თბილისში გადმოუყვანიათ, აქვე დაუმთავრებია სკოლა, შემდეგ — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი, უმუშავია ავტოფარეხის გამგედ, ავტომექანიკოსად, ავტომეურნეობის უფროსად, მაგრამ...

— მაინც დედაადგილს დაუბრუნდი? — ვეკითხები.

— როგორც ირკვევა, ჩემი ნაღდი საქმე სოფელში შრომაა, სწორედ იქ კეთდება ნამდვილი საქმე, — მეუბნება. თანდათან ეშხში შევიდა და უკვე მეცნიერულად ჩამოაყალიბა მისი სოფლად დაბრუნების ეკონომიკური დასაბუთება.

— ზემოსურების დარგობრივი სპეციალიზაცია ისტორიულად მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა, მეჩაიეობა და მეფუტკრეობა იყო. სწორედ ამ დარგების განვითარება განსაზღვრავდა ჩვენი სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობას. დღეს აღნიშნულ დარგებში სავალალო მდგომარეობაა, რაც სოფელს განადგურებით ემუქრება. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საჯარო გამოსვლებში არაერთხელ მიუთითა მეაბრეშუმეობის აღორძინების სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, ამან ძალიან დიდი სტიმული მომცა მე და ჩემს თანამოაზრეებს, რადგანაც ჩვენი სოფლის მომავალს სწორედ ამ დარგის აღორძინებაში ვხედავთ. პირად მეურნეობებში უკვე დავიწყეთ თუთის რუსული ჯიშების მოშენება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის; დარგის განვითარებისათვის აუცილებელია, რომ ამ მიზნით ავითვისოთ სოფლის უხნავი მიწები, რომლებიც არ გამოიყენება სათესად. თუ ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერა იქნება, წელიწადნახევარში შესაძლებელია აბრეშუმის ჭიის მოშენების დაწყება მოსახლეობაში, საფინანსო ბერკეტებისა და ინსტიტუტების საშუალებით შევძლებთ მინი-გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას და ამოქმედებას. ამ გეგმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში გადაწყვეტილი გვაქვს მესაქონლეობის, მეჩაიეობის და მეხილეობის სფეროშიც განვახორციელოთ სათანადო ღონისძიებები. ვფიქრობ, შეუძლებელი არაფერია, მთავარია მონდომება და სურვილი. დღეს ხელდაკრეფილი ყოფნა, იმის ფიქრით, რომ ვიღაცა მოგვეხედავს და რაღაცას გააკეთებს, აღარ შეიძლება. იმედი მაქვს, რომ ჩვენი კუთხის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, თვით ცენტრალური ხელისუფლებაც დაინტერესდება ჩვენი ინიციატივით და აქტიურ დახმარებას გაგვიწევს ამ კეთილშობილურ საქმეში.

იმედი და მომავლის რწმენა დავინახე ჩემი მეზობლის თვალებში. ვიფიქრე, ეს ბიჭი (ჩემს ასაკთან შედარებით ზურიკოს ბიჭი ეთქმის), საწადელს მიაღწევს-მეთქი. ზემოსურებიდან აღესა ღვინის ჩამოტანის იმედი კი პირდაპირ გამიათკეცდა...

მგონი, არ შევცდები...

ანზორ ბასილაია.

მხარე

წარსული, ხსოვნა და მომავალი...

ფიქრები მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესიიდან, და არა მარტო იქიდან

ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ნუგზარ ნადარაიამ გამომიარა რედაქციაში — მარტვილში წავიდეთ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც ეროვნული მუზეუმის დამაარსებლის, აწ განსვენებულ ბატონ გივი ელიავას ხსოვნას ეძღვნებაო.

სენაკს იქეთ გზად მანქანები თითქმის აღარ შეგვხვედრია. ეხედავ, აღარაა ძველებური მისვლა-მოსვლა და ურთიერთის მოკითხვა, მაგრამ უფრო მტკივნეული ისაა, რომ საქართველოს ამ ერთ-ერთ უმდიდრეს მხარეში მოშლილია სამეურნეო ცხოვრება. არ ვიცი, ისევ იტყოდა თუ არა ილია დღეს — „სამეგრელოში მოვედ და საქართველო ვნახე — დიდი საქართველო!“ (ეს ბოლო ორი სიტყვა ვიღაცას აქამდე არ მოსწონდა, მიჩქმალული იყო). მოწყენილი მეჩვენა აქაურობა. მაგრამ არა, თურმე გული ისევ ძველებურად ფეთქავს, საქართველოს მეგრული წილი გული.

ციხე-გოჯთან მუზეუმი შეათვალიერა ბატონმა ნუგზარმა: დაკეტილია, თორემ გაჩვენებდი ქუჯი ეგრისელის სურათს, გუშინ დავუტოვე სენაკელებსო. გიორგი ჭყონდიდელის პორტრეტი კი წუხელ მარტვილში ჩავიტანე და დღეს ნახავო. უფრო ადრე ხობელებს ცოტნეს სურათი გადავეცითო...

რა ამოძრავებს, რა ენერგია აქვს ამ კაცს, გავიფიქრე — ცოტნეს ძეგლის დადგმას და წმინდანად შერაცხვას ლამის სიცოცხლე შეალია და ვიღაცამ არ მოუწონა; ვიღაცამ, ვარციხის პესი რომ უნდა შეესყიდა ფოთს, ესეც არ მოუწონა (ხალხში ავტორიტეტი ექნება — შუქის პრობლემა გადაწყდებაო), რაღაც მოიმიზეზეს, მერე კი კერძო პირებს ყველა პესი მიჰყიდეს (ზოგი პარლამენტარია); ხობში რომ კულტურის სასახლე, საცურაო აუზი (ევროპის სტანდარტების დონეზე) ააგო, ესეც დაუწუნეს, რად უნდოდა ამ პროვინციასო.

მოკლედ, შენებაში დასდეს ბრალი. არაა გასაკვირი — „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს...“ — მოგვძახის ისტორია. რახან ისტორია ვახსენეთ, ბატონმა ნუგზარმა, — „ფარნავაზისა და ქუჯის ძეგლი უნდა დავდგათო“ (კიდევ გადაეკიდება რაღაც ხიფათს), საქართველოს ერთიანობა აქედან იწყებაო (არა, აქ ნამდვილად ვერ მოსდებენ შარს).

მასპინძლები გარეთ დაგვხვდნენ. 47-ე სესიის მასალები ბროშურებად დაებეჭდათ, გივი ელიავას წიგნებიც დაგვახვედრეს.

დარბაზის სიღრმეში დიდი ჭყონდიდელის პორტრეტია. მისი გამჭოლი მზერა აქედან თითქოს სრულიად საქართველოს სწვდება, წვერულვაში სისპეტაკის, სიწმინდის სიმბოლოა — ეს მხოლოდ უნდა იხილო, ენით ვერ გადმოსცემ. გიორგი გეგეჭკორის ამ ნამუშევარს (ცოტნეს და ქუჯის მხატვრობაც მას ეკუთვნის) პროფესიონალები შეაფასებენ თავის დროზე, მე კი ვირწმუნე კიდევ ერთხელ, — ხელოვნება მართლაც სიცოცხლის სიცოცხლეა.

დაიწყო სესია და გადავედით სხვა სამყაროში. და იყო რაღაც იდუმალი, საერთო წარსულსა და დღევანდელობას შორის, რაღაც სულზე უფრო მაღალი, ნიჭიერი გახსენება — „ვისი გორისა ხარ“!

ბატონი **რამაზ გახოკიძე** — მარტვილის აკადემიის პრეზიდენტი, ცნობილი აკადემიკოსი და კომპოზიტორი (როგორც კომპოზიტორს ამერიკაში უფრო იცნობენ), როგორც მეცნიერებს ახასიათებთ, სიღრმეებისაკენ იმზირება: სვანურ-მეგრული უძველესი ენაა, ქართულის ძირია (ზოგს იგი კილოკავად მიაჩნია — აი, „მეცნიერი“). სამეგრელოს ისტორიის კვლევას ბატონმა გივი ელიავამ უდიდესი ღვაწლი დასდო და არაერთი საიდუმლო გაგვიმხილაო. როგორც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ალმა-მატერი — უნივერსიტეტი დაუტოვა თბილისს, ისე გივი ელიავამ დაუტოვა ალმა-მატერი — ეროვნული მუზეუმი მარტვილს. აქ, თითქოს, მთელი სამყაროს ისტორიაა თავმოყრილი დასაბამიდან.

ჩვენმა საყვარელმა მწერალმა ოტია იოსელიანმა ბატონ გივისთან ურთიერთობის ლამაზი დღეები გაიხსენა. გივის შემხედვარე ერთი აღმოჩენა მეც მეკუთვნისო — წყალტუბო — მეგრული ტოპონიმია. „ტიბუ წყარი“ თბილ წყალს — სამკურნალო წყალს ნიშნავსო. წმინდა ნინო სამეგრელოში რატომ არ შემოვიდა პირველად თუ იცითო, იმიტომ, რომ აქ ქრისტიანები იყვნენ უკვე — ანდრია პირველწოდებული — ღვთის მოციქული I საუკუნეში რიონს ამოყვაო აქეთ. და იყო მას მერე დიდი გზა.

ამ გზაზე ურემი, მაშინაც და ახლაც, ბევრჯერ გადაბრუნდა, ბატონო ოტია, მაგრამ გზა რომ მაინც ძნელად ჩანს? უნებურად ვეხმიანები მწერალს, თითქოს მიმიხვდაო და საერთო სატკივარზე გადავიდა.

დავბერდი და პროზიდან ლექსზე გადავედიო (ისე პირიქით უნდა ხდებოდესო) და ზოგიერთ პარლამენტარს ისეთი ლექსი უძღვნა, არ გამომირთმევია დასაბეჭდად, — ცოტა ხანს მინდა რედაქტორობა-თქო. ვეუხერხე.

ეგენი ხალხს უნდა ემსახურებოდნენ და ხალხს კი იმსახურებენ; რომ იძახიან, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, „პივის“ გადარჩენილი კაცი სად ნახეთ თქვენ, კულტურა და სილამაზე გადაარჩენს სამყაროს, მაგრამ ჯერ ეს სილამაზეა გადასარჩენიო. კულტურის ინვესტიცია ვინ გაიგონაო. ამერიკაა ჩვენი შველა, რომ ვამბობთო, მაგის ხნის მსხალი მაქვს ეზოშიო. ზოგს რომ უკვირს 3000 წლის საიდანააო საქართველოო, კოლხეთი რა, 4000 წლის არააო. ღმერთმა იცოდა ეს, სამივე მოციქული აქ გამოგზავნაო. მერე ლენინიც გაიხსენა მწერალმა — მაგანაც იცოდა კოლხიდა (შეიძლება საქართველო არც იცოდა) — სტალინს მგზნებარე კოლხიდელი უწოდაო. ისე, არც მრეწველების გარეშე ივარგებსო, მრეწველობამ და მიწამ უნდა გვიშველოს, მაგრამ ეგენი მიწის მაგივრად, ერთმანეთს ჩიჩქნიანო (გულიანად ვიცინეთ), რომ არ ყოფილიყო გიორგი ჭყონდიდელი, არ იქნებოდა დავით აღმაშენებელი, არ იქნებოდა საქართველო ნიკოფსიიდან — დარუბანდამდე. 16 წლის ბიჭი მეფედ აკურთხებინა (16 წლისას ახლა მარტო ვერ დავტოვებთ). სულ ბრძოლასა და წვალებაში ვიარეთ. მტერი არასოდეს გვაკლდა, მაგრამ ცოტნეს მტერიც ღირსეული შეხვდა, თორემ ხომ აგვაოხრებდაო დედაბუდიანად. ჩვენ რა ჯანღაბა გვეტაკა, ერთმანეთის არ გვესმისო. ქალებიც ხომ გასაოცარი გვყავდა — მედეა მეგრულად ლაპარაკობდა — ამას მალე დაამტკიცებენ; ისე ევრიპიდეს ნუ ვუსწორებთ რაღაც-რაღაცეებს, იმას არაფერი შეემლებოდაო.

ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ მუზეუმს „ქართველ წმინდანთა ცხოვრება“ და საეკლესიო კალენდარი გადასცა. ორიოდე სიტყვით ისტორია მოიშველია — ქუჯისა და ფარნავაზის ქრისტიანულ აზროვნებას მიაქცია ჩვენი ყურადღება. არ უნდა დაგვავიწყდეს, საიდან მოვდივართო — გივი ელიავამ საუკუნეებთან ერთად იცხოვრა, ფეხზე წამოყარა გარდასული დღეებიო. იგი რჩება მომავალში, მას წარსული არა აქვს, წარსული მისი საწყისია. ერი, რომელიც პატივს არ მიაგებს ღირსეულთ, კვდება.

სესიაზე მოხსენება გააკეთეს ქუთაისელმა პროფესორებმა გურამ გაბუნიამ და პეტრე ვაჭრიძემ, მუზეუმის დირექტორმა, გივი ელიავას შვილმა დევი ელიავამ, მუზეუმის თანამშრომლებმა ამროზ ფაილოძემ და ფატი სიგუამ. სესიას უძღვებოდა მარტვილის გამგებელი ჯამბულ წულაია. უაღრესად განათლებული პიროვნება, ისტორიის კარგი მცოდნე.

ამ გამოსვლებს მარტო სიტყვა არ ეთქმოდა — ეროვნული მეობა აწრიალებდა ხელსა და გულს. ის, რაც აკლია ბევრს, ისეთებს, სავარძლები რომ არ აკლიათ...

მარტვილის მონასტერი არწივივით გადმოჰყურებს აქაურობას. გრძნობ, რომ სიმაღლე და დიდი კაცობა, დიდი ჭყონის (მუხის) ჭყანა — სიცოცხლის ნიჭი გვჭირდება, ჭყონდიდელი, აღმაშენებელი გვჭირდება, რათა კიდევ ერთი დიდგორი გადავიხადოთ და საბოლოოდ დავადგეთ აღმშენებლობის გზას.

ღირსი უნდა ვიყოთ დამოუკიდებლობისა, უზნეობას კი არ დავუდგათ ტახტი, უზნეობის თავისუფლება და დემოკრატია კი არა — ნიჭის, კაცობის, სიკეთის, სიყვარულის თავისუფლება გადაარჩენს ქვეყანას, რომელიც დამოუკიდებლობის აღმართს ეჭიდება.

იქნებ, ღმერთმა შეგვინდო ერთხელ ილიას მკვლელობა. მეორედ? — არ გვაპატიებს.

ბატონ გივი ელიავას მოსაგონარი კოლხური ბრინჯაოს თასიდან შევსვით (ბრინჯაოს ხომ კოლხები პირველები ამუშავებდნენ). ბატონმა დევი ელიავამ მზის სიმბოლო — ოქროს ჯვარი გვიჩვენა (ახალ წელთაღრიცხვამდე გაკეთებული) — იქნებ, ამაშიც არის რაღაც საიდუმლო.

დავტოვეთ მარტვილის მუზეუმი-აკადემია, მისი უდიდებულესობა ისტორია დაბრძანდება აქ, მარტვილში. მოვდივართ ფოთისკენ (იქნებ, ფაზისი გვეწოდებინა), უკან რჩება ორი საოცრება — მარტვილის მონასტერი და გივი ელიავა.

„ჩონგური საქართველოა“ — ჩამესმის გაფრთხილებად!

რამდენი რამ გტკივა, ჩემო სამეგრელო, როგორ არ დაგინდეს შენებმაც — სული ჩაგიწიხლეს, დაგსაჯეს, უიარაღოს პატივი აგყარეს. შენ არ აყოლილხარ ცდუნებას, თუმცა, ძალიან გიჭირდა და გიჭირს; არასოდეს გიხსენებია ავტონომია, თუმცა, ენაც გაქვს და ტერიტორიაც, და, ვინ იცის, ანტიკურ ხანაში კირბების შემქმნელს, დამწერლობაც გქონდა იქნებ.

შენ დღეს თითქმის ორ მილიონამდე კაცით წარმოადგენ საქართველოს. ერისთვის ვითომ თავგამოდებულებმა შემოგძახეს ამას წინათ — „უნდა გამოვეყოთო“.

არ დაგავიწყდეს, რომ საქართველოს ხერხემალი ხარ, ძველი და ახალი საქართველო ხარ — სულით ხორცამდე!

ზურაბ აბრალავა,
„სრ“ საკ. კორ.



სურათებზე: გიორგი გეგეჭკორის ნახატები „გიორგი ჭყონდიდელი“ და „ცოტნე დადიანი“.

ასეც ხდება

კიდევ ერთი გამოცდა...

მცხეთის პირველი საშუალო სკოლის მეათეკლასელებთან ერთად ისტორიის გამოცდა ჩააბარა პრეზიდენტის რწმუნებულმა მცხეთა-მთიანეთის მხარეში კობა ბუჩუკურმა.

— მე პროფესიით ისტორიკოსი ვარ — ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს წარმოდგენაც კი არა აქვს საქართველოს ისტორიაზე, მე კი მინდოდა მაგალითი მეჩვენებინა.

ბილეთის საკითხები ასეთი იყო: პირველყოფილი ადამიანთა ნაკვალევი საქართველოში; დავითის რეფორმები; 1832 წლის შეთქმულება. ბუჩუკურმა გამოცდა მართლაც ფრიადზე ჩააბარა. ეს რომ ასე იყო, გამოცდაზე დამსწრე ჟურნალისტებმაც თვალნათლივ დავინახეთ. კომისიის წევრი და გამომცდელი ლეიბორისტული პარტიის წევრი მარინა კიკნაძე იყო. ასე რომ, გამოცდის „ჩაწყობას“ ლეიბორისტებთან გართულებული მდგომარეობის გამო პრეზიდენტის რწმუნებული ნამდვილად ვერ მოახერხებდა. კულუარებში დარხეულ ხმებს თუ დავიმოწმებთ, ბუჩუკურის ბედი, თურმე ბეწვზე ეკიდა, რადგან ფრიადის მიუღებლობის შემთხვევაში მის ოჯახურ სიმყუდროვეს საფრთხე ელოდა...

იმედია ამას სხვებიც მიბაძავენ და ურიგო არ იქნება რომ შემდეგი გამოცდა მოეწყოს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. რადგან ბევრმა ჩვენმა პოლიტიკოსმა, რბილად რომ ვთქვათ, არ იცის ქართული.

ნანა სულავა

შვილი ჯემალი, შვილიშვილები გიორგი, ნონა, ტატა, გოჩა ვეფხვაძეები, რძლები თინა მაისურაძე, ნინო ბახტაძე, სიძე დავით ჩხაიძე, შვილთაშვილები ჯემალ, თინა, გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ტატიანა ჩხაიძე-ვეფხვაძე

პანაშვიდი 28, 29 VI, 5 სთ. დაკრძალვა 30, VI 2 სთ. ქ. ზესტაფონი, ზაპოროჟიეს 2 ჩიხი №9.

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მუშაკი, სამინისტროს სამხედრო-სამობილიზაციო ეკონომიკისა და საიდუმლო რეჟიმის სამმართველოს უფროსი

ბორის კაციტა[illegible]

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია იუწყება, რომ აკადემიის პრორექტორს ბატონ ჯემალ გორგიაშვილს გარდაეცვალა ბებია

ნინო როსტიაშვილი-გორგიაშვილისა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მერაბ რაფავას მამის

შოთა კონსტანტინეს ძე რაფავას

გარდაცვალების გამო.

საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრა თანაგრძნობას უცხადებს პროფესორ ვანო ჭიაურელს მამის

ბორის ჭიაურელის

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქობულია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13
ელექტრონული ფოსტა —
PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.